დსთ სამიტი



## ეკონომიკური თანამშრომლობა — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი ბერკეტი

7 ოქტომბერს მოლდოვის რესპუბლიკის დედაქალაქში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მორიგ სამიტს უმასპინძლა.

თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ბოლო დროს შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ, უამრავმა მოუგვარებელმა პრობლემამ, ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა სრულმა ან ნაწილობრივმა უგულებელყოფამ, ცხადი გახადა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, როგორც ორგანიზაციის არაეფექტიანობა და, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მისი სრული რეაბილიტაციის საკითხი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ სტრუქტურის დემოკრატიულ რელსებზე სასწრაფო გადაყვანას გულისხმობს.

დემოკრატიისაკენ შემობრუნების პირველი ნიშანი სამიტის დასასრულს გამართულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრიფინგზე გამოჩნდა, როდესაც მან ჟურნალისტებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე უკრაინის პრეზიდენტის [illegible]

(იხ. მე-2 გვ.)

ეხმაურებიან

## რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს

**გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ლუღუზიშვილი**

— ბატონო ზურაბ, როგორ ფიქრობთ, რას მოგვიტანს კიშინიოვის სამიტი?

— ეჭვს ნუ შევიტანთ, რომ სიკეთეს მოგვიტანს. [illegible]

(იხ. მე-2 გვ.)

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №245 (4304) შაბათი, 8 ოქტომბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

უჩინმაჩინები დიდ კორუფციაში

## ვის ასულდგმულებს ზარალიანი საწარმო?

**ბიუჯეტის** შემოსავალ-გასავალთან დაკავშირებული საკითხები მუდმივადაა აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში, ვინაიდან ამას ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სავსებით გასაგებია ის, რომ 2 ოქტომბრის სხდომაზე მთავრობის წევრებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილის ზურაბ სოსელიას მოხსენებები.

— სოციალურ და სახელმწიფო ვალდებულებათა დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში შეუფერხებლად ფინანსდება, — აღნიშნა გიორგი ისაკაძემ.

სახაზინო სამსახურის მონაცემებით, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ამ პერიოდში გაწეულმა ხარჯმა 520,1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯის 55 პროცენტია. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის ასიგნებულია 54,3 მილიონი ლარი, ხოლო ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯებისათვის — 8,2 მილიონი ლარი.

(იხ. მე-3 გვ.)

**მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახადების გეგმის შესრულების მხრივ. ამ მაჩვენებლის მიხედვით რვა თვის გეგმა მხოლოდ 59,1 პროცენტით შესრულდა, რის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ნაცვლად 7 მილიონ 950 ათასი ლარისა, ფაქტობრივად, 4 მილიონ 694 ათასი ლარი ჩაირიცხა.**

ცენტრალური მოვლენა

## ედუარდ შევარდნაძე: დაიხსომეთ ეს შეხვედრა. ამ შეხვედრით იწყება დადებითი გარდატეხა ორი ქვეყნის ურთიერთობაში,

**განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 6 ოქტომბერს კიშინიოვში რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დასასრულს**

რა ხდებოდა ამ შეხვედრამდე? — დაძაბული ურთიერთობა, საინფორმაციო ომი, გაუმართლებელი ბრალდებები (პრაქტიკულად, ცალმხრივი)...

— ჩვენმა ურთიერთობამ დაუშვებელ ზღვარს მიაღწია, არასოდეს არ ყოფილა ეს ურთიერთობა ასეთი დაძაბული, — საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე აღიარა რუსეთის პრეზიდენტმა და იქვე შეეცადა გარკვეული ახსნა მოეძებნა რუსეთის იმპერიული მუქარისათვის — არასოდეს არ გამოგვითქვამს მუქარა საქართველოს მიმართ, ჩვენ საქართველოს უდიდეს პატივს ვცემთ. ეს მუქარა მიმართული იყო ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ბანდიტებისადმი.

კიშინიოვის სამიტის ცენტრალური მოვლენის — შევარდნაძე-პუტინის შეხვედრის შესახებ პროგნოზისაგან, შეხვედრის დაწყებამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებმა თავი შეიკავეს.



— პროგნოზს ვერ გავაკეთებ, დაველოდოთ შედეგებს, — თქვა ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ისე კი, მე, საერთოდ, ომისა და ძალადობის წინააღმდეგი ვარ, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ.

— ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ გარდატეხას, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ურთიერთობაში ამდენი მოუგვარებელი პრობლემა, მათ შორის ტერორიზმი, არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური პრობლემები, — ამ სიტყვებით დაიწყო შევარდნაძე-პუტინის პირისპირ საუბარი.

(იხ. მე-2 გვ.)

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

**ანზორ დილებაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

**სოფლად** მიწის რეფორმის გატარებაში აქტიური მონაწილეობისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის ღვაწლმოსილი ინჟინერი **ანზორ დილებაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

**მარიამ აბრამიშვილის, ვლადიმერ ასლამაზიშვილის, გივი ძნელაძისა და ვახტანგ ხარჩილავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

**ქართული** მწერლობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წევრები, მწერლები: **მარიამ (მარი) აბრამიშვილი, ვლადიმერ ასლამაზიშვილი, გივი ძნელაძე და ვახტანგ ხარჩილავა** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

გიხაროდენ!

## ნინო ცაბაძე-ბუჩუკურისა ორი ბიჭის დედა გახდა

ამ ერთი წლისა და შვიდი თვის წინათ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს ვახარე, რომ ჩემს უახლოეს უმცროს მეგობრებს ნინო ცაბაძესა და გოჩა ბუჩუკურს პირველი შვილი, მართლაც ანგელოზივით ბიჭი შეეძინათ. ბიჭს თორნიკე დაარქვეს. და აი, ახალი სიხარული, ახალი სიცოცხლე, ახალი იმედი — ნინოს მეორე ბიჭი, ამჯერად დავით აჩუქა მაღალმა ღმერთმა. როგორც თბილისის მეხუთე სამშობიარო სახლის მედპერსონალი გვარწმუნებს, პატარა დათუნა აბსოლუტურად საღსალამათი ბავშვია, ოთხ კილოგრამამდე იწონის და სიგრძით 52 სანტიმეტრია.



ბედნიერი დედა ნინო ცაბაძე გულწრფელ მადლობას უხდის მეხუთე სამშობიაროს მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით კი მის უშუალო გინეკოლოგებს, მალხაზ ონიაშვილს და დათო ვაშაკიძეს.

ღმერთმა გამრავლოთ ბუჩუკურებო და ცაბაძეებო! ეს ორი და სხვა მრავალი...

**სპარტაკ ქობულია.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

თანამშრომლობა

## გზაჯვარედინი: „მატერიკული პერიფერია“ ინტეგრაციულ სისტემად ყალიბდება

**„პლატფორმა ევრაზიის დიალოგის“ IV კონფერენცია ანტალიაში**

**მსოფლიო** ის აღარ არის, რაც იყო. მესამე ათასწლეულის პირველი ყლორტები, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში ამოიწვერა, უკვე ხელშესახებად განასხვავებს გუშინდელს დღევანდელისგან, ახალ ერას — ძველისგან.



ეს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, იმითაც არის წარმოჩენილი, რომ გლობალიზაცია თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუქცევად პროცესად იკვეთება. სახელმწიფოთა „მარტოკაცობა“, ცალკე, იზოლირებულად ყოფნა ერთობ პრობლემური ხდება. „ან-ან“ — ან აქეთ უნდა იყო, ან იქით. აი, ასე დგება საკითხი.

(იხ. მე-5 გვ.)

პრეზიდენტი

## იმედის კუნძული უნდობლობის ოკეანეში,

**ანუ პრეზიდენტების საუბარი, რომელმაც მდგომარეობა განმუხტა**

**თვითმფრინავში** საუბარი ქართველ ჟურნალისტებთან პრეზიდენტმა შევარდნაძემ დაიწყო, რა თქმა უნდა, ჩვეულ იუმორში და განაცხადა, რომ ცალფეხა რედაქტორი არავის სჭირდება (იგულისხმება „საქართველოს რესპუბლიკის“ ტრავმის გამო ხელჯოხით მოსიარულე მთავარი რედაქტორი).

კარგ ხასიათზე იყო პრეზიდენტი, ამიტომ ადვილად იქნა მიღწეული ორივე მხარისთვის მისაღები კონსენსუსი: ცალფეხა რედაქტორი ცალტვინას აშკარად სჯობია.

ამ შეთანხმების საფუძველზე პირველი შეკითხვის უფლება, რა თქმა უნდა, „საქართველოს რესპუბლიკას“ მიეცა:

— ბატონო პრეზიდენტო, გუშინ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ თქვენ გვირჩიეთ, დაგვეხსომებინა ეს დღე — 2002 წლის 6 ოქტომბერი. ჩვენ დავიხსომეთ. მაგრამ დაიხსომა ეს თარიღი მსოფლიოს პოლიტიკურმა ელიტამ, როგორც თქვენი კიდევ ერთი გამარჯვება ცივ ომზე, იგულისხმება რუსეთთან ურთიერთობა, რომელიც გამყვინვარების სტადიაში გადადიოდა?

თქვენი შეფასება, თუ შეიძლება.

— თუ მოგებაზეა ლაპარაკი, მაშინ ორთავემ მოვიგეთ. იმიტომ, რომ იყო მისი ასევე კეთილი ნება, ცდილობდა, რაც შეიძლება ყურადღებიანი ყოფილიყო ჩვენი პრობლემების მიმართ. მან გამოამჟღავნა ძალიან დიდი სურვილი იმისა, რომ არ დაემძიმებინა პრობლემები და არ წამოეყენებინა ისეთი რამ, რისი შესრულება ძალიან ძნელი და რთული იქნებოდა. აი, ეს იყო ჩვენი საუბრის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: ორივე პრეზიდენტის სურვილია, რომ მოიძებნოს ისეთი კომპრომისი, რომელიც მისაღებია და ხელსაყრელია ორივე ქვეყნისათვის.

— **პუტინის განცხადებები ყოველთვის მკაცრია და ომახიანი. როგორია იგი თქვენთან საუბრის დროს? — პირველი არხი, თეა ბეზიაშვილი.**

— საშინლად ეშინია ჩემი, — **ეცინება შევარდნაძეს, და სერიოზულად განაგრძობს,** — უნდა გითხრათ, რომ იგი გამოირჩევა ძალიან დიდი ტაქტით და ადამიანთან ნორმალური ურთიერთობის უნარით. ყველასთან. საყვედურის გამოსათქმელადაც კი ეძებს სიტყვებს, რათა რაიმე ისეთი არ წამოცდეს, რაც მიუღებელია პრეზიდენტების საუბრებისათვის და, მათ შორის, ჩვენი შეხვედრისათვის.

**ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, თუ რა ნაბიჯი გადადგა საქართველომ როდესაც ხუთი ჩეჩენი მოთარეშე რუსეთის მხარეს გადასცა — კანონიერების სრული დაცვით და მოთხოვნით და, არა ვინმეს გულის მოსაგებად. ეს მოხდა სამიტის დაწყების წინ და ვლადიმერ პუტინმა ზოგიერთი რუსი მაღალი რანგის პოლიტიკოსისა და ჩინოვნიკისგან განსხვავებით, — ამაოდ დაშვრაო ქართული მხარე, — რეალისტურად შეაფასა ჩვენი ეს ნაბიჯი.**

**ხაზი გავუსვათ გადაცემის კანონიერებას. მაგრამ რატომღაც სწორედ აქ იჩინა თავი პოზიციათა არაერთგვაროვნებამ. ამის თაობაზე შეეკითხა პრეზიდენტს „რუსთავი-2“-ის ტელეჟურნალისტი ნანა ლეჟავა.**

(იხ. მე-2 გვ.)

თბილისობის წინ



დიმიტრი ერმაკოვი. თბილისი. ბაზრობა მტკვრის სანაპიროზე — რიყეზე. XIX საუკუნის 90-იანი წლები.
შუქურა ინასარიძის წიგნიდან „საქართველოს მესურათხატენი“.

ინფორმაცია

### მინისტრმა ტონი შეიცვალა

**რუსეთის** თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ამჟამად ვითარება მშვიდია, — იტყობინება პრაიმ-ნიუსის სპეციალური კორესპონდენტი.

სერგეი ივანოვმა კიშინიოვში, დსთ სახელმწიფო მეთაურთა სამიტის კომენტირებისას, ორშაბათს ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ყველა საკითხი, რომელიც რუსეთის თავდაცვითმა უწყებამ მოამზადა, გავიდა“.

სერგეი ივანოვი ადრე არაერთგზის აცხადებდა, რომ ორი ქვეყნის საზღვარზე არსებული სიტუაცია დაძაბულია და ფედერაციის ტერიტორიაზე ბოევიკთა შეჭრის მცდელობები და პრეცედენტები აღინიშნება.

### რუსეთის გენპროკურატურამ დანაშაული ვერ აღმოაჩინა...

**რუსეთის** გენერალურმა პროკურატურამ ვერ აღმოაჩინა ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ქმედებებში დანაშაული ე. წ. „ბეიკერ-შევარდნაძის“ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც სსრკ-სა და აშშ-ს შორის ბერინგისა და ჩუკოტკის საზღვაო სივრცეთა გამიჯვნას ეხება.

როგორც ორშაბათს ჟურნალისტებს რუსეთის გენპროკურორის მოადგილემ კონსტანტინე ჩაიკამ განუცხადა, შემოწმების შედეგად, რომელიც მცირერიცხოვან ხალხთა და ჩრდილოეთის საქმეების ფედერაციის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრა ნაზაროვას გამოკითხვით ჩატარდა, დადგინდა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ამ დოკუმენტის ხელმოწერისას თავისი უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია, — იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან.

### საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხჯერ დაარღვიეს

**რუსეთის** ვერტმფრენებმა მანევრების შესრულებისას ორშაბათს, დარიალის ხეობის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხჯერ — 00.05, 00.20, 00.25 და 10.20 წუთზე დაარღვიეს, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში.

მანევრების შემდეგ ვერტმფრენები რუსეთის მიმართულებით ბრუნდებოდნენ, — აღნიშნეს სასაზღვრო უწყებაში.

### ყალბ ცნობას ავრცელებენ

**საქართველოს** საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კორნელი სალიამ „სიცრუე“ უწოდა ჩეჩნეთში მყოფ რუს მაღალჩინოსან სამხედროთა მტკიცებულებებს, რომლითაც თითქოს საქართველო-რუსეთის დაღესტნის მონაკვეთზე 100-კაციანი ჩეჩენ ბოევიკთა ბანდაა შესული.

როგორც პრაიმ-ნიუსს კორნელი სალიამ უთხრა, რუს სამხედროთა მონაცემები გადამოწმდა და დადგინდა, რომ ამ რაიონში ბოევიკები არ არიან.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

ვითხოვ სიტყვას!

## ჩვენ არ ვუპირისპირდებით აჭარელ თანამოძმეებს, როგორც ამის წარმოჩენას ზოგიერთი ცდილობს

**სისტემური** ხასიათი მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებისა და ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელობის დისკრედიტაციის ცდამ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენივე კატეგორიული მოთხოვნით კომპეტენტურმა ორგანოებმა არაერთხელ შეისწავლეს ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებში არსებული მდგომარეობა და დანაშაულის ვერანაირი ნიშანი ვერ აღმოაჩინეს, სამწუხაროდ, ზოგიერთი ორგანიზაცია და პიროვნება, რომელიც არად აგდებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, საკუთარი პოლიტიკური საჭიროებისამებრ უსასრულოდ სპეკულირებს ერთი და იგივე თემებით და ცილისმწამებლურ ბრალდებებს გვიყენებენ.

(იხ. მე-3 გვ.)

### ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +16; დღისით +23;
მთაში: ღამით +12; დღისით +18;

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით +11; დღისით +25;
მთაში: ღამით +8; დღისით +19;

**თბილისში**

დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება.
ღამით +10; დღისით +25.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

### ლარის კურსი

**4 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3921 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1600 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.1356 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0681 | ლარი. |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— მე და ჩემი მეუღლე შრომის ვეტერანები ვართ, გვაქვს კერძო ბინა, რომელშიც ჩვენს გარდა არავინაა ჩაწერილი.**

**სურვილი გვაქვს ჩავიწეროთ ძმისშვილი, რომელიც მატერიალურად გვეხმარება, რათა ჩვენი გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობით მიიღოს ყველაფერი, რაც გაგვაჩნია.**

**გთხოვთ, განგვიმარტოთ, კანონით თუ არის ეს შესაძლებელი და რა საბუთებია საჭირო ამისათვის?**

**ვასილ სუხიშვილი.**

— თქვენი ძმისშვილი მემკვიდრეობას (თქვენს უძრავ-მოძრავ ქონებას) მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ სათანადო წესის დაცვით გეყოლებათ შვილად აყვანილი, ასევე, თუ ქონებას დაუტოვებთ ანდერძით, ან ჩუქების წესით, რაზედაც უნდა მიმართოთ თქვენი რაიონის ნოტარიუსს.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს ბინაში ძმისშვილის რეგისტრაციის შესაძლებლობის საკითხზე, გირჩევთ, მიმართოთ, თქვენი რაიონის პოლიციის განყოფილებას.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

უკანასკნელ საათს

**ბანგკოკი** მძლავრმა წყალდიდობამ დატბორა. წყლის დონე მდინარე ჩაო-პრაიაში, რომელიც შუა ქალაქში მიედინება, დღემდე იზრდება. წყალდიდობა თავსხმა წვიმებმა გამოიწვია. რამდენიმე საათში ბანგკოკს თავს დაატყდა ნალექების მთელი თვის ნორმა.





**მედიცინის** დარგში ნობელის პრემია ერგოთ მეცნიერ გენეტიკოსებს აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან. მშვიდობის დარგში პრემიის მიღების პრეტენდენტთა შორის კი ყველაზე ხშირად იხსენიება ავღანეთის ხელმძღვანელი ჰამიდ ქარზაი, საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის საკითხზე და აშშ ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი.

ინტერპანორამა



**ისრაელმა** დარტყმა მიაყენა პალესტინის ქალაქ ხან-იუნისის ღაზის სექტორში. დაიღუპა სულ ცოტა 9 კაცი, 40 დაშავდა. დაღუპულთა შორის არის ქალი, ბავშვი, მოხუცი.



**საქართველოს** მოქალაქემ ვიდეოკამერით შვიდი გამოუცნობი ციური სხეული გადაიღო. რუსთავის ცაზე 3 სექტემბერს, საღამოს გამოუცნობმა ციურმა სხეულებმა გადაიფრინა. ისინი ფორმით 50-მეტრიან კუებს ჰგავდნენ და ანათებდნენ.



**ავტოკატასტროფის** შედეგად ბრაზილიაში 27 კაცი ცოცხლად დაიწვა, 17 კი დაშავდა. სერჯიპეს შტატში, რიო-დე-ჟანეიროდან 1500 კილომეტრით ჩრდილოეთით, სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა მსუბუქ ავტომანქანას და ხალხით სავსე მიკროავტობუსს. დარტყმის შედეგად მიკროავტობუსს ცეცხლი მოედო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

### დსთ სამიტი



# ეკონომიკური თანამშრომლობა — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი ბერკეტი

(პირველი გვერდიდან)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტთა დახურულ სხდომაზე, რომელიც მარია ჩებოტარის რეზიდენციაში გაიმართა, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თანამეგობრობის ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობის და ეფექტიანი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტია. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში მეორე საკითხად შეტანილმა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით) წინადადებებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

სამიტმა განიხილა და ექვსმა ქვეყანამ — სომხეთმა, რუსეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, ბელორუსმა და ტაჯიკეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას „კოლექტიური უშიშროების შესახებ“. ეს შეთანხმება ითვალისწინებს კოლექტიურ საფუძველზე აქტიურ თანამშრომლობას სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, ეროვნული უშიშროების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. საქართველო ამ შეთანხმებას, როგორც სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, არ შეუერთდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

კიშინიოვის სამიტზე საქართველომ 15-მდე შეთანხმებას მოაწერა ხელი, მათ შორის ზოგიერთს შენიშვნების გათვალისწინებით.

სახელმწიფოთა მეთაურების სამიტის პარალელურად, კიშინიოვში გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებიც.

როგორც სამიტის დასასრულს გამართულ ბრიფინგზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ყველას გვჭირდება, ამიტომაც აუცილებელია ყველამ ერთად შევძლოთ მისი როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი რეორგანიზაცია, ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. ამასთან, ერთადერთ შეკითხვას, რომელიც ვლადიმერ პუტინს ამ ბრიფინგზე დაუსვეს, — ძალაშია თუ არა თქვენს მიერ 11 სექტემბერს გაკეთებული განცხადება საქართველოს შესახებ, — რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, 6 ოქტომბრიდან ძალაშია ის შეთანხმებები, რომლებსაც ერთობლივად მივაღწიეთ მე და საქართველოს პრეზიდენტმა. ასეთ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, სხვა არც ერთი განცხადება არ შეიძლება ძალაში რჩებოდეს “.

სამიტის დასასრულს თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებმა 7 ოქტომბრის იუბილარს — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს დაბადების დღე რუსეთის ფედერაციის საელჩოში მიულოცეს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

### ცენტრალური მოვლენა

# ედუარდ შევარდნაძე: დაიხსომეთ ეს შეხვედრა. ამ შეხვედრით იწყება დადებითი გარდატეხა ორი ქვეყნის ურთიერთობაში

(პირველი გვერდიდან)

— მე გეთანხმებით, რომ აუცილებელია ტერორიზმს ბოლო მოვუღოთ. არც ერთი ქვეყანა ამ ბოროტებას ისე არ დაუზარალებია, როგორც საქართველო. ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ეთნოწმენდის სისასტიკე. გადასაჭრელია სხვა პრობლემებიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია — საქართველოს უჭირს რუსეთის გარეშე, თუმცა რუსეთსაც ძალიან სჭირდება ჩვენი ქვეყანა, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ამ აქსიომის უტყუარობაში კიდევ ერთხელ დასარწმუნებლად, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს კიშინიოვში საათნახევარი დასჭირდათ.

— ეს იყო გულწრფელი და გულღია საუბარი. როგორც რუსეთს, ისე საქართველოს გადაწყვეტილი აქვს მოაგვაროს ჩვენი ურთიერთობის მთავარი პრობლემა — ტერორიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს ვლადიმერ პუტინმა. ამასთან, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, საქართველოს პრეზიდენტის წინადადებით, ამ პრობლემის დასაძლევად გადაწყდა ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობის, სასაზღვრო უწყებათა მიერ საზღვარზე ერთობლივი პატრულირებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ ზოგადად საზღვრის პრობლემატიკის ირგვლივ თანამშრომლობის სადაწყება და გააქტიურება, გარდა ამისა, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ორივე ქვეყნიდან დაინიშნებიან სპეციალური წარმომადგენლები.

ვლადიმერ პუტინმა მადლობა მოახსენა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ დაკავებული რამდენიმე ჩეჩენის რუსეთისათვის გადაცემის გამო.

შევარდნაძე-პუტინის შეხვედრას იმავე საღამოს გამოეხმაურა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი: მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტების შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრა ასეთი კარგი შედეგებით დასრულდა, მით უმეტეს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლო დროს ძალზე გართულებული სიტუაცია გავლენას ახდენდა ზოგადად კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებაზე. დაბოლოს, მე ვხედავ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ შეხვედრის შედეგებით კმაყოფილია, სწორედ ამიტომ, მეც კმაყოფილი ვარ.

* * *

6 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პირისპირ საუბარი უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას, ეკონომიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტს ვლადიმერ ვორონინს. შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა მოახსენა მასპინძელი ქვეყნის ლიდერს სამიტის მაღალი დონის ორგანიზებისათვის.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს. შეხვედრაზე იმსჯელეს მეზობელი ქვეყნების ურთიერთობასა და მის ჰარმონიზაციაზე. დღის ბოლოს კი გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან.



— ყოველთვის ვცდილობთ, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ჩვენი აზრები და საფიქრალი გავუზიაროთ ერთმანეთს. ეს უკვე ტრადიციაა, რომელსაც ვერც ახლა ვუღალატეთ, — აღნიშნა სამუშაო რიტმით დაძაბული 6 ოქტომბრის დასასრულს ჰეიდარ ალიევმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

### კანონმდებლები



## პარლამენტის ბიუროს სხდომა

**7 ოქტომბერს გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც პლენარულ სხდომებზე განსახილველ სავარაუდო საკითხთა ნუსხა დაამტკიცეს. ბიუროს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი წერეთელი უძღვებოდა.**

8-11 ოქტომბრის პლენარულ სხდომებზე კანონმდებლები ჩვეულებისამებრ განიხილავენ კანონპროექტებს, იმსჯელებენ სარატიფიკაციო დოკუმენტებზე. პარლამენტი მოისმენს ცალკეული თანამდებობის პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს და იმსჯელებს კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხზე.

პარლამენტის ბიურო მიმართავს გენერალურ პროკურატურას ოქტომბრის დამლევამდე წარმოადგინოს პარლამენტში ინფორმაცია იმ პარლამენტართა შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს ან არღვევენ კანონს, და მოახსენოს თუ რა ადეკვატურ ზომებს იღებს მათ წინააღმდეგ.

იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის გოჩა პაიჭაძის წინადადებით, ბიურომ სასესიო კვირის დღის წესრიგში შეიტანა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა. როგორც სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა განაცხადა, შეთანხმდნენ იმ პრინციპზე, რომ დაბადების მოწმობებში უნდა აღდგეს ეროვნული კუთვნილების რეკვიზიტი.

პარლამენტის პლენარული სხდომა მუშაობას 8 ოქტომბერს 11 საათზე შეუდგება.

**საქინფორმი.**

### პრეზიდენტი

(პირველი გვერდიდან)

**— ამასთან დაკავშირებით არსებობს სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაცია, რომ შეჩერდეს ექსტრადიცია. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?**

— ჯერჯერობით ჩვენ არ უნდა ვიჩქაროთ. გადაცემის პროცედურა ისედაც ძნელია. საჭიროა ძალიან დიდი იურისტების ჩართვა ამ საქმეში. ერთის მხრივ, სახეზეა, რომ დაკავებულებს ჩეჩნეთში უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი, ყოველ შემთხვევაში მათ, ვინც ჩვენ გადავეცით. ეს საეჭვო არ არის. მეორე მხრივ, არსებობს საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც გადაცემის ვარიანტებს ზღუდავს. მე მგონი, ექსტრადირებულებს რაღაც რაოდენობა კიდევ დაემატება და ეს ევროსაბჭოში მსჯელობის საგანი გახდება.

შეიძლება, ტერორიზმთან ბრძოლის ფონზე ზოგიერთი კონვენცია გაფერმკრთალდეს, თუკი მათ დაუდასტურდებათ ეს დანაშაული.

**პირველი არხი (თეა ბეგიაშვილი):**

**— ბატონო პრეზიდენტო, პუტინმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, არ დასჭირდება იმ განცხადებების სისრულეში მოყვანა, რომლებიც მან ჩვენს წინააღმდეგ გააკეთა, თუკი საქართველოს ხელისუფლება ყველა იმ პირობას შეასრულებს, რაზეც თქვენ გქონდათ საუბარი. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ პრეზიდენტი პუტინი, მისი თავდაცვის მინისტრი კვლავ გააკეთებენ ჩვეულ განცხადებებს საქართველოს წინააღმდეგ?**

— გუშინ მას ასეთი განცხადებები არ გაუკეთებია. რუსეთის მასმედიამაც ძალიან მაღალი შეფასება მისცა გუშინდელ მოლაპარაკებას. მე არ გამოვრიცხავ, რომ დღეს რუსეთის დელეგაციის ჩამოსვლის შემდეგ, ზოგიერთი შეეცადა მდგომარეობის გამწვავებას.

დამშვიდობებისას მე და ბატონი პუტინი განვცალკევდით და სერიოზულად ვისაუბრეთ. მე მას ვუთხარი, რომ იმ პირობის შესრულება, რომელიც მოგეცით, პირველ რიგში ჩვენს ინტერესებშია. და მართლაც ასეა. რატომ არ არის ჩვენს ინტერესებში, რომ საზღვარი ისე იყოს დაცული, რომ უკან აღარავინ მობრუნდეს მათგან, ვინც იქით გადავიდა, ან ვისაც სურვილი აქვს, ისევ გამოისეირნოს ჩვენსკენ?! ამიტომ საზღვრის დაცვა თუნდაც იმ პრინციპით, რომელზეც მოვილაპარაკეთ — დამკვირვებლების მოწვევა, ერთობლივი პატრულირება და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი ჩვენს ინტერესებში არის და არა მარტო რუსეთის ინტერესებში.

**აქ — იძულებითი პაუზა რამდენიმე წამით, რადგან თვითმფრინავმა, რომელიც უკვე ასაფრენ ზოლზე გავიდა, მაქსიმალური სიჩქარის აკრეფა დაიწყო.**

**პრეზიდენტი ჩვენთან ჩამოჯდა. და ჟურნალისტებმა იმ რამდენიმე წამში კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვეს — პრეზიდენტ პუტინს დაბადების დღეზე რა აჩუქეთ? ცნობილია, რომ მას უყვარს, როცა ცხენებს ზუქნიან.**

**ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ეს შეკითხვა, მაგრამ ჯერ წინა შეკითხვაზე პასუხის გაცემა დაამთავრა:**

— საჩუქარი არ არის მთავარი...

საკითხი, რომელმაც შეიძლება სირთულეები შეგვიქმნას, ეს იქნება გადაცემის პრობლემა. გუშინდელი საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან დაიწყო იმით, რომ მან მადლობა გადაიხადა ხუთი პიროვნების გადაცემისათვის. თუმცა, მაშინვე ვთქვით, რომ გვექნება პრობლემები ამ საკითხში. დანარჩენი, არაფერი ისეთი არ ყოფილა, რამაც შეიძლება ჩვენი შეთანხმება დაარღვიოს.

მარტივად და მოკლედ თუ ვიტყვით, ასეთი იყო ის ძირითადი საკითხები ჩვენი საუბრისა, რომელიც საათზე მეტს გაგრძელდა და რომელმაც განმუხტა მდგომარეობა.

**— გახდება თუ არა კიდევ საჭირო სამმხრივი ფორმატი — საქართველო-აშშ-რუსეთი — რუსეთთან დიალოგის საწარმოებლად?**

— სამმხრივი ფორმატი დიალოგისთვის საჭირო არ იქნება, სამაგიეროდ, საჭირო იქნება სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ გუშინ დეტალურად ვერ განვიხილეთ აფხაზეთის საკითხი, ქართულ-ოსური კონფლიქტის საკითხი, რადგან არც დრო იყო, არც საშუალება და თვითონაც არ იყო მზად ამ საკითხების განხილვისათვის. გუშინ უნდა მოხსნილიყო დაძაბულობა, რომელიც ორ ქვეყანას შორის განვითარდა. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესახებ ურთიერთგაგების ფონზე უნდა ილაპარაკო. ეს ურთიერთგაგება უნდა ჩამოყალიბებულიყო.



# იმედის კუნძული უნდობლობის ოკეანეში,

## ანუ პრეზიდენტების საუბარი, რომელმაც მდგომარეობა განმუხტა



**— იყო თუ არა გულწრფელი პრეზიდენტი პუტინი, როდესაც დსთ წევრი სახელმწიფოების დელეგაციათა გაფართოებულ სხდომაზე ექსპრომტად ითხოვა პრეზიდენტთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გათავისუფლება და უკრაინის პრეზიდენტის არჩევა ამ თანამდებობაზე? თუ იყო ეს დიპლომატიური ნაბიჯი?**

— არა, დიპლომატიური არ იყო. ეს გახლდათ მისი სავსებით გულწრფელი სურვილი. მართალია, მთლად კარგად არ გამოვიდა, რადგან კუჩმას თავისი პრობლემები აქვს. მე მგონი, პუტინს ამოძრავებდა ის იდეა, რომ კუჩმასთვის მხარი დაეჭირა. და იგი დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტები მხარს დაუჭერდნენ. მთლად ასე არ გამოვიდა. დროებით გადაიდო ეს საკითხი. რამდენიმე თვის შემდეგ შევიკრიბებით და განვიხილავთ. პუტინის წინადადება რომ მიეღოთ, მართლაც კარგი იქნებოდა პუტინისთვისაც, კუჩმასთვისაც და თანამეგობრობისთვისაც.

**რამდენადაც გულწრფელი იყო პუტინი, იმდენად ხელოვნური და, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის შეფასებით, — ნაძალადევი და მლიქვნელური ჩანდა ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს გამოსვლა (თანაც — სამგზის). მეორედ სიტყვა რომ მოითხოვა, პუტინმა დაამუხრუჭა: — თქვენ ერთხელ ხომ გამოხვედით, ახლა სხვასაც მოვუსმინოთო.**

**ყველაფრიდან ჩანდა, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო ძალიან ცდილობდა რუსეთის პრეზიდენტისთვის დაემტკიცებინა ქვეშევრდომლური სულისკვეთება, რადგან მათი მოსკოვის შეხვედრის შემდეგ, ლუკაშენკოს ამბიციურობის გამო, რუსეთ-ბელორუსიის კავშირის პერსპექტივა საკმაოდ გაუფერულდა.**

**გაფართოებული სხდომის ფრიად საინტერესო პერიპეტიების შესახებ, იმედი მაქვს, შევძლებთ ცალკე წერილის გამოქვეყნებას, თუ ჩანაწერის ხარისხმა არ გვიმტყუნა.**

**— ხომ არ მოგიწვევიათ პუტინი თბილისში?**

— მოვიწვიე, მაგრამ არა დღეს და ხვალ. ვუთხარი, — თქვენც წაიმუშავეთ, ჩვენც წავიმუშავებთ, თქვენც გაქვთ გარკვეული ვალდებულებები: ნუ გავიწყდებათ, რომ წინ ზამთარია. ჩვენთვის მთავარი ის იყო, ამ ზამთრის პირზე არ შექმნილიყო ისეთი დაძაბულობა, რომ რუსეთს ეკონომიკური სანქციებისათვის მიემართა. გუშინ მან კაცური სიტყვა მომცა, რომ არავითარი ეკონომიკური სანქციები არ იქნება. ეს ნიშნავს, რომ თუ ფულს გადავიხდით, გაზს მივიღებთ. გაზს თუ მივიღებთ, გამოვიზამთრებთ. ესე იგი, მოქალაქეებისთვისაც მისაღებია ეს, მრეწველობისთვისაც, ეკონომიკა აღმავლობის გზით წავა და ასე შემდეგ.

ასე რომ, მე მაინც მგონია, ეს ორი დღე-დღე ნახევარი დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნების ახალ ისტორიაში.

ახლა საჩუქარზე გიპასუხებთ. არაფერი განსაკუთრებული — არც ცხენი, არც დათვი და მგელი არ მიჩუქებია. გადავეცი ხუციშვილის ნახატი — კუნძული ოკეანეში, რომელიც იმედს განასახიერებს. „იმედის კუნძული“ ასე ჰქვია. რომ შევადარე, რა ჩამოიტანეს ცენტრალური აზიიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან, რა თქმა უნდა, ჩვენი საჩუქარი მოკრძალებულია.

**— ვის ნიშნავთ თქვენ და ბატონი პუტინი თქვენს წარმომადგენლებად ამ დაძაბულობის განმუხტვის საკითხში?**

— ჯერჯერობით ასეა გადაწყვეტილი (შემდეგ შეიძლება გადაისინჯოს), რომ პუტინის წარმომადგენელი იქნება უშიშროების უწყების ხელმძღვანელი პატრუშევი. სხვათა შორის, დადებითი პიროვნებაა, ობიექტური და კარგად ერკვევა ჩვენს პრობლემებში. ჩვენგან — ხაბურძანია, რომელიც ამ წუთებში ან გზაშია, ან მოსკოვშია უკვე ჩასული. ეს ორი პიროვნება შექმნის რაღაც შტაბის მსგავსს და ვიმუშავებთ საიმისოდ, რომ ჩვენთან აღარ იყვნენ მოთარეშეები. თუმცა, ბევრი არ არის დარჩენილი, რამდენიმე ათეული თუა. ან მათი იზოლირება იქნება აუცილებელი, ან უნდა გაეცალონ საქართველოს.

პანკისის ხეობაში უნდა იყოს მშვიდობა, რომელიც დამყარდა.

* * *

**ზოგჯერ კითხულობენ, რას ნიშნავს შევარდნაძის ფაქტორი საქართველოსთვის?**

**აი, თუნდაც იმას, რაც 6 ოქტომბერს კიშინიოვში მოხდა.**

**არმაზ სანებლიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**კიშინიოვი-თბილისი.**

### ეხმაურებიან

# რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს

(პირველი გვერდიდან)

საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება არ წარმოადგენს რუსი ხალხის სურვილს. ჩვენც ზოგიერთ საკითხებში — განცხადებები იქნება ეს თუ სხვა, მეტი კორექტულობა გვმართებს.

**— დასავლელი პოლიტიკოსები დღეს უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ თუ რუსეთთან კონფრონტაცია გვექნება, ეს დასავლეთთან ინტეგრაციაში ხელს შეგვიშლის.**

— დიახ, ისეთ დიდ მეზობელთან, როგორიც რუსეთია, ურთიერთობის გაუმჯობესება, ჩვენი დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს.

**— სამიტის წინ ხუთი ჩეჩნის რუსეთისთვის გადაცემას საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა...**

— ერთი მითხარით, თუ არის რამე, რასაც ჩვენთან ხმაური არ მოჰყოლია. ჩვენ მივეჩვიეთ სამუშაო პროცესებში ჩარევას. ჩართულია ყველა, მასმედია იქნება ეს თუ სხვა, ვისაც ეს ეხება და არ ეხება. ეტყობა, იყო იმის საფუძველი, რომ გადავეცით. აქამდე კი, ალბათ, არ იყო ამის საფუძველი. ექსტრადიციის საერთაშორისო წესები არსებობს. ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებს, პასუხსაც ის აგებს. შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ. ყველაფერზე ხმაურის ატეხვა კი საჭირო არ არის. მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორედ ასეთი ხმაურია სარჩოსაბადებელი ზოგიერთი ჩემი თუ თქვენი კოლეგისთვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, სხვა სათქმელი არაფერი აქვთ, თუმცა, ქვეყანაში ბევრი ისეთი პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც მეტი დაფიქრება სჭირდება.

ესაუბრა
**მზია გელენავა.**

# ცივი ომი უნდა დასრულდეს

**— კიშინიოვის სამიტის შედეგებით, ვფიქრობ, დასაბამი მიეცემა ცივი ომის დასრულებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს ფრაქცია „ალიანსი ერთიანი საქართველოსათვის“ ლიდერმა ირაკლი გოგავამ.**

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ თქვა, პროგრამა მინიმუმი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს დასახული ჰქონდა ამ სამიტამდე, შესრულებულია, ახლა მთავარია, ამას ორივე ქვეყნისათვის კონკრეტული შედეგები მოჰყვეს. მთავარ პრობლემას ირაკლი გოგავა მაინც ორი ქვეყნის პოლიტიკური ელიტების ურთიერთობაში ხედავს, რომლებიც რეალურად ძაბავენ სიტუაციას. მისი აზრით, მხოლოდ ცალმხრივი კომპრომისი რუსეთთან გამორიცხულია, ვინაიდან საქართველო თვითონაც დაზარალებულია ტერორიზმისაგან.

ირაკლი გოგავას განცხადებით, მისასალმებელია მესაზღვრეების ერთობლივი პატრულირება ორი ქვეყნის საზღვარზე.

**საქინფორმი.**



## პირველი ნაბიჯი ფედერალიზმისაკენ

**7 ოქტომბერს თბილისის სასტუმრო „მარიოტში“ მუშაობა დაიწყო საერთაშორისო კონფერენციამ სახელწოდებით „ფედერალიზმისა და რეგიონალიზმის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში“, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-ექსპერტთა ჯგუფები საქართველოდან, გერმანიიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. კონფერენცია მიზნად ისახავს დასავლეთ ევროპის ფედერალური ქვეყნების მოდელების (კერძოდ, გერმანია, შვეიცარია, ბელგია, ავსტრია) განხილვასა და პოსტსაბჭოურ კავკასიაში ფედერალიზმის დანერგვის შემთხვევაში ამგვარი წყობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებას.**

## როდის ივლიან მატარებლები აფხაზეთში?

**რუსეთი და საქართველო ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ. ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიათა მინისტრმა ილია კლებანოვმა რუსეთის სომეხთა კავშირის ორგანიზაციის მიერ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას. კლებანოვმა აღნიშნა, „რომ ამ საკითხის მოგვარება დამოკიდებულია საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე“. რუსეთი, თავის მხრივ, მზად არის აღადგინოს მიმოსვლა. „იმედი მაქვს, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების გუშინ გამართული შეხვედრა მისცემს პოლიტიკურ იმპულსს ამ საკითხის გადაწყვეტას“, აღნიშნა კლებანოვმა.**

## ეროვნულმა კომისიამ თავი შეიკავა

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც იუსტიციის სამინისტროსაგან დასახვეწად მიიღო სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს-თელასისათვის“ ახალი ენერგოტარიფის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, მოულოდნელად თვითონვე თქვა უარი მის დამტკიცებაზე.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

### სიტუაცია

# ჩეჩენი პატიმრების საკითხი 14 ოქტომბრამდე გადაწყდება

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 14 ოქტომბრამდე უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოში დაკავებული ჩეჩენი ეროვნების პატიმრების საქმეებთან დაკავშირებით, რომელთაგან ხუთი რუსეთის ხელისუფლებას უკვე გადაეცა, — განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი წკრიალაშვილმა 7 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.**

როგორც ცნობილია, პანკისის ხეობაში დაკავებული 13 ჩეჩენი პატიმრიდან ხუთის ექსტრადიცია რუსეთში 4 ოქტომბერს 22.10 წუთზე განხორციელდა. იმავე დღეს, 23.30 წუთზე, იუსტიციის სამინისტრომ, როგორც ევროპის სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელმა, მიიღო რეკომენდაცია, არ განეხორციელებინა პატიმართა ექსტრადირება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვამდე. აღნიშნული რეკომენდაცია ევროპის სასამართლომ იმ სარჩელთა საფუძველზე მიიღო, რომლებიც ჩეჩენი ეროვნების 11 პატიმარმა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აღძრა. მიიღებს თუ არა ჩეჩენთა სარჩელს ევროსასამართლო წარმოებაში, ცნობილი გახდება მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლება პატიმართა შესახებ მას მიაწვდის ინფორმაციას.

რაც შეეხება საქართველოში დარჩენილი 8 ჩეჩენი პატიმრის შესაძლო ექსტრადირების საკითხს, ამჟამად მას გენერალური პროკურატურა განიხილავს და იგი გაითვალისწინებს ევროპის სასამართლოს რეკომენდაციას.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## კონტაქტები

# დიალოგი კავკასიის ქედის ორივე მხრიდან

**„რუსეთი და საქართველო – დიალოგი კავკასიის ქედის ორივე მხრიდან“ – ასე ეწოდება რუსი და ქართველი ჟურნალისტების კონფერენციას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოში. დისკუსია, ძირითადად, 4-6 ოქტომბერს მიმდინარეობდა ლიკანში. ორშაბათს შეხვედრის მონაწილეები თბილისში დაბრუნდნენ და გამართეს პრესკონფერენცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.**

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ პროგრამა „ღია საზოგადოება რუსეთი“, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი და ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი (მოსკოვი). ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ წამყვანი რუსი ჟურნალისტები: ვადიმ დუბნოვი (ჟურნალი „ნოვოე ვრემია“), იულია კალინინა (გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“), გალინა კოვალსკაია („ეჟენედელნი ჟურნალი“), ეკატერინე ლაბეცკაია (გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“), ლიანა მინასიანი (ტი-ბი-სი ტელეკომპანია, ყოფილი ტვ-6), ოლეგ პანფილოვი (ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი), მიხეილ პერეპლესნინი (ჰოლდინგი „ევრაზია“), ანა პოლიტკოვსკაია („ნოვაია გაზეტა“), გენადი სისოევი (საგამომცემლო სახლი „კომერსანტი“), პაველ ფელგენჰაუერი (დამოუკიდებელი სამხედრო მიმომხილველი), მიხეილ შეველიოვი (გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“), ლუბოვ გორიაევა (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) და საქართველოს მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლები. როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მიმართ ყველაზე ლოიალურად და კეთილმოსურნედ განწყობილი რუსი ჟურნალისტები, რომლებიც რეალურად არიან დაინტერესებული იმით, რომ შეუწყონ ხელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ორი სახელმწიფოს ჟურნალისტების პირველი ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრის მიზანი იყო ის, რომ ხელი შეეწყოთ საინფორმაციო ომის შეწყვეტისათვის, დაენგრიათ ნეგატიური სტერეოტიპები, ჩამოეყალიბებინათ ორი ქვეყნის პოზიტიური სახე. დიალოგის დროს განიხილეს ფართო სპექტრის საკითხები, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსთვის. ამას მოწმობს თვით დისკუსიათა თემებიც: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკური ასპექტები; ეკონომიკა და ვაჭრობა პოლიტიკური უთანხმოების ფონზე; სავიზო რეჟიმი – მიზეზები და შედეგები; წარსულსა და აწმყოში ორი ქვეყნის სახის აღქმის სტერეოტიპები; რა უშლის რეალურად ხელს ერთმანეთის დანახვას; კულტურათა დიალოგი „რკინის ფარდაში“; სახელმწიფოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საინფორმაციო პოლიტიკა – აზრთა დაახლოებისა და დაშორების წერტილები; ორივე ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მასალების არაადეკვატური მიწოდების მიზეზები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სიტყვის თავისუფლება; რუსეთისა და საქართველოს ჟურნალისტების პროფესიული თანამშრომლობის პერსპექტივები; ერთობლივი საინფორმაციო ცენტრის შექმნა.

როგორც რუსეთის ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა ოლეგ პანფილოვმა განაცხადა, ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ერთმანეთის მიმართ ინფორმაციის უკმარისობით, ვაკუუმით, რომელიც საჭიროა შეივსოს. „სწორედ ამას უნდა შეუწყოს ხელი ჩვენმა დიალოგმა, რომელიც გაგრძელდება მოსკოვში, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებისათვის“.

ოლეგ პანფილოვმა აღნიშნა, რომ კონფერენციის ფარგლებში რუს ჟურნალისტებს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდნენ არა მარტო ქართველ კოლეგებს, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებსაც. „ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, როგორც იტყვიან, პირველი ხელიდან“, – თქვა სტუმარმა.

ორშაბათს, ნაშუადღევს, რუსეთის დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძეს. სავარაუდოდ, სტუმრებს სამშაბათს მიიღებენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

**საქინფორმი.**

## ვითხოვ სიტყვას!

# ჩვენ არ ვუპირისპირდებით აჭარელ თანამოძმეებს, როგორც ამის წარმოჩენას ზოგიერთი ცდილობს

(პირველი გვერდიდან)

როგორც ჩანს, ამჯერად ჩვენი დოკუმენტაციის კამპანიის გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას დაუდგა, რასაც ცხადყოფს „აღორძინების“ ბლოკის წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა ტრიბუნიდან გაკეთებული უსაფუძვლო განცხადებები.

ჩვენ იძულებული ვართ კიდევ ერთხელ მივმართოთ საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონს, საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიას, გენერალურ პროკურატურას, სახელმწიფო კონტროლის პალატას, საბჭოს, საქართველოს პარლამენტის [illegible] ... დეკლარაციები და აფხაზეთის საომარ მოქმედებათა პერიოდში, აფხაზეთის დღეების [illegible] ... სახელმწიფო [illegible].

ვინაიდან აჭარის ავტონომიური ხელისუფლებისა და „აღორძინების“ წარმომადგენლებში ეჭვს იწვევს ჩვენი ლეგიტიმურობა, [illegible] ... ჩვენი ძალების ეროვნული ძალების გაერთიანებისათვის, [illegible].

სამწუხაროდ, ჩვენი ამ [illegible] ... აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის [illegible] ... „აღორძინების“ ბლოკიდან წამოსულ პირებს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამან არ უნდა შეაფერხოს თანამშრომლობა და აჭარელ თანამოძმეებთან [illegible] ... ვართ ეროვნული ძალების წარმომადგენლები, რომლებიც [illegible].

ვინაიდან ჩვენ იძულებული ვართ ვუპასუხოთ აჭარის ხელისუფლების [illegible] ... კონფრონტაციისა და ვიწრო ... საქართველოს ერთიანობის [illegible] ... მოიმოქმედოს.

**თამაზ ნადარეიშვილი,**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი.

## წერილი მინისტრს

# რა დააშავა კინომ?

**დიდად დავალებული დავრჩებით, თუ საქართველოს განათლების სამინისტრო ერთ კონკრეტულ საკითხზე გამცემს პასუხს.**

...ჯერ კიდევ 14 წლის წინათ გამოქვეყნდა სტატია (გაზეთი „ქართული ფილმი“, 2, XI, 1988) განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნზე (ლ. სანიკიძის, რ. მეტრეველის და ი. მახარაძის „ჩვენი სამშობლოს მატიანე“, V კლასის დამხმარე სახელმძღვანელო, ტირაჟი – 82 000), რომელშიც, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე ეწერა, რომ ქართული კინო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ანუ 1921 წლის შემდეგ შეიქმნა, რითაც ერთხელ კიდევ გადაესვა ხაზი ჩვენი ეროვნული კინოს ფუძემდებელს ვ. ამაშუკელს და მის უნიკალურ ფილმს „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა [illegible] ... მაგრამ მაინც, შეხედეთ ათეულობით ქართულ [illegible] ... რა დააშავა კინომ – ვიტყვით [illegible] ... სახელმძღვანელოებში [illegible] ... ქართული ხელოვნების [illegible] ... XX საუკუნის [illegible] ... ქართველი ... [illegible] ... ჯერ კიდევ ... ქართული ხელოვნების [illegible].

წიგნის პირველსავე გვერდზე [illegible] ... განათლების სამინისტრო.

[illegible] ... სახელმძღვანელო [illegible].

**[illegible],**

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, პროფ. **გიორგი დოლიძე.**

## უჩინმაჩინები დიდ კორუფციაში

# ვის ასულდგმულებს ზარალიანი საწა-

(პირველი გვერდიდან)

ამავე დროს, საგარეო ვალდებულებათა მომსახურების თანხებმა შეადგინა – 32,6 მილიონი ლარი, სუბსიდიებისა და ტრანსფერების [illegible] ... – 167,1 მილიონი ლარი. [illegible] ... ბიუჯეტების და საპენსიო ფონდის ტრანსფერები, [illegible] ... და სხვა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ [illegible] ... შემოსავლების [illegible] ... მხოლოდ 50 პროცენტი შეადგინა. [illegible] ... 2002 წლის [illegible] ... 725 ათასი ლარი დააკლდა.

შექმნილი მდგომარეობა [illegible] ... „ამოგმა“, სს „თბილსრესმა“, სს „მაუდმა“, სს „ქართულმა ჩაიმ“, სახელმწიფო ... სს „კოკა-კოლამ“, შპს „გუვამ“, „საქნავთობპროდუქტმა“ [illegible] ... საუკეთესო [illegible].

ფინანსთა სამინისტრომ [illegible] ... სახელმწიფო ქონების [illegible] ... 2002 წლის 22 აპრილის №190 განკარგულებით [illegible].

[illegible] ... ების განხორციელებას და არასაგადასახადო შემოსავლის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვისათვის პასუხისმგებელი ყველა სტრუქტურის არსებით გააქტიურებას.

[illegible] ... ურა მუშაობა სასესხო დავალიანებათა იძულებითი წესით ამოღების გზით. სასამართლო ორგანოებს გადაეცა 35 ორგანიზაციის საქმე, მათ შორის არიან „სამთოქიმია“, სს „აისბერგი“, სს „ზუ-

[illegible] ... სხვადასხვა ფორმით მართვაში გადაცემული სახელმწიფო ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგება.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახადების გეგმის შე- [illegible]

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 1535 შეზღუდული პასუხისმგებლობის და 323 სააქციო საზოგადოებიდან ფინანსთა სამინისტროში წი- [illegible] ... სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 2001 წლის წლიური ... მხოლოდ 405-მა წარმოადგინა. [illegible] ... სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში მობილიზების საქმეში.

**ოთარ ტურაბელიძე,**

საქინფორმის კორ.

## კადრები

**საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულებები, რომელთა თანახმად „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,** [illegible] ... რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

* * *

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85[2] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით მოსამართლის უფლებამოსილება დაეკისრათ:

**ზაალ მარუაშვილს** – ქუთაისის [illegible] სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება 18 თვის ვადით;

[illegible] ... განხორციელება 18 თვის ვადით;

**გიორგი გუგუნაშვილს** – ყაზბეგის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება 18 თვის ვადით.

**საქინფორმი.**

## საზღვარი

# დაარღვია ქვეყნის საჰაერო სივრცე

**7 ოქტომბერს, 00 სთ და 05 წთ. საქართველოს საჰაერო სივრცეში, დარიალის ხეობის მხრიდან შემოფრინდა ერთი ვერტმფრენი (სავარაუდოდ მი-8), რომელიც მალე გაუჩინარდა რუსეთის მიმართულებით. 00 სთ და 20 წთ და 00 სთ და 25 წთ,** [illegible] ... **სა-ჰაერო სივრცის დარღვევა.** [illegible] ... **10 სთ და 20 წუთზე კვლავ განმეორდა.**

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური.**

## განსჯა

# გარდამავალი საზოგადოების პრობლემები და გლობალური ინტერესები

საქართველო თავისი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში იმყოფება. ერთი მხრივ, განხორციელდა ქართველი ერის სანუკვარი ოცნება – აღსდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, ვერ მოხდა ამ ფაქტის რეალური გაცნობიერება – დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანაში კვლავ იმყოფება ყოფილი მეტროპოლიის სამხედრო შენაერთები, დაუცველია საზღვრები და ეროვნული შეიარაღებული ძალები მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ლტოლვილთა დიდი მასა და უმძიმესი სოციალური ფონი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება. არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელს უწყობს მოსახლეობის დანაწევრებას ეროვნული, სოციალური, რელიგიური ნიშნების მიხედვით. „საქართველოს მოქალაქის“ ცნება ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილია და თვალსაჩინოა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების გაუცხოება ქვეყნისაგან.

ამ წმინდა პოლიტიკურ მომენტებს აქვს ეკონომიკური ასპექტიც, რაც უკავშირდება გამჭვირვალე საზღვრებს და ზემოქმედებს საბაჟო და საგადასახადო სამსახურების მუშაობის ხარისხზე. პოლიტიკური საკითხების მოუგვარებლობა არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის თვალსაზრისით, ასტიმულირებს ჩრდილოვან ეკონომიკას და საბოლოო ჯამში ხელს უშლის სახელმწიფოს მიერ მომწესრიგებელი ფუნქციების შესრულებას.

ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა ძირითადად საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობას წარმოადგენს და გარკვეულად ობიექტური ხასიათისაა. ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ რამდენად ეფექტიანია ხელისუფლების ძალისხმევა ამ რთული პრობლემების გადაჭრის პროცესში, რამდენად აცნობიერებს თვით ქართველი ერი მის წინაშე მდგომ ამოცანებს, რამდენად დამაკმაყოფილებელია ეროვნული თვითშეგნებისა და კონსოლიდაციის დონე, როგორია დამოკიდებულობა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ეს საკითხები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ადგილი თანამედროვე მსოფლიოში.

უკანასკნელი წლების საქართველოს ისტორია უფრო მეტ საბაბს გვაძლევს ვიმსჯელოთ იმ დიდ შეცდომებზე, რომელიც დაშვებულია როგორც ხელისუფალთა, ასევე მთლიანად მოსახლეობის მხრიდან. საბჭოთა იმპერიის ნგრევის პერიოდში ქვეყანაში არ აღმოჩნდნენ ლიდერები, რომელთაც პრაგმატული პოლიტიკის წარმართვა შეეძლოთ. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა, ხოლო არსებული დაპირისპირება ოსტატურად გამოიყენა გარეშე ძალამ, ვერ ავიცილეთ სამოქალაქო ომი, რამაც საზოგადოება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით ორ მტრულ ბანაკად დაჰყო, დაპირისპირება იმდენად მწვავე იყო, რომ ვერ მოხერხდა ერის გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგაც კი.

ურთიერთშეხლით გართულმა საზოგადოებამ ვერ შეამჩნია, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში, ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, განვითარდა გლობალიზაციის პროცესები.

მძიმე პოლიტიკური ფონის პირობებში სისტემური ცვლილებები ეკონომიკაში იმგვარად წარიმართა, რომ მოსახლეობის ყურადღება პოლიტიკურიდან თანდათანობით სოციალურ პრობლემებზე გადავიდა; დაპირისპირება, რომელიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, თანდათან შენელდა, მაგრამ გაძლიერდა საზოგადოების დიფერენციაცია ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების მიხედვით. ამასთან ერთად, მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლებისა და მოხმარების დონე მკვეთრად დაეცა. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა (განსაკუთრებით 1995-1998 წლებში), მოსახლეობის დიდი ნაწილი ბოლო 10 წლის მანძილზე სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს და საზოგადოება მუდმივ დაძაბულობაში იმყოფება.

მოსახლეობისათვის ძნელი აღსაქმელია, რომ რეფორმის ეფექტი, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება თვალსაჩინო და ხელშესახები.

საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ხვედრითი წილი მოსახლეობის 50 პროცენტს აჭარბებს; მაშინ, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული საზოგადოებრივი განვითარების ზღვრულ-კრიტიკული მაჩვენებლების მიხედვით იგი 10 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო 20 პროცენტის ზღვარს ზემოთ იქმნება სახიფათო პირობები სახელმწიფოს ნორმალური არსებობისათვის.

ცხოვრების დონის განმაზოგადოებელ ინდიკატორად გამოიყენება სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურაში სურსათზე დანახარჯების ხვედრითი წილი. დღეისათვის ეს მაჩვენებელი საქართველოში 65 პროცენტს შეადგენს, რაც კეთილდღეობის უკიდურესად დაბალი დონის მაჩვენებელია. შედარებისათვის აშშ-ში იგი შეადგენს 10 პროცენტს, შვეციაში – 16,5 პროცენტს, იაპონიაში – 15 პროცენტს, პორტუგალიაში – 35 პროცენტს, საბერძნეთში – 33 პროცენტს (2000 წლის მონაცემებით).

თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანთა უმრავლესობას საარსებო საშუალებები აქვს დაქირავებული შრომის ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელფასი შემოსავლის ძირითად, ხოლო უმრავლესობისათვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. საქართველოში საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმის (საშუალო მომხმარებლის) მხოლოდ 90 პროცენტს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გარდამავალ პერიოდში ძალზე გაიზარდა კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი (უმუშევრობის, პენსიონერთა ხვედრითი წილის ზრდის და სხვა ფაქტორების ხარჯზე), ხელფასი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებას აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, ხელფასის ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო სტრუქტურაში საშუალოდ 25 პროცენტამდე შემცირდა (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 55-65 პროცენტის ფარგლებში მერყეობს).

დაბალშემოსავლიანთა შორის აღმოჩნდა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა, ანუ საბიუჯეტო მუშაკები. ეს მოსახლეობის ის ფენაა, რომელიც სოციალური დაცვის სისტემის გარეთაა მოქცეული. შემოსავლების განაწილების დისბალანსი, საბოლოო ჯამში, ზარალს აყენებს საზოგადოების ყველა ფენას. სოციალური პოლარიზაციის გაღრმავების შედეგად ირღვევა შრომითი მორალი, შეიმჩნევა განათლების ხარისხის დაცემა, თანდათანობით მცირდება უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, იზრდება დანაშაულობები და სხვა.

როდესაც ოჯახი უსახსროდაა, ხშირ შემთხვევაში მას უძნელდება მორალური პრინციპების აღქმა და მათ შესაბამისად მოქმედება. ასეთ პირობებში ყალიბდება განსხვავებული ინდიკატორები: საზოგადოებრივი მოვლენებისაგან გაუცხოება, ხელისუფლებისადმი უნდობლობა, სოციალური აპათია, რაც არცთუ იშვიათად სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების იგნორირებასაც კი იწვევს. ასეთი მსოფლმხედველობა საკმაოდ კონკრეტულად ვლინდება ადამიანთა მატერიალურ ცხოვრებაში. ამასთან, მისი ყველაზე ზედაპირული გამოვლინება – არის ნებისმიერი დაუცველი ობიექტის (ნივთის) ფიზიკური განადგურება ან მისაკუთრება. ჩვეულებრივ, ამ ადამიანთა ქცევები ზოგჯერ გაუცნობიერებელია და ინსტინქტების დაუფარავი გამოვლინების ფორმით გამოიხატება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს ილია ჭავჭავაძის ბიუსტის გატაცება უნივერსიტეტის ბაღიდან. ყველაზე სავალალო ისაა, რომ გამტაცებლებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ილიაზე. ეს მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებრივი გულგრილობის პირობებში ადამიანთა ნაწილი მოწყდა განათლების სისტემას, დაირღვა ოჯახური აღზრდის ტრადიციები და გაირიყა საზოგადოებისაგან. ყველაფერი ეს ქმნის საფრთხეს საზოგადოების ზნეობისათვის; შესაბამისად, ხელსაყრელი გარემო ყალიბდება საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და დესტაბილიზაციისათვის. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები ამ პრობლემებს გაცილებით ადრე შეეჩეხნენ და რადიკალური ზომები მიიღეს მათ გადასაჭრელად.



ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, ჯერ კიდევ აქვს დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები და შედარებით კარგი განათლება, მაგრამ არ აქვთ სამუშაო ან აქვთ დაბალი შემოსავლები, ხოლო პროდუქტიული შრომის გარეშე მორალური ნორმები ინგრევა.

მოსახლეობის უმრავლესობა თავისი დაბალი სოციალური სტატუსის მიზეზად ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას მიიჩნევს, მაგრამ როცა შექმნილ სიტუაციას აღიქვამენ როგორც რეალობას, ერთნი ცდილობენ მასთან ადაპტაციას, ხოლო სხვები (ესენი კი უმრავლესობაა), პასიური მოლოდინის პოზიციას იკავებენ. ადამიანთა პასიური მდგომარეობა უმწეობის, საკუთარი მდგომარეობის უპერსპექტივობის შეგრძნებით არის განპირობებული.

სრულყოფილი შიდა ბაზრისა და შემოსავლების რაციონალური განაწილების გარეშე შეუძლებელია ნორმალური ეკონომიკური ზრდა.

ამ მიმართულებით რეფორმების წარმატებით გატარებისათვის მნიშვნელოვანია მმართველობის მეთოდების სრულყოფა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია. დღეისათვის ამ პროცესის ოპტიმალური რეგულირების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება ბიუროკრატიზაციის პრობლემა, რაც დამახასიათებელია ტრანსფორმაციის პირობებში მყოფი საზოგადოებისათვის. ეს საკითხი გაცილებით აქტუალურია საქართველოში (ასევე სხვა გარდამავალ ქვეყნებში), ვინაიდან ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიული მართვის სისტემაზე გადასვლის პერიოდში ხშირად გვხვდება ამ ორი სისტემის უცნაური ჰიბრიდი, სადაც დემოკრატიული გარსის ქვეშ ძველი სისტემის საკმაოდ მყარი სტრუქტურა იმალება.

სამწუხაროდ, ხშირად თანამდებობრივი იერარქია ყალიბდება ხელმძღვანელთა სიმპათიებითა და ნაცნობ-მეგობრების „ინსტიტუტის“ გამოყენებით. შედეგად, მივიღეთ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც დაკომპლექტებულია დაბალპროფესიული და ნაკლებინტელექტუალური კადრებით. ძალზე ძნელდება რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, თითოეული ახალი წინადადება და რეფორმატული იდეა გაჭირვებით იკვლევს გზას უმაღლესი ხელისუფლებისაკენ. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება უწყებებს შორის გარკვეულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევისას. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ალან გოულდნერის აზრით, არსებობს ბიუროკრატიის ორი ტიპი: წარმომადგენლობითი ბიუროკრატია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძალაუფლება დამყარებული განათლებასა და უნარ-ჩვევებზე და ავტორიტარული, რომელიც გამოიყენებს სხვადასხვა სანქციებს (დასჯას) თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად. ბიუროკრატიის მეორე ტიპი წარმოიშობა ბიუროკრატიის ორგანიზაციაში დისფუნქციებთან დაკავშირებით, როდესაც მორჩილება იქცევა თვითმიზნად, ხოლო ძალაუფლება კანონდება თვით თანამდებობის დაკავებით. სამწუხაროდ, საქართველოში ბიუროკრატიული ორგანიზაციების შიგნით სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი შეინიშნება, რაც განაპირობებს პროფესიონალთა და ინტელექტუალთა „განდევნას“ ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან, ან მათ „დამორჩილებას“.

საკადრო პოლიტიკა ჩვენი, ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს „აქილევსის ქუსლია“. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბიუროკრატიის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. ფაქტია, რომ კადრები მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა, რაც სრულიად ბუნებრივი და მისასალმებელია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს პროფესიული სტრუქტურის ხარისხის დაცემის ხარჯზე. როგორც ფსიქოლოგები თვლიან და ეს დასტურდება სოციოლოგიური გამოკვლევებითაც, კარიერის გაკეთებას გარკვეული საფეხურები უნდა გააჩნდეს, რომელიც პროფესიული ზრდის შესაბამისი იქნება. აქ მთავარია არა მხოლოდ განათლების დონე, არამედ პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენაც, რომელიც გარკვეული გამოცდილების შედეგად მიიღწევა.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს როლზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მართვის სფეროში, ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, რომელსაც სიღრმისეული ხასიათი აქვს და ადამიანის საქმიანობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება. საუბარია იმაზე, რომ გლობალიზაცია უშუალო და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო საფინანსო ბაზრების საქმიანობის პირობებზე, სოციალურ პრობლემებზე და ა. შ. არამედ ახლებურად განსაზღვრავს სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოში.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესი ხელს შეუწყობს მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ზრდის ტენდენციების ჩამოყალიბებას, მაგრამ ამასთან, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო მასშტაბის ეკონომიკური ინტეგრაციის ღონისძიებები აძლიერებენ უთანაბრობის ტენდენციებს, ამწვავებენ სოციალურ პრობლემებს, ხოლო პერსპექტივაში გლობალიზაცია საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს და ერის არსებობას, ეროვნული ტრადიციების, ფასეულობების, სულიერი კულტურის, ინდივიდუალობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

სწორედ ამით არის განპირობებული, რომ თანამედროვე მსოფლიოში შეინიშნება ანტიგლობალისტური მოძრაობის გააქტიურება.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი აუცილებლად შეეხება საქართველოსაც, ვინაიდან თვითიზოლაცია შეიძლება მხოლოდ ნეგატიური შედეგების მომტანი იყოს. მით უმეტეს, რომ საქართველოს თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ გეოპოლიტიკური ფუნქციის რეალიზაციის გზაზე დიდი აქტუალობა შეიძინა იმ გრანდიოზულმა საერთაშორისო პროექტებმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის დიდი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი და არსებითი როლი ენიჭება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში.

ჩვენი აზრით, აუცილებელია სამთავრობო დონეზე დაისვას და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყდეს საკითხი გლობალიზაციის პროცესების შემსწავლელი ეროვნული კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ. ეს ცენტრი შექმნილ ვითარებაში, როდესაც სულ უფრო ღრმავდება ქვეყნის საერთაშორისო კავშირები და აქტუალური ხდება გლობალიზაციის პროცესებისათვის დამახასიათებელი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციების ანალიზი, შეიმუშავებს ეროვნული ინტერესების შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდება კონკრეტული სტრატეგიული კურსის განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**კოკა კუტუზიძე,**

საქართველოს კონტროლის პალატის V დეპარტამენტის უფროსი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სიცრუე

# მემარჯვენეობის არასაუმაწვილო სენი საქართველოში

## „ლიტრებს“ – ქალბატონებს ქეთი ფანცხავასა და ნინო ყიფიანს; „კოკებს“ – ბატონთ დავით გამყრელიძესა და ლევან გაჩეჩილაძეს

**სულხან-საბა გვამცნობს, არის ერთი ჩიტი, თათვალს უხმობენ, ვიდრე ძვალს გადაყლაპავდეს, უკან შეიყოფს, გაიზომავს, მონელებას თუ შეძლებო...**

**კარგა ხანს ვიჭოჭმანე, ვიდრე წერილის დაწერას გადავწყვეტდი. უმთავრესი მიზეზი წერილის ანტიგმირთა მანდილოსნობა იყო. მერე კი ვიფიქრე, რამდენი ქალი, ოჯახის დედა დარჩა მოტყუებული-მეთქი და ამან გადასძალა. თანაც, თუ პარტმუშაკობას ინდომებ, ჯერ ნომენკლატურა ხარ და მერე ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელი. ვინმეს ხომ არა ჰგონია, ნომენკლატურა მხოლოდ კომპარტიას ჰყავდა? ვიდრე პარტიულობა იარსებებს, ნომენკლატურაც იქნება.**

ჯერ ამბავი: 3 მაისს, პარასკევი იყო, ჩემმა ნათესავმა პარმაღიდან დაინახა, სამი პიროვნება – ორი მამაკაცი და ერთი ქალი – მეზობლების სახლებში მიმოდიოდა. იგუმანა, რაღაც კომისია იქნებაო და, რაკი მიწისძვრამ ბინის ერთი კედელი თითქმის მთლიანად დაგვინგრია, ხოლო მეორის მესამედი მეზობლად მიჯრით აგებულ სახლს „მიასვენა“, ამბის გასარკვევად გამოელაპარაკა. „მემარჯვენეთა“ ჩვენი, ისანსამგორის რაიონული ორგანიზაციიდან ყოფილან. დაზარალებულთა განცხადებების სისწორეს ამოწმებდნენ. უთხოვია, მეც დავწერ განცხადებასო, მაგრამ ხელები გაუსავსავებიათ, ეგ აღარ იქნება, დაიგვიანეთ, გუშინ შეწყდა განცხადებების მიღებაო.

არის ასეთი ქართული სიტყვა „ეგებ“. გაჭირვებული კაცისთვის მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თითქოსდა იმედგადაწურულს, მაინც მისი – ამ „ეგების“ იმედი აქვს.

ჰოდა, ეგებ როგორმეო, მაინც მიაშურა „ახლების“ რუსთაველზე მდებარე ოფისს – იმათგან გაუგია მისი არსებობაცა და მდებარეობაც. დაკეტილი დახვდა. ისე „ეგების“ იმედით შემომიარა რედაქციაში. თუ შეწყდა, მაგას რაღა ეშველება, ჩვენ რა წითელი კოჭები ვართ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მაინც გავიკითხ-გამოვიკითხე და დავადგინე, რომ 3 მაისს განცხადების შეტანა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, თანაც, განცხადებების მიღება სულ კი არა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო იყო დროებით შეჩერებული.

გამიკვირდა: თუ 3-ში კიდევ შეიძლებოდა განცხადებების მიღება, მაშ, ოფისი, სადაც სწორედ ეს განცხადებები უნდა დაწერილიყო, რატომ იყო გამოკეტილი და კიდევ – განცხადებების მიღების დროებით შეწყვეტის მიზეზი მეხამუშა. დიდება უფალს, გაჭირვებულის დახმარებაზე უფრო სათნო საქმე მაცხოვრისათვის რა უნდა იყოს?

გავბრაზდი, თანაც „ორნაირად“; ჯერ, რომ თავად სიცრუემ გამაბრაზა – რას იტყუები, განცხადებების მიღება შეწყდაო და არც აკონკრეტებ, დროებითო; მერე კიდევ „მემარჯვენეთა“ გამოც გავბრაზდი. დიდებული წამოწყებაა – თუმცა ბრიყვთათვისაც უნდა ყოფილიყო გასაგები ამ ინიციატივის ნამდვილი მიზანი – მაგრამ დახმარება ხომ მაინც დახმარება იქნებოდა? ასეთი მტყუანნი კი სახელს უტეხავენ თავისსავე პარტიას! სწორედ ეს ვუთხარი 7 მაისს ბევრეთის ოფისის საოფისე მდივანს და, რაკი ზურგსუკან ქმედება არა მჩვევია, დავურთე, ამის შესახებ წერილის დაწერას ვაპირებ-მეთქი. შეშფოთდა. მაშინ მითხრა ქალბატონი ქეთის თაობაზე – ის ხელმძღვანელობს „მიწისძვრის ამბებსო“, მისი მობილურის ნომერიც ჩამაწერინა, ჩემიც ჩაიწერა და დარეკვაც ვერ მოვასწარი, ქალბატონი ფანცხავა თავად დამიკავშირდა. იმასაც იგივე გავუმეორე. მითხრა, ზომებს მივიღებთ (ოჰ, ეს უკვდავი პარტიული ფრაზა!), მობრძანდით ოფისში, განცხადება დაწერეთო. მივუგე, არანაირ პრივილეგიას არ მოვითხოვ, თუ განცხადებების მიღებას განაგრძობთ, დავწერ, თუ არადა, გამონაკლისი არ მინდა-მეთქი, დამარწმუნა, განვაგრძობთო.

ასე დაიწყო ჩემი და ქალბატონ ქეთის ორტაიმიანი ურთიერთობა.

პირველ ნახევარში ვურეკავდი ხოლმე. ქალბატონი ფანცხავა ვერ იტყვის, თითქოს რაიმე გამორჩეული მოვანდომე ჩემთვის. ეგ იყო, მწარე გამოცდილებიდან ვიცი, თუ შენსავე საქმეს შენვე არ მიჰყვევი, მოგჭამა ჭირი, რა დაგიკარგია, რას ეძებ. ამიტომაც ვეხმიანებოდი ჟამიდან-ჟამ. რატომ მპირდებოდა, აი, ხვალ მოვა კომისია, აი, ზეგო? ეთქვა, დალოცვილს, ბატონო ჩემო, რიგით მერამდენე ხართ, მოგიწევთ და გეახლებითო. ეგ იქნებოდა და ეგ. დრო კი გადიოდა. არჩევნებიც გაიმართა, ვაცალე, ციებ-ცხელება ჩამცხრალიყო და ისევ დავურეკე. ასე, ივნისის შუა რიცხვები იქნებოდა. გაიხარა და რა გაიხარა! რა კარგია რომ დარეკეთ, აგერ, ახლა დგება კომისიები, გირეკავდით, მაგრამ სხვაგან ეხვდებოდი, გადავრიე ის ქალი, არაა ქალბატონო რედაქცია, გაიგეთ, ბოლოს და ბოლოსო; მისამართი ჩამაწერინეთ, დამდეგ კვირას, ორშაბათიდან – ხუთშაბათამდე უცილობლად გველოდეთ, პირადად მოვალო.

კი დაველოდეთ: განცხადებაში მისამართიცა და ტელეფონებიც – ბინის, სამსახურის მითითებული იყო. იმ გაუთავებელ შეცდომით რეკვას განცხადებაში ერთხელ ჩახედვა არა სჯობდა, ტელეფონებიც ეწერა და მისამართიც? ახლა კომისიები? თუ კომისიები ის-ის იყო ყალიბდებოდა, უწინ რომ მპირდებოდა, მოვა კომისიაო, ნეტავ, ის რაღა კომისია იყო? ან, მისი თქმით, დღეში 12-12 დაზარალებულთან რა კომისიები მიდიოდა? ამან ყველაფერმა წამში გამიელვა თავში, მაგრამ, ჯანი გავარდეს, რაც არის არის, მთავარია, მოვიდნენ და დაასკვნენ, რომელი კატეგორიის დაზარალებულნი ვართ-მეთქი, ვიფიქრე და მისამართი, ტელეფონის ნომერი ვუკარნახე. თან შევთავაზე, თუ საჭიროა, რედაქციიდან ორიოდ ნაბიჯზეა თქვენი ოფისი, ციმციმ მოვალ-მეთქი, მაგრამ შეიცხადა (სწორედ რომ შეიცხადა), არა და არაო. ახლა ვფიქრობ, იცოდა, რა კომისიებიც დამხვდებოდა იქ და რას მიმასუნინებდა?!

ასე დასრულდა ჩვენი „ტელეფონობიის“ პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმი „მოწინააღმდეგის“ გამოუცხადებლობის გამო არ შედგა, თუმცა, მეორე მხარე მოგებული სულაც არ დარჩენილა. ან – შედგა, მაგრამ მხოლოდ მე „ვთამაშობდი“ – ვურეკავდი. ქალბატონი ქეთი კი... გაქრა. ოფისში ჯერ მეუბნებოდნენ, ობიექტზეაო, უფრო მოგვიანებით – აქ აღარ მოდის სამსახურშიაო. ხოლო სახელდობრ, რა სამსახური იყო ეს, ვერა და ვერ დავაცდენინე, ბოლოს მითხრეს, ცენტრალურ ოფისშიაო. დავურეკე. ოფისის მდივანმა ნინომ (ასე წარმომიდგა) მომახალა, ქალბატონმა ქეთიმ ყველა განცხადება რაიონულ ორგანიზაციებს გადასცა, იმას მიაკითხეთო და ყურმილი დამიკიდა. მობილურზეც ვურეკავდი. მხოლოდ ერთი რამ მინდოდა მეკითხა, ასე უტიფრად რატომ მომატყუა. „აბონენტი არ პასუხობს, ან გასულია მომსახურების სფეროდან“, იყო პასუხი. მაშ, რა ექნა?! რამდენი ასე მოტყუებული დაურეკავდა? ასეთ დროს ხომ სწორედ შემსრულებლებზე ტყდება ხოლმე ჯოხი!

ახლა ქალბატონ ნინო ყიფიანზე. მასთან მიმასწავლეს, ეგ არის მიწისძვრის საკითხთა გამრიგეო. მივედი. ოფისში დამხვდა. გამოვეცნაური, ძალზე მოკლედ მოვუყევი ჩემი და ქალბატონ ქეთის ამბავი და ვკითხე, ამას თქვენ რას დაარქმევდით-მეთქი.

რა თქმა უნდა, არაფერი დაურქმევია. მაგისა არაფერი ვიცი, ქეთის დავურეკავ, თუ ტელეფონი ჩართოო (?!) არ ჩაერთო. მერე დამამშვიდა, დახმარებების გაცემა დეკემბრამდეა, ნურაფერს იღელვებთო და ისან-სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბატონ ავთანდილ ნადარაიას დაურეკა, ესა და ეს კაცია, რასაც ითხოვს, სულ ისაა, კომისია მოვიდეს დაზიანების კატეგორიის დასადგენად და ნუ გააწბილებთო. იმან რა უპასუხა, მე რას გავიგონებდი. ისევ ქალბატონმა ნინომ მითხრა, პირობა მომცა, აუცილებლად მოაგვარებს მაგ საქმესო. თან ბატონ ნადარაიას მობილურის ნომერიც მომცა. მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

კვირის თავზე დავურეკე ბატონ ავთანდილს – ვაცალე კაცს. ხმაში უხერხულობა ვიგრძენი, ბატონო, კომისიების გამოგზავნა რაიონული ორგანიზაციების კომპეტენცია არ არის, ცენტრალური ოფისიდან ხდება ეს: ჩვენი უფლება მხოლოდ განცხადებების შემოწმებაა და, აკი, ყოფილან კიდეც თქვენთან; საერთოდ კი ბრძანება მივიღე, განცხადებები შევკრიბო და ცენტრალურ ოფისში წავიღო, დახმარებების გაცემა... შეწყდაო.

ვინ დამარწმუნებს, ქალბატონმა ნინომ არ იცოდა, კომისიების გაგზავნა რაიონული ორგანიზაციების კომპეტენცია რომ არ იყო?

ვინ დამარწმუნებს, ქალბატონმა ნინომ, იმან, ვინც უშუალოდ განაგებდა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებას, სულ რაღაც ერთი კვირით ადრე არ იცოდა, რომ დახმარებები შეწყდებოდა, ან სულაც უკვე შეწყვეტილი იყო?

მეორე დღეს მაინც მივედი ოფისში. ძალიან მინდოდა ქალბატონი ნინოსთვის თვალებში ჩამეხედა. კარი დაკეტილი იყო. იქვე განცხადება იყო გამოკრული, დახმარებების გაცემა შეწყდაო.

აი, „მემარჯვენეებთან“ ჩემი ურთიერთობის მთელი ამბავი.

ბატონო „ახლებო“ რამდენიც გნებავთ კაციც გამოიყვანოთ პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, რამდენიც უნდა ილაპარაკოთ აღშფოთებულებმა, უანგაროდ ვეხმარებოდით ხალხს, კინკილა მაგალითი რა მოსატანია, სულ 10-10 ათასი ლარი ვურიგეთ დაზარალებულებსო, მაინც მტყუანნი იქნებით. და, აი, რატომ.

ყველაზე უკეთ ვინ უწყოდა, რა სახსრებსაც ფლობდით? ამიტომ თავიდანვე ისე უნდა გაგენაწილებინათ, ერთნაირად დაზარალებულთ ტოლ-ტოლად ხვედრმოდათ. თქვენ კი რა ჰქენით? მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ გამოიდეთ თავი. ვგონებ, 38 ოჯახს დაეხმარეთ 10-10 ათასი ლარით. უთო თუ მაცივარი არ აყვირებულა ამაზე, თორემ ხომ შეაჯერეთ ცა და ქვეყანა! გაგხსენებიათ მაინც სახარებისეული, შენმა მარჯვენამ ისე ქმნას სიკეთე, მარცხენამ არა უწყოდეს რაო?

ეგეც არაფერი – გასაგებია პოლიტიკური ბრძოლაცა და წინასაარჩევნო პერიოდიც. მაგრამ, რომ ნახეთ, თანხები აღარ გქონდათ – რამდენადაც ვიცი, საარჩევნოდ 200 ათასი ლარი „გერგოთ“ და ის მოახმარეთ დაზარალებულთ. 38-ჯერ ათი ათასი კი უკვე 380 ათასია – რატომ არ შეწყვიტეთ განცხადებების მიღება?! ხომ აგროვეთ და აგროვეთ, ხომ აიმედეთ და აიმედეთ ხალხი? ამას რა ჰქვია? რატომ იყო გამოკრული რუსთაველზე მდებარე თქვენი ოფისის კარზე განცხადება, 6 ივნისიდან განცხადებების მიღებას განვაახლებთო, ხოლო რაღაც ორ კვირაში საერთოდ შეწყვიტეთ მათი მიღება? რა, თავმა არ იცოდა ხელ-ფეხი რას აკეთებდა? ამიტომ, თქვენ, ბატონებო, დახმარების გაწევა კი არ გსურდათ, ხმები, ამომრჩეველთა ხმები გწყუროდათ და „შესვით“ კიდეც. კი, ვერ დარწყულდით – გაცილებით მეტს ელოდით – მაგრამ, რაც იგემეთ, იმის ლომის წილი ასე მზაკვრულად გათელილი მიწისძვრით დაზარალებულთა „დახმარებით“ მოიპოვეთ. ისე, ვერც მაგას მიიღებდით.

ესეც გვახსოვდეს – წინ საპარლამენტო არჩევნებია. ვნახოთ, რომელი პარტია რას „შემოგვიგორებს“. ხალხო, ნუ აჰყვებით ამწუთიერ ცდუნებებს, თუ რამ იოტისოდენას მაინც მოგვიგდებენ, პარლამენტში რომ მოირთხავენ ფეხს, სულ ათმაგად ამოიღებენ ჩვენი კისრებიდან.

„მემარჯვენეთა“ რუსთაველის ოფისიც, ალბათ, ისევ „ყველაზე საჭირო დროს“ გაიხსნება.

**კონსტანტინე გურგენიძე.**

მადლიერება

# ქართველთა კეთილი დობილი



ცხინვალის სამშობიარო სახლის ლაბორატორიაში მუშაობს თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა ქალი მზია ხურიევა. ყველა, ვინც მასთან თუნდაც ერთხელ მოხვედრილა, მოხიბლული რჩება მისი კეთილშობილებით, ადამიანთა გასაჭირისადმი თანაგრძნობის უნარით. როცა რომელიმე პაციენტს და განსაკუთრებით, ორსულ ქალს ანალიზში რაიმე ცვლილება აღმოაჩნდება, მზია ისევე განიცდის, როგორც საკუთარი ახლობლისას და ტაქტიანად აძლევს რჩევას ავადმყოფს.

ასეთივე პასუხისმგებლობით ეკიდება იგი ყველა საქმეს. ოჯახის ახლობლებს ყოველთვის იმედად ეგულებათ, რადგან გაჭირვებაში მუდამ მათ გვერდითაა... და ეს მაშინ, როცა თვითონაც დიდი ოჯახი აქვს, სამი მამაკაცი ჰყავს მოსავლელი – მეუღლე და ორი ვაჟი.

განსაკუთრებულ სითბოს ავლენს ქართველი პაციენტებისადმი. მზია მიამბობს, რომ იგი თბილისში, სვანეთის უბანში დაიბადა და გაიზარდა. 26-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა პირველ სამედიცინო სასწავლებელში განაგრძო. მერე ქალაქის მე-5 კლინიკურ საავადმყოფოში სამი წელი იმუშავა მედდად. 1977 წელს თავის მეზობელ ხეთაგ კაზიევთან ერთად შექმნა ოჯახი. ხეთაგმა ის იყო დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის საბჭოთა მეურნეობაში გაანაწილეს. იქიდან პარტიის ცხინვალის რაიკომში გადაიყვანეს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, 1982 წელს კი ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნეს ორი წლით. მზია ამ დროს თბილისში ცხოვრობდა, ორ ბიჭს ზრდიდა, მუშაობდა. 1984 წლიდან კი, როცა მეუღლე ცხინვალში დაბრუნდა სამუშაოდ, ისიც ჩამოვიდა და სამუდამოდ აქ დამკვიდრდა ოჯახი. მზიამ იმ წელსვე დაიწყო მუშაობა ცხინვალის რაიონის სანეპიდსადგურში ლაბორანტად. ამასთან, დიდი ხნის ოცნებაც აისრულა. მას ბავშვობიდანვე იზიდავდა პედაგოგის პროფესია, ბავშვებთან მუშაობა და ამიტომ სწავლა განაგრძო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი მეთოდიკის ფაკულტეტზე. მიზნის მისაღწევად გზა რომ გაეადვილებინა, ცხინვალის მე-4 ქართულ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა საქმეთა მმართველად. მაგრამ 1990 წელს, ცხინვალში ყველაფერი თავდაყირა დადგა და აღარც ქართული სკოლები არსებობდა... მზიამ კვლავ სანეპიდსადგურს მიაშურა, იქიდან კი სამშობიარო სახლის ლაბორატორიაში გადავიდა.

მიუხედავად გაცრუებული იმედებისა, მას თავისი დღევანდელი სამუშაო ძალიან უყვარს. ეს მისი შინაგანი ბუნებიდან მოდის – რასაც ხელს მოჰკიდებს, საფუძვლიანად და სიყვარულით უნდა გააკეთოს. ამიტომაცაა, რომ მის გაკეთებულ ანალიზში ეჭვი არავის ეპარება. უყვარს თავისი პატარა კოლექტივიც, ყველა მათგანზე გამოძებნის თბილ სიტყვას – ლაბორატორიის ექიმ მადინა თადტაევაზე, ლაბორანტებზე ალა გალავანოვასა და ანჟელა სიუკაევზე. სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის, ანჟელა სანაკოევას ადამიანურ თუ პროფესიონალურ თვისებებზე საათობით შეუძლია ისაუბროს. ახალგაზრდა სპეციალისტი კვალიფიკაციის ამაღლებაზეც მუდმივად ზრუნავს, პირველი კატეგორიის ლაბორანტია და წელს, ალბათ, უმაღლეს კატეგორიას მიანიჭებენ.

პატივს სცემენ ცხინვალელები მზია ხურიევას, მას კი ტკბილად ახსენდება თავისი ბავშვობისა და ყმაწვილქალობის ქალაქი თბილისი. პატივისცემით იხსენებს თავის სკოლის დირექტორს გივი ხომერიკს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ბაბულია ფურცელაძეს, პედაგოგებს სარდიონ რომელაშვილს, მერი ხუდავერდოვას და სხვებს. ბევრი კარგი ახსოვს მათგან. არასოდეს ჰქონია სკოლაში პრობლემა იმის გამო, რომ ოსი იყო. სპორტი უყვარდა და ხელბურთში სკოლებს შორის შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა.

აქაც ხშირად ჰყავს ქართველი პაციენტები, რომლებიც ისე მოდიან მასთან, როგორც უფროს დასთან და დედასთან: ნატო მაისურაძე ნიქოზიდან, ხათუნა სალამაძე – მერეთიდან, მარინე ჯოჯიშვილი თავის ქალიშვილს ისე ანდობს მას, როგორც დას მიანდობდა... ისეთი ერთგული პაციენტებიც ჰყავს, რომლებიც სხვასთან არ მიდიან და მაინც მას ელოდებიან. ხშირად, ქართული სოფლებიდან მოყვანილ მშობიარეს, როცა გვერდით ახლობელი არ შესწრებია, მზია შეჰყოლია სამშობიარო ბლოკში გასამხნევებლად, რომ თავი უცხოდ არ ეგრძნო.

– მე თბილისში გავიზარდე, ქართველი ხალხის სიყვარულით გარემოცული და დღეს ჩემი ქცევით, ზოგადად, ქართველებისადმი გამოვხატავ მადლიერებას, – ამბობს გულწრფელად.

დღესაც კავშირი აქვს სკოლის მეგობრებთან, იცის, ვინ რას აკეთებს, ვინ დედამთილი გახდა, ვინ – ბებია. თვითონაც შვილებისთვის თავდადებული დედაა. ოლეგმა უკვე დაამთავრა ცხინვალის უნივერსიტეტის საავტომობილო ფაკულტეტი, ფელიქსი კი ისტორიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. მზიას ოცნებაა ორივე ხალხის კვლავ ძმური დაახლოება და უღრუბლო, მშვიდობიანი ცა – როგორც თავისი შვილების, ისე ყველა ახალგაზრდისათვის.

**ციალა კახნიაშვილი.**

ჩვენებური

# შვილი ორი ქვეყნისა



## აბრაამ საპირის (სეფიაშვილის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური პორტრეტისათვის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით

**ისრაელის ქართული გაზეთის „ალია საქართველოდან“ გამომცემელს და მთავარ რედაქტორს, ისრაელ-საქართველოს კულტურულ-მეგობრული კავშირის რუსთაველის სახელობის საზოგადოების დამაარსებელს და თავმჯდომარეს, ქალაქ ბათ-იამის მერის ყოფილ მოადგილეს და ამ ქალაქში ქართული კულტურის ცენტრის დამაარსებელს ბატონ აბრაამ საპირს (სეფიაშვილს) დაბადებიდან 60 და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 40 წლისთავი უსრულდება.**

სამი ათეული წლის მანძილზე ბატონ აბრაამის ნამოღვაწარის ფრაგმენტული გახსენებაც კი სცილდება საგაზეთო წერილის ჩარჩოებსა და ნორმებს, მთელი ამ ხნის მანძილზე არ დარჩენილა კულტურული, საზოგადოებრივი, საბრძოლო თუ სახალხო თვალსაზრისით რამდენადმე მნიშვნელოვანი ებრაულ-ქართული ღონისძიება ისრაელში, რომ მისი უშუალო ინიციატივით ან დიდი მეცადინეობით არ განხორციელებულიყოს.

რეპატრიაციისა და აბსორბციის დღევანდელ ნორმალურ და ცივილიზებულ პირობებთან და წესებთან შედარებით მაშინდელ რადიკალურად განსხვავებულ, ძალზე ნეგატიურ პროცესებს, როცა სსრ კავშირის მაღალგანვითარებულ ებრაელობას ტოტალიტარიზმით დამონებულ, უსწავლელ, ნახევრად ველურ მდგომარეობაში მყოფ ბრბოდ მოიაზრებდნენ, სრულიად ბუნებრივად ახლდა თან ებრაელთა ნაწილის ძველი ოპტიმისტური იმედებისა და ახალი ურთულესი რეალობის შეჯახება, მათ ცნობიერებაში ჩაბუდებული ებრაული მითების მსხვრევა და მამაპაპური ფასეულობების უმოწყალო დევალვაცია.

ენის უცოდინარობა და „მოწოწიალე ებრაელის“ გულქვა ბედისწერა ფაქტობრივად ცოცხალი სამყაროდან მოწყვეტილს და პარალიზებულს ხდიდა მათ არსებობას თავიანთი სიცოცხლის ამ უძნელეს პერიოდში.

და ამ დროს, ისრაელში ჩამოსულ ქართველ ებრაელთა მიერ საქართველოსა და ქართველთა არდავიწყების, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობების გამოვლინება, ისრაელის სახელმწიფო და უშიშროების ორგანოების სრულიად ბუნებრივ გაოცებასა და სიფრთხილეს იწვევდა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა ასოციაციებსაც კი ბადებდა, რის გამოც ამგვარ მოღვაწეობას მაშინ სათოფეზეც არავინ ეკარებოდა. თვით მის ინიციატორს ა. სეფიაშვილს და მის ოჯახს კი ახალ ქვეყანაში ჩამოსვლის ისედაც ძნელი პერიოდის გადალახვასთან ერთად დიდ პრობლემებს და წინაღობებს უქმნიდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ სხვა ქვეყანაში ვინმეს აბსორბირება ნორმალურ პირობებში სულაც არ გულისხმობს არც მამაპაპური გენეტიკური კოდებისა და არც ათეულობით წლების მანძილზე ცხოვრების შედეგად დაგროვილი ცოდნის, გამოცდილებისა და სულიერი კომპლექსების ქირურგიულ ამოკვეთას და ახლის ჩანერგვას, არამედ ძველზე ხელშეუხებლად მასში ახლის ნელ-ნელა კულტივირებას. საბედნიეროდ, ახლის ჩანერგვას სრულიად ბუნებრივად თვით ახალ ქვეყანაში ცხოვრება ახდენს. რაც შეეხება ძველის მოფერებას, ეს მაშინ სახელმწიფოს ნაცვლად სწორედ ბევრი ქართველი ებრაელის დახმარებითა და მხარში ამოდგომით აბრაამ სეფიაშვილის მიერ ქართული გაზეთის გამოცემამ და საქართველოსთან მეგობრობის რუსთაველის სახელობის საზოგადოების დაარსებამ აიღო თავის თავზე. მათი ეგიდით დაიწყო ქართველ ებრაელთა ქართულენოვანი თეატრალური კოლექტივების, ქორეოგრაფიული და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ჩამოყალიბება, პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებების გამოქვეყნება, ასობით ექსკურსიისა და კონცერტის მოწყობა, ლიტერატურული და პოეზიის საღამოების გამართვა და ათობით სხვა საშუალების გამოყენება, რამაც დიდად შეუწყო ხელი გაორებულ სულთა ორმაგი სტანდარტებით ცხოვრების გაიოლებას და ისრაელში ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილის აბსორბციისა და ნოსტალგიის ძნელი პერიოდების გადალახვას.

ისრაელის პრესას შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართველ ებრაელთა ეს აქტივობა. ცენტრალურ ებრაულ გაზეთებს არაერთხელ გამოუქვეყნებიათ წერილები და ფოტოები აბრაამ სეფიაშვილის შესახებ. თავად მასაც ხშირად ჰქონია შეხვედრები ისრაელის პრემიერ-მინისტრებსა და მთავრობის წევრებთან. ყურადღებით აკვირდებოდნენ ქართველ ებრაელთა აქტივობას ისრაელის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხშირად ამ აქტივობაში სახელმწიფოს მიერ მიღებული გზებისა და ნორმების წინააღმდეგ სვლას ხედავდნენ, ასევე, ისრაელის პოლიტიკური პარტიები გრძნობდნენ გარკვეული ძალის წარმოქმნას, რომელსაც შეეძლო ქვეყნის პოლიტიკური რუკის შეცვლა. და დაიწყო შესაბამისი ქმედებები აბრაამ სეფიაშვილის წინააღმდეგ. შორს წაგვიყვანდა იმის თხრობა, თუ რა გზები იქნა გამოყენებული ისრაელის ისტებლიშმენტის მიერ განხეთქილების ჩამოგდებისა და ქართველ ებრაელთა ერთიანობის გახლეჩისათვის... ისე კი, საბჭოთა და ქართველ ებრაელთა ისრაელში ჩამოსვლამ მართლა დაანგრია ათეულობით წლების მანძილზე სახელმწიფო სათავეში მყოფი ტოტალიტარული პარტიის ჰეგემონია და მისი მთავრობის მეთაურის შეურყევლობა და 1977 წელს ქვეყნის სათავეში მენახემ ბეგინის მოსვლით დასაბამი მისცა ისრაელური სოციალიზმის მსხვრევასა და ახალი დემოკრატიული ერის დაწყებას.

დღეს, როცა მთელი მსოფლიო ცხოვრობს ფასეულობათა უღვთო დევალვაციისა და თვალსატყუარა ლამაზი ფასადების შეკოწიწების ეპოქაში და როცა ჩვენს ქვეყნებს კვლავინდებურად მტერი გარეთაც ბევრი ჰყავს და ეტყობა ვერც შიგნით ვიჩენთ სათანადო სიფხიზლეს, შეიძლება ამ ეპოქას ვერც ჩვენმა ძველებურმა სიყვარულმა და ჭეშმარიტმა ურთიერთპატივისცემამ გაუძლოს, ხელში ჩაგველიოს და სრულიად სხვა, საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინოს. სიტყვებმა შეიძლება ძველებურად გაიჟღერონ, მაგრამ სულ სხვა აზრი გამოხატონ და მაშინ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს უცხოეთში წასული და ერთმანეთისგან სამუდამოდ დაშორებული ხალხის მიერ გამოჩენილი სიყვარულისა და პატივისცემის ამხელა ძალით აცისკროვნება და ურთიერთზეგავლენა. მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ, აქ ლაპარაკი გვაქვს სულ სხვა დროზე, არსზე და რეალობაზე, როცა ყოველივე ამას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა და გარკვეულწილად ბევრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობასაც ატარებდა.

უცხოეთის ქვეყნის ქართული გამომცემლობის „ალია მიგურგიას“ ძლიერი იმპერია ერთი პატარა ფარატინა ქაღალდით იწყებოდა, რომელსაც „ცნობის ფურცელი“ ერქვა და პრიმიტიული წესით მზადდებოდა. – ამბობს აბრაამ სეფიაშვილი, როცა ამ 30 წლის წინანდელ ამბებს იხსენებს, ქართველი ებრაელებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ აშდოდში საქართველოდან ამოსულ რეპატრიანტთა პირველი კომიტეტი რომ ჩამოაყალიბა და ისრაელში აბსორბციის გაადვილებაში ეხმარებოდა ხალხს. მისი თქმით, „ცნობის ფურცელი“ გამიზნული იყო საქართველოდან ამოსულ ებრაელთა ძნელი აბსორბციის დროს ინფორმაციის ვაკუუმის შევსებისთვის. ვბეჭდავდით ისეთ საბეჭდ მანქანებზე, როგორებიც ამ 30 წლის წინათ გვინახავს საქართველოს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. სათაურებს კი, ვაწყობდით სხვადასხვა ქართული ჟურნალ-გაზეთიდან ამოჭრილი სათაურების ასოების მიწებებით. შეცდომების გასწორებას ასევე ასოების ამოჭრით და შეცდომის ადგილზე სხვა ასოების ჩაწებებით ვახდენდით. სტამბაში ხელით ვკეცავდით ათასობით ეგზემპლარს...

შემდეგ ამერიკიდან ჩამოვიტანეთ აი, ის მანქანები, ახლა ასე საცოდავად რომ იცქირებიან რედაქციის არქივის სტენდებიდან. კომპიუტერულ სისტემაზე გადასვლამდე, მათ დიდი როლი ეკისრათ მთელ დასავლეთ სამყაროში. ძლივს მივუსწარი ჯართში გადაყრილ 4 მანქანას. მათზე დამონტაჟებული ყოფილა მსოფლიოს ყველა 13 ანბანის ბეჭდური შრიფტი, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოში 14 ანბანია. მათში ერთ-ერთი ქართული. ახლა არ მახსოვს იმ ახირებული (ალბათ, თავისი ერის დიდი პატრიოტი) ქართველის გვარი, რომელსაც ქვეყანა შეუძრავს, სანამ იმ მანქანებში ქართულ შრიფტსაც არ მიუჩინეს სათანადო ადგილი. ის უცხოეთში გადახვეწილი ქართველი გახლდათ და ხომ მოგეხსენებათ „უცხოელთა“ ამბავი, ალბათ, როგორ განიცდიდა იმის შეურაცხყოფას, რაც ყველაზე ძვირფასი და მიუწვდომელი იყო მაშინ მისთვის. მე არ ვიცი, საერთოდ ჭირდებოდა თუ არა მას ასეთი მანქანა ქართული შრიფტით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იმ ცხონებულის ახირებამ ჩვენ ეს მანქანები მოგვცა და ათი წელი მაინც მოგვათქმევინა სული... – იხსენებს აბრაამ სეფიაშვილი იმ პერიოდს.

ადვილი წარმოსადგენია მისი ამერიკელი მეგობრების გაოცება, როცა ამ მანქანებისთვის იქ ჩასულს დიდი წარმატების მქონე ტანსაცმლის ფაბრიკებში თანამშრომლობა და ამერიკაში დარჩენა შესთავაზეს და როცა მან „ჯართით“ ისრაელში დაბრუნება არჩია. არადა, კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული და საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს საზღვრისდამრღვევთა გამოსავლინებელი მინიატურული ხელსაწყოს შექმნისათვის თვით თავდაცვის მინისტრის მარშალ მალინოვსკის მიერ საპატიო სიგელით დაჯილდოებული ა. სეფიაშვილი თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭით მაშინ ძალზე საჭირო იყო მათი საწარმოების კიდევ უფრო წინსვლისათვის...

როცა მისი ისრაელში მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს ვეხებით, გვახსენდება მის მიერ ისრაელში ამოსვლისთანავე ქალაქ აშდოდში 1972 წელს ჩამოყალიბებული ახალ რეპატრიანტთა პირველი კომიტეტი არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთიდან ჩამოსული ებაელებისთვისაც, რისი მეშვეობითაც ათასობით რეპატიანტს ეხმარებოდა ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებასა და ადგილობრივი და სახელმწიფო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან საჭირო კონტაქტის დამყარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ იგი აშდოდის პორტის თანამშრომელი არ იყო, 1973 წელს სათავეში ჩაუდგა პორტის ქართველ ებრაელ მუშათა მთელ მსოფლიოში ცნობილ შიმშილობით გაფიცვას, რომლის შესახებაც გადასცემდნენ რადიო „თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“, გაზეთი „იზვესტიაც“ იტყობინებოდა. ეს იყო ისრაელის ისტორიაში პირველი უდიდესი ნამდვილი გაფიცვა, რომელსაც შეუერთდა მთელი ქართველი ებრაელობა და გადაიკეტა ქვეყნის ცენტრალური გზები. სახელმწიფო ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა. რამაც საკმაოდ დააფიქრა გოლდა მეირის მთავრობა და მან თავისი მთავრობის ტრანსპორტის მინისტრი შიმონ პერესი აფრინა აბრაამ სეფიაშვილთან მოსალაპარაკებლად, რომელსაც უდაბნოს მზეში შიმშილის და სითხის დაკარგვის გამო, ექიმთა თქმით, დარჩენილი ჰქონდა... სამი საათის სიცოცხლე. გაფიცვა გამოწვეული იყო ქართველ ებრაელთა დიდი დისკრიმინაციით – სამუშაოდან მათი გათავისუფლებით და ათეულობით ოჯახის ულუკმაპუროდ დარჩენის საფრთხით. როგორც აღინიშნა, გაფიცვას შეუერთდა ასობით ქართველი ებრაელი, რომლებიც, ისე როგორც აბრაამ სეფიაშვილი, არ მუშაობდნენ პორტში, მაგრამ თავიანთი თანამემამულეების ბედით იყვნენ შეშფოთებული. როგორც ცნობილია, ეს გაფიცვა მათი დიდი გამარჯვებით დასრულდა და, საერთოდ, აქედან იწყება ისრაელში ქართველ ებრაელ რეპატრიანტების ანგარიშის გაწევა, მთავრობისა და სახელმწიფო ჩინოსანთა მხრიდან მათდამი სულ სხვაგვარი მოპყრობა. ისრაელის პრესა მეორე დღეს აჭრელებული იყო აბრაამ სეფიაშვილის ფოტოებით და საკმაოდ გაბედული სათაურებით. იგი უკვე მნიშვნელოვანი პიროვნება ხდება...

ქიფურის ომის დასრულების შემდეგ აშდოდის მოსახლეობა მას საქალაქო მუნიციპალიტეტის დეპუტატად ირჩევს, რითაც სსრ კავშირიდან ამოსული პირველი რეპატრიანტი ხდება, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურაში იქნა არჩეული. მისი ინიციატივით ეწოდა აშდოდის ქუჩებს მიხაკაშვილისა და ელიაშვილის სახელები, ხოლო პარკს – ბააზოვების სახელობის პარკი.

1975 წელს ირჩევენ სსრ კავშირიდან ამოსულ რეპატრიანტთა სრულიად ისრაელის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ.

1983 წელს აბრაამ სეფიაშვილი დამოუკიდებელი სიით გადის ქნესეთის არჩევნებზე. რისთვისაც აყალიბებს მოძრაობას „ალია და ახალგაზრდობა“. აღსანიშნავია, რომ მის გარდა დღემდე ქართველ ებრაელთაგან არავის გაუბედავს დამოუკიდებელი სიით ქნესეთში გასვლა.

1985 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა საქართველოში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდი, რომელიც თვეების განმავლობაში აგროვებდა სახსრებს და ათი ათასობით დოლარი გადაურიცხა საქართველოს. აღსანიშნავია, რომ მაშინ მისი ხელმძღვანელობით თანხების შეგროვებაში ჩაება მთელი ქართველი ებრაელობა. დიდი მუშაობა გასწიეს სალოცავების ხელმძღვანელებმა. რაბინებმა და ჯამაათმა. გაზეთი „ალია“ აქვეყნებდა თითოეულის მიერ შეტანილი თანხის რაოდენობას და მთელმა ისრაელმა ყოველდღიურად იცოდა, თუ ვინ რამდენი თანხა შეიტანა დახმარების ფონდში.

1993 წელს ირჩევენ ისრაელის ერთ-ერთი დიდი ქალაქის ბათ-იამის მერის მოადგილედ, რამაც სათანადო ოფიციალური ძალა და საშუალება მისცა მას ჩამოეყალიბებინა ქართული კულტურის ცენტრი და კიდევ უფრო დიდი ინტენსივობით გაეშალა ისრაელში იმ ხანად საქართველოდან დიდი მოზღვავებით ჩამოსულ ახალ რეპატრიანტთა აბსორბციის გაადვილების საქმე. სხვა სამუშაოებთან ერთად ყველას ახსოვს იმ პერიოდში მაღალ დონეზე მოწყობილი დიდი საზეიმო საღამოები: „თბილისობა“, „ქუთაისობა“, „ონელობა“ და ა. შ. სწორედ იმ პერიოდში გახდა შესაძლებელი მის მიერ ქართული ფერადი, ლიტერატურულ-მხატვრული და პუბლიცისტური ჟურნალის „ალიონის“ რამდენიმე საინტერესო ნომრის გამოცემაც.

ისრაელში თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე გამოაქვეყნა ათობით პუბლიცისტური ნაშრომი, ასობით სტატია, რეპორტაჟი და სხვა. დაწერა და გამოსცა ორი სქელტანიანი წიგნი: „პარიზი. ბონი. ნიუ-იორკი“ და „კულაში. ნანახი. გაგონილი. განცდილი“.

1999 წელს შეიყვანეს ისრაელის სახელმწიფოს დაარსების 50-ე საიუბილეო წლის აღსანიშნავად გამოშვებულ „კერენ კაიებეთის ოქროს წიგნში“ ისრაელის გამოჩენილ და დამსახურებულ პირთა შორის და მის მოღვაწეობას 2 გვერდი დაეთმო ამ უნიკალურ მატიანეში.

ამ ორიოდე წლის წინათ თელ-ავივის საოპერო თეატრში მოეწყო გაზეთის „ალია საქართველოდან“ დაარსების 25-ე წლის საიუბილეო საზეიმო საღამო, რომელზეც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პოეტმა რეზო ამაშუკელმა დამსწრეთა ტაშის გრიალში წაიკითხა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმება გაზეთისადმი და მისი შემქმნელი კოლექტივისადმი.

ასე რომ, ძნელსა და ურთულეს ეტაპზე თავისი ხალხის მდგომარეობის შემსუბუქებისა და მათი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლით გრძელდებოდა აბრაამ სეფიაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ისრაელში. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ იგი კვლავ ჩვეული აქტივობით, დიდი წარმატებით და ძველებური შემართებით განაგრძობს მოღვაწეობას. მოყვარე კვლავ პატივს სცემს, მტერიც კვლავინდებურად ანგარიშს უწევს. ბატონი აბრაამი მყარადაა ჩაბეჭდილი ერის ისტორიულ მეხსიერებაში. რომც შევეცადოთ წარმოსახვის დაძაბვას და ამ ისტორიული მეხსიერების ბოლო 30 წლეულიდან მის ჩამოშორებას, უზარმაზარ სიცარიელეს მივიღებთ...

**ისრაელ-საქართველოს კულტურულ-მეგობრული კავშირის რუსთაველის სახელობის საზოგადოება; საქართველოდან ამოსულთა მსოფლიო ფედერაცია; გაზეთის „ალია საქართველოდან“ რედაქცია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თანამშრომლობა

# გზაჯვარედინი: „მატერიკული პერიფერია" ინტეგრაციულ სისტემად ყალიბდება

### „პლატფორმა ევრაზიის დიალოგის" IV კონფერენცია ანტალიაში

(პირველი გვერდიდან)

მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში გლობალიზაციის პროცესი განსხვავებული ტემპით მიმდინარეობს, რადგან განსხვავებულია თვით ქვეყნებისა და რეგიონების პოტენციალი. ეს განსხვავება განპირობებულია ისტორიული მიზეზებით, აგრეთვე იმით, რომ მრავალი ქვეყანა ცდილობს გლობალიზაციის პროცესი თავის შინაგან კანონებს დაუმორჩილოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გლობალიზაცია დღეს მთელს დედამიწას კი არ მოიცავს, არამედ ტერიტორიებს, რომელთა ფართობიც მატერიკების ფართობს უტოლდება. გამოჰყოფენ 3 ასეთ რეგიონულ, ანუ კონტინენტურ გაერთიანებას: ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და შორეული აღმოსავლეთი. მათს მიღმა დარჩენილი ქვეყნები და რეგიონები „მატერიკული პერიფერიებია", რომლებზეც ნეგატიურად მოქმედებს გლობალიზაციის პროცესი.

ამჟამად ჩამოყალიბებულ ამ სამ ინტეგრაციულ სისტემას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი – ევრაზია.

სწორედ ევრაზიის ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ამას წინათ ანტალიაში (თურქეთი) „პლატფორმა ევრაზიის დიალოგის" კონფერენციაზე, რომლის დღის წესრიგის მთავარი თემაც „ევრაზია და გლობალიზაცია" იყო.

ბარემ აქვე განვუმარტავ მკითხველს, რომ ამ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი მიზანი ევრაზიის ხალხებისთვის (უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრიობის განათლებული ნაწილისთვის) ერთმანეთის კულტურიის მიღწევათა გაცნობაში ხელის შეწყობა, ხალხთა შორის დიალოგის განვითარება გახლავთ.

ევრაზიის რეგიონში მცხოვრები ხალხები, ერთობ ცუდად იცნობენ ერთმანეთს. დღეს, მძლავრად მზარდი კომუნიკაციების მიუხედავად, იმის გამო, რომ ქვეყნებსა და ცივილიზაციებს შორის დიალოგი არ არსებობს, მრავალი სირთულე იჩენს თავს. ამიტომაც წარმოიშვა ამ სამოქალაქო ორგანიზაციის შექმნის მოთხოვნა, რომელიც ევრაზიის რეგიონში მცხოვრებ ხალხთა წარმომადგენლებს გააერთიანებდა. ეს იდეა განხორციელდა „პლატფორმა ევრაზიის დიალოგში", რომელიც 2000 წლის 5 მაისს დაფუძნდა სტამბოლში თურქეთის ჟურნალისტთა და მწერალთა ინიციატივით. ამ პლატფორმის პირველი პრაქტიკული შედეგია ყოველკვარტალური ჟურნალის „DA"-ს (diyalog avrasya – ევრაზიის დიალოგი) გამოცემა [illegible]

[illegible] რუსეთის (დაღესტნის, თათრეთის, ბაშკირეთის ცალკე დელეგაციებითურთ), ტაჯიკეთის, თურქმენეთის, თურქეთის, უკრაინის წარმომადგენლები, ამ ქვეყნების ელჩები თურქეთში, (საქართველოს ელჩის გარდა!), საერთაშორისო დამკვირვებლები – მეცნიერები, მეწარმეები. საქართველოდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე გიული ალასანია და ამ სტრიქონების ავტორი გახლდით. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი დელეგაციის ყოველმხრივი კომფორტით და საინტერესოდ მგზავრობისათვის ბევრი გააკეთა შპს „იმედის" (რომელიც ქართულ-თურქულ დაიჯესტს გამოსცემს) დირექტორმა ჟურნალ „DA"-ს კოორდინატორმა საქართველოში ექრემ დინდაროღლუმ. მან თავისი თანამშრომელი ილიას არიჯანი გვიმეგზურა შემწედ და თარჯიმნად (თარჯიმანი უფრო მე მჭირდებოდა, თორემ აღმოსავლეთმცოდნე ქალბატონმა გიული ალასანიამ თურქული საკმაოდ იცის).

ანტალიის კონფერენციის თემა, როგორც მოგახსენეთ, „ევრაზია და გლობალიზაცია" იყო (ამ შემთხვევაში „ანტალიაში" იგულისხმება ამ საკურორტო ქალაქიდან 70 კილომეტრზე, ანტალიის ოლქის კემერის რაიონის თეკიროვას დასახლებაში მდებარე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიქსოსი"). თავიდანვე ფიცხელი მსჯელობა გაიმართა იმაზე, თუ რა „ხილია" ეს გლობალიზაცია, რომელშიც, როგორც წესი, გულისხმობენ მსოფლიოს რეგულირების პროცესს წარმოების კაპიტალისტური ხერხის ჩარჩოებში, დადებითი მოვლენაა იგი თუ უარყოფითი. ასევე: რას წარმოადგენს ევრაზია – გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ ცნებას?

გლობალიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს თუ დავაჯგუფებთ, საინტერესო სურათს მივიღებთ.

მომხრენი:

სსრკ და მთელი „სოციალისტური წყობის" დაშლამ, რასაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ღობის ალება მოჰყვა, სწრაფი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული გლობალური ინტეგრაციის იმედი დასახა. საყოველთაო გავრცელება ჰპოვა არა მხოლოდ ეკონომიკურმა თავისუფლებამ, არამედ დემოკრატიულმა ნორმებმაც. ადამიანის უფლებათა დარღვევა უკვე აღარ არის „სახელმწიფოთა შინაგანი საქმე", მას საერთაშორისო იურისდიქცია „მეურვეობს".

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დამოუკიდებლობის მიღწევა არ შეიძლება იყოს განმათავისუფლებელი მოძრაობის საბოლოო მიზანი. ხალხები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს, იშლებიან დამოუკიდებელ ტომებად (ოცნებაში, კი ლამის დამოუკიდებელ კლანებად) და სისხლისღვრით სცილდებიან ერთმანეთს. არის მილიონობით მსხვერპლი. ანტიგლობალიზმის ჭეშმარიტი სახე დაშლაა. ხალხთა აფეთქების მსგავსი თვითდაშლის პროცესი კი შეიძლება შეაჩეროს მხოლოდ ინტეგრაციის შემხვედრმა პროცესმა დევიზით: „დამოუკიდებლობიდან ურთიერთდამოკიდებულებისკენ".

სწორად გაგებული გლობალიზმი ხელს შეუწყობს საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების საერთოპლანეტური იდეის შემეცნებას, რაც განვითარების ყოველი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და სოციალური პროგრამის ბა- [illegible] რდა, ინტეგრირებული ქვეყნები გამოიმუშავებენ ერთიან პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებისა და რეგიონების მიმართ. ქვეყნები, რომლებიც ზემოდასახელებულ სამ სისტემაში (ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთი ევროპა, შორეული აღმოსავლეთი) არ შედიან, იძულებული ხდებიან ან თავიანთი საკუთარი თანამეგობრობა შექმნან, ან მიუერთდნენ ერთ-ერთ უკვე არსებულს. პირველი ერთობ ძნელია, რადგან პერიფერიული სახელმწიფოები არ ფლობენ საკმაო შესაძლებლობებს მართლაც ძლიერ კავშირად გასაერთიანებლად. მეორე კი, ბევრი სახელმწიფოსათვის უბრალოდ შეუძლებელია. მსხვილ გაერთიანებულ ეკონომიკურ სისტემებს ხელს აძლევს პერიფერიული რაიონების ჩამორჩენილობა და არ სურთ ისინი თავიანთ რიგებში მიიღონ.

მოწინააღმდეგენი:

საზღვრები ქრება. კულტურების გამოცხადებული დიალოგისა და ურთიერთგამდიდრების ნაცვლად, უფრო სწორად, ზოგად საკაცობრიო ღირებულებათა გაცვლის ნაცვლად, პირიქით, გლობალიზაციის პროცესის ზემოქმედებით, ნაციონალური კულტურები თვითმყოფადობას კარგავენ და ვიღებთ ტექნოლოგიური გიგანტების კულტურის ასლებს. დანგრეული ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მქონე ქვეყნებში ახალი თაობა ემიჯნება წინაპრების მემკვიდრეობას და ითვისებს დასავლეთის კულტურის უხარისხო პროდუქტს, მან უკვე სათანადოდ აღარ იცის თავისი ხალხის ტრადიციები და ადათ-წესები. გლობალური კაპიტალიზმი ემუქრება დემოკრატიას, მასობრივი უმუშევრობის, ტრადიციული ოჯახური და სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაღრმავების, აგრეთვე, მასობრივი მიგრაციული გადაადგილების მიზეზი ხდება. გლობალიზაცია სპობს სახელმწიფოთა ეროვნულ და პოლიტიკურ სუვერენიტეტს, ისინი კარგავენ თავისთავადობას. გლობალიზაცია პლანეტის ხალხებს (გარდა დასავლეთ ევროპის ხალხებისა) თავს ახვევს სრულიად ხელოვნურ და უმრავლესობისთვის უცხო კულტურულ ნიმუშებს...

ასეთია ზოგადად „ჰო" და „არა".

საბოლოოდ კი – ვარაუდი: გლობალიზაციის პროცესს ვერ შეცვლი, თუმცა ცალკეულ გეოპოლიტიკურ ჩიხებში შეიძლება მისი მხოლოდ დამუხრუჭება.

რაც შეეხება ევრაზიას.

ევრაზია, უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური ცნებაა. ევრაზიულ სახელმწიფოებს დიდი ეკონომიკური პოტენციალი, ყველა აუცილებელი წიაღისეული აქვთ საკუთარი ინტეგრაციული სისტემის შესაქმნელად. უპირველეს ყოვლისა, ევრაზიის ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს მოქმედი ინფრასტრუქტურა, რაც დადებითი ფაქტორია დამაჯერებელი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ამ რეგიონისა ის არის, რომ ჩრდილოამერიკული, დასავლეთევროპული და შორეული აღმოსავლეთის სისტემების წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ევრაზიის ქვეყნები ერთმანეთს ავსებენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკას პრაქტიკულად ერთნაირი სტრუქტურა აქვს, რაც შეეხება ევრაზიას, მათ შორის შეხვდებით აგრარულ, ინდუსტრიულ, და ისეთ ქვეყნებს, სადაც ძირითადი მომსახურების სფეროა.

ოღონდ ევრაზიის რეგიონი ამჟამად გარდაქმნას განიცდის, რის მთავარი ამოცანაც პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევაა.

ევრაზიის ზოგიერთმა სახელმწიფომ სულ ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა, ამიტომ ზოგან რომ სუსტად არის განვითარებული პატრიოტიზმის გრ- [illegible]

საინტერესო მოსაზრებებით წარსდგნენ კონფერენციის მონაწილეთა წინაშე პროფესორი ილბერ ორტაილი (თურქეთი), დამკვირვებელი ალი თოქული (თურქეთი), აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ანარი, ტაჯიკეთის პრეზიდენტის თანაშემწე, აკადემიკოსი მუმინშო კანოატოვი, უკრაინის სახელმწიფო მდივანი იური სერგეევი, რუსეთის ელჩი თურქეთში ალექსანდრ ლებედევი, მოლდოვას ელჩი თურქეთში ვიქტორ ტვერჯონი, ჟურნალ „DA"-ს მთავარი რედაქტორი მუსტაფა არმაგანი, აკადემიკოსი ლეონიდ სიუკიაინენი (რუსეთი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი როსტისლავ რიბაკოვი და სხვ.

**ალეკო ასლანიშვილი,**
ჩვენი სპეც. კორ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## რეპლიკა

# დროშა და გერბი ხელწამოსაკრავი არ არის!

სახელმწიფო დროშით და სახელმწიფო გერბით სარგებლობა ზუსტად და მკაცრად არის რეგლამენტირებული საქართველოს კანონმდებლობით.

დადგენილია, რომ სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო გერბი სახელმწიფო ატრიბუტიკაა, სიმბოლოებისა და მათით სარგებლობა მხოლოდ ხელისუფლების, მისი სხვადასხვა განშტოების სახით, ორგანოებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ.

კანონებით კია ეს ყველაფერი ასე, მაგრამ ვინ იცავს?

გაიარე დედაქალაქში, გაიხედგამოიხედავ და რას ამჩნევ?

სახელმწიფო დროშა აღმართულია კერძო ბანკისა თუ სასტუმროს, კონსულტაციისა თუ ასოციაციის, „როგა ი კოპიტოს" მსგავსი დაწესებულების და სხვათა წინ თუ შენობებზე, რომელთაც იგი არ ეგების!

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულება მოთავსებულია სააქციო თუ უაქციო, შეზღუდული თუ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოებების, საფირმო თუ უფირმო მაღაზიების, არტელ „მარცხენა პროდუქციის" მსგავსი წარმოებებისა და სხვათა შენობებზე, დარბაზებში, აბრებზე, ბეჭდებზე, ბლანკებზე, რომელთაც იგი არ ეგების!

არ ეგების კი, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს?

თუმცა ეს არავის აწუხებს – არც სახელმწიფოს და არც მოქალაქეს. ეტყობა სახელმწიფოებრიობის ცნება, სახელმწიფოებრიობის ატრიბუტებისადმი პატივისცემა ჯერ კიდევ ვერ დაინერგა ჩვენში. ამის შედეგია სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო გერბის მიმართ ეს მომხმარებლური დამოკიდებულება, უფრო ზუსტად – კანონის დარღვევა, რომელზეც არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ რეაგირებს, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

რატომ?

**ივანე შენგელაია,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

- ჰუსეინი კიდევ შვიდ წელიწადს ფეხს არ მოიცვლის
- ჯარიმა იმისათვის, რომ მომხმარებელი არ გააფრთხილეს
- რუსეთი: ყოველწლიურად 7000 ჯარისკაცი იღუპება არა ბრძოლის ველზე
- ციფრული იერიშები



# ერაყი: მორიგი ომის მოლოდინში

ამერიკელებს სურთ, რომ ის წავიდეს, მაგრამ ერაყის ხელისუფალნი თავიანთ ხალხს ამზადებენ იმისათვის, რომ ერთსულოვნად განაცხადოს თანხმობა რეფერენდუმზე, რომელიც 15



ოქტომბერს გაიმართება და შეიძლება, კიდევ შვიდი წლით შეანარჩუნებინოს სადამ ჰუსეინს პრეზიდენტის პოსტი, წერს ბი-ბი-სის ბაღდადელი მიმომხილველი კეროლაინ ჰოული.

გარეშე საფრთხის ზრდის მიუხედავად, „საყვარელი ბელადი" კვლავ რჩება იმ უამრავი აღფრთოვანებული სატელევიზიო პანეგირიკის ობიექტად, ხალისიანი მუსიკისა და ოპტიმისტური კომენტარების თანხლებით რომ გადაიცემა.

მაგრამ, გაეროს სამხედრო ინსპექტორების გადაწყვეტილება, არ იჩქარონ ერაყში დაბრუნება, – სერიოზული ლახვარია ქვეყნის პრეზიდენტისათვის, რომლის მთავრობაც გამუდმებით ლაპარაკობს, რომ ინსპექციების განახლებასთან დაკავშირებით, გაეროს არავითარი ახალი რეზოლუცია არ გახდება საჭირო.

აშშ პრეზიდენტმა გააფრთხილა ბაღდადი, რომ ერაყის ლიდერის „ერთადერთი არჩევანია" სრული მორჩილება.

თუ ასეთი მორჩილება არ იქნა, უკვე უახლოეს მომავალში მსოფლიო ზესახელმწიფოს სამხედრო ძლიერებამ სადამი შეიძლება, ისტორიის სახელძღვანელოების პერსონაჟად გადააქციოს.

უბრალო ერაყელები – უკვე მერამდენედ – აღმოჩნდნენ იმ კოზაკების მდგომარეობაში, აქლემების ჩხუბში რომ იჭყლიტებიან. ისინი შეშფოთებული არიან მომავალი ომის შედეგებით, მაგრამ ამჯობინებენ, ფატალისტებად დარჩნენ, ვინაიდან მაინც ვერ შეცვლიან მომავალს.

„უფალი თუ გვიშველის, თორემ ჩვენ ვინ რას გვეკითხება?" – მითხრა ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა, რომელიც ბაღდადის ცენტრში, კერადის ქუჩაზე გავაჩერე.

„ყველაფერი ისე მოხდება, როგორც უფალი ინებებს", – გაიმეორა მეორე გამვლელმა, მამაკაცმა.

ერაყის დედაქალაქში ჩვეული სიცოცხლე ჩქეფს. არსად არ შეიმჩნევა იმის ნიშნები, რომ მოქალაქენი სურსათ-სანოვაგეს იმარაგებდნენ – ნაწილობრივ იმიტომ, რომ ვერ მისცემენ თავს ამის უფლებას, და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ხელისუფლებმა უკვე მისცეს მათ – წინასწარ – ორი თვის ულუფა.

თუმცა, ამბობენ მოქალაქენი, ასეთი რამ უკვე ყოფილა.

„ჩვენ მიჩვეული ვართ ასეთ მუქარას", – მეუბნება ერთი ყმაწვილი ქალი.

მაგრამ ერაყში მომუშავე ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლები ძალზე შეწუხებული არიან იმით, თუ რა გავლენას მოახდენს საბრძოლო მოქმედების განახლება ჰუმანიტარულ ვითარებაზე.

„ამ ადამიანებს არ მოეპოვებათ" უსაფრთხოების ბალიში", რომელიც მათ დაიცავდა, – ამბობს მარგარეტ ჰასანი, Care International ორგანიზაციის თანამშრომელი. – 1991 წელს ერაყელებს ფული მაინც ჰქონდათ, მაგრამ ახლა, სანქციების 12 წლის მოქმედების შემდეგ, შიმშილით სული სძვრებათ".

„მე იმედი მაქვს, რომ ომს თავიდან ავიცილებთ, – თქვა ერთერთმა დასავლელმა დიპლომატმა, რომელიც ბაღდადში მუშაობს. – მაგრამ ამერიკელები ძალზე შეურიგებლად არიან განწყობილნი, და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სადამ ჰუსეინი იძულებული იქნება, ჩაყლაპოს ყველაფერი, რაც გაეროს ახალ რეზოლუციაში შევახ.

ამ მწარე ამბებს შორის არის რვა საპრეზიდენტო კომპლექსის ინსპექცია, რომლებიც აქამდე უეცარი შემოწმებებისაგან დაცული იყო ერაყსა და გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს შორის 1998 წელს დადებული შეთანხმებით.





ერაყელები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს დაეთანხმნენ გაეროს ამჟამად მოქმედ რეზოლუციებს, ახლა ემზადებიან სამხედრო ინსპექტორთა მდგომარეობის ძირეული ცვლილებებისათვის.

ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ამერიკელები შეეცდებიან, კუთხეში მოიმწყვდიონ ერაყი, და ისარგებლონ ნებისმიერი საბაბით ომის დასაწყებად, რომლის გაჩაღებაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ – ომი ნავთობისა და დომინირებისათვის, და არა განიარაღებისათვის.

„1991 წელს იყო რაღაც გამართლება, – აღიარებს ერაყის ხელისუფალთა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი. – ჩვენ ქუვეითში შევიჭერით. მაგრამ ახლა ვის რა დავუშავეთ? აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტია, არაფერს არ ვაშავებთ".

ამასთანავე, ორივე მხრიდან საომარი სამზადისის განგრძობის პარალელურად ერაყის ვიცე-პრემიერმა თარიკ აზიზმა განაცხადა, რომ თავდასხმა არ იქნება ამერიკელებისათვის „პიკნიკი". ბაღდადს გადაწყვეტილი აქვს, თავი დაიცვას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

ერთი რამ დანამდვილებით არ იცის არავინ – სახელდობრ, რა საშუალებები და ძალები აქვს ერაყს, და შეუძლია თუ არა ბაღდადის ხელისუფლებას, სრულად იქონიოს თავისი არმიის იმედი.

# მატულობს კიბერდანაშაულობათა რიცხვი

კომპიუტერული დამნაშავეობის პრობლემათა კვლევის მონაცემების თანახმად, 2002 წლის სექტემბერმა მოხსნა პირდაპირი (აშკარა) კიბერიერიშების ყველა წინანდელი რეკორდი, რომელთა რიცხვი 9011-ს შეადგენს.



სპეციალისტთა აზრით, ამერიკის სამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ კომპიუტერული იერიშების გაძლიერება უკავშირდება პოლიტიკას, რომელსაც აშშ ახორციელებს ერაყის წინააღმდეგ და ისრაელის მხარდასაჭერად. სექტემბერში ამერიკის მთავრობის (წარმომადგენელთა პალატის სოფლის მეურნეობის, განათლების, ეროვნული პარკის სამსახურის, გეოლოგიური დაზვერვის დეპარტამენტის კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრის) კომპიუტერულ სისტემას თავს დაატყდათ არნახული იერიში.

სამთავრობო ქვედანაყოფების ყველა კომპიუტერი შეუერთდა ქსელს, ხოლო ყველა „მსხვერპლი" თავის მუშაობაში იყენებდა Microsoft Windows-ს.

რეგისტრირებულმა აშშ დომენებმა სექტემბერში განიცადეს 4157 ციფრული იერიში. მეორე ადგილზეა ბრაზილია (835), შემდეგ მოდიან ბრიტანეთი, გერმანია და ინდოეთი.

2002 წლის პირველ ცხრა თვეში განხორციელებული იერიშების საერთო რიცხვმა შეადგინა 40116, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2001 წლის იერიშების რაოდენობას. მოვლენათა ასეთი განვითარების პირობებში 2002 წლის იერიშების კონსერვატიული პროგნოზი 55000-ს აჭარბებს.

# „ფილიპ მორისმა" $ 28 მილიარდი უნდა გადაიხადოს

კალიფორნიის სასამართლომ განაჩინა, რომ კომპანია „ფილიპ მორისმა" 28 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს 64 წლის ამერიკელ მანდილოსანს ბეტი ბალოკს კომპენსაციის სახით.

მოსარჩელემ, რომელსაც ფილტვის კიბო სჭირს, „ფილიპ მორისს" ბრალად დასდო, რომ ფირმამ არ გააფრთხილა თამბაქოს წევის მავნეობის შესახებ.

აქამდე კომპანიამ ბეტი ბალოკს 850 ათასი დოლარი შესთავაზა კომპენსაციად, მაგრამ მწეველმა ქალმა უარი თქვა, და, თურმე, სწორადაც მოიქცა. 28 მილიარდი დოლარი ყველაზე დიდი თანხაა, რომლითაც ოდესმე დაუჯარიმებიათ სასამართლო პროცესზე თამბაქოს ნაწარმის კომპანიები.



„ფილიპ მორისის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, შეიტანოს აპელაცია და მიაღწიოს ახალი სასამართლოს მოწყობას. ხოლო თუ მის ამ თხოვნას არ მიიღებენ, „ფილიპ მორისი" აპირებს, სთხოვოს სასამართლოს, შეუმციროს კომპენსაციის თანხა.

THE WALL STREET JOURNAL

# ქაოსი ჯარისკაცთა ბარაკებში

**საზღვარგარეთ რუსეთის ქალაქი ვოლგოგრადი უფრო მეტად თავისი ძველი სახელწოდებით – სტალინგრადად არის ცნობილი. სამოცი წლის წინათ, საბჭოთა არმიამ სწორედ სტალინგრადში შეუცვალა მიმდინარეობა მეორე მსოფლიო ომს. მაშინ რუსმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა დაამტკიცეს, რა შეძლებიათ. ცოტა ხნის წინათ კი, ქალაქში მოხდა შემთხვევა, რომელმაც გვიჩვენა, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია დღეს რუსეთის არმია.**

ზუსტად ერთი თვის წინათ, შაბათს, 7 სექტემბერს, მე-20 გვარდიის მოტომსროლელი დივიზიის საარტილერიო ბატალიონის რამდენიმე ჯარისკაცი მომავალ დემობილიზაციას ზეიმობდა. შექეიფიანებული ჯარისკაცები სამხედრო ავტომობილს მოახტნენ და ბაზის ირგვლივ გააჭენ-გამოაჭენეს.

მეორე დილას მათ ამისათვის პასუხი აგებინეს. ოფიცრებმა მაიორ შირიაევის მეთაურობით, ხუთი ეჭვმიტანილი ბატალიონის შტაბის კარავში შეიყვანა და ცემა დაუწყო. სადილობის შესვენებამდე სცემდნენ, მერე კი დანარჩენ ჯარისკაცებს უთხრეს, თუ დამრღვევთა ვინაობას არ გაგვიმხელთ, თქვენც იგივე ბედი მოგელითო. 54 სამხედრო მოსამსახურემ, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ ეს არ იყო ლიტონი მუქარა, შეადგინა კოლონა და 30 კილომეტრი გაიარა დივიზიის ვოლგოგრადის შტაბბინის მიმართულებით.

ორშაბათს ისინი ქალაქში მივიდნენ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაუყოვნებლივ მოეხსენებინათ მომხდარი სამხედრო ხელმძღვანელობისათვის, მიმართეს მართლქომაგთა ორგანიზაციას „დედის სამართალს". ღამით სამხედრო მოსამსახურენი უკან, ბარაკებში დააბრუნეს. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ინციდენტი ვერ მიაფუჩეჩეს. ორგანიზაცია „დედის სამართალმა" მომხდარი ამბავი გააგებინა ადვოკატებსა და ადგილობრივ ჟურნალისტებს, და მეორე დღეს ეს უკვე მთელმა ქვეყანამ იცოდა.

ვოლგოგრადის ინციდენტი მოწმობს, რა საშინელი ურთიერთობაა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის თანამედროვე რუსულ არმიაში. შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს ეფექტიანობა. იუწყებიან, რომ ყოველწლიურად 5000 ჯარისკაცი იღუპება არა ბრძოლის ველზე. ზოგს ცემით ასიკვდილებენ ბარაკებში, ზოგი თავს იკლავს, მაგრამ უმრავლესობა იხოცება „უბედური შემთხვევების" შედეგად. ცალკეული გენერლები ამტკიცებენ, რომ ჩეჩნეთში დაღუპულთა 80 პროცენტის სიკვდილის მიზეზი, ასევე დაუდევრობა და მომზადების დაბალი დონეა. მიუხედავად იმისა, თუ რა არის მთავარი ფაქტორი, დაუდევრობა თუ ძალადობა, მსხვერპლთა ეს საშინელი სია ადასტურებს, რომ არმიას სერიოზული პრობლემები აქვს დისციპლინის, ამხანაგობის გრძნობის მხრივ, რომ მას აკლია ნამდვილი ლიდერები.

შეიარაღებული ძალების რეფორმის შესახებ დისკუსიების დროს, როგორც წესი, განიხილავენ დიდ ორგანიზაციულ პროექტებს, ისეთებს, როგორიც არის სამეთაურო სტრუქტურის შეცვლა, ნებაყოფლობითი სამსახურზე გადასვლა, და ძალზე ხშირად რჩებათ მხედველობიდან ადამიანის ფაქტორი. „ჯარისკაცთა მარში ვოლგოგრადში", – ეს არის გაფრთხილება, რომ რეალური რეფორმების განხორციელების პროცესი მეტისმეტად გაჭიანურდა. შესაძლოა, ახლა უკვე დაგვიანებულიც იყოს.

სავალალო ჭეშმარიტებაა ის, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგეს პროფესიული ეთიკა. ოფიცრების უმრავლესობას არ ანაღვლებს თავისი ჯარისკაცების კეთილდღეობა, ჯარისკაცები პატივს არ სცემენ თავიანთ ოფიცრებს. დისციპლინის დამყარების ერთადერთი საშუალებაა მჯიღი და ნიჩბის ტარი. ახალგაზრდა რუსეთელთა თითქმის 90 პროცენტი ამა თუ იმ მიზეზით თავს არიდებს სამხედრო სამსახურს. დარჩენილ 12 პროცენტს კი შეადგენენ არცთუ განათლებული და დისციპლინირებული ახალგაზრდები. ალკოჰოლიზმი და ნარკომანია ჯარში ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ოფიცრები დიდი ხანია, აღარ ადევნებენ თვალს, რა ხდება ბარაკებში. პროფესიონალი სერჟანტები, რომლებსაც შეუძლიათ, მოაგვარონ ურთიერთობა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის, არმიაში არ არიან. ბაზის ტერიტორიის თვითნებურად დატოვებისას, ჯარისკაცებს ხშირად მიაქვთ თან იარაღი. და ამის შედეგი ხდება ხოლმე თვითმკვლელობა ან ბათქა-ბუთქი პროვინციის ქალაქებში.

უსამართლობა იქნებოდა, ყველაფერი უმცროსი ოფიცრებისათვის დაგვებრალებინა. ისინი ხომ სისტემის მსხვერპლნი არიან. ვოლგოგრადის „გაფიცვა" მოხდა მე-20 გვარდიის მოტომსროლელ დივიზიაში, რომელიც შედის სახელგანთქმული მე-8 გვარდიის არმიის შემადგენლობაში. ამ ელიტურ არმიას ჰქონდა ყველაზე თანამედროვე იარაღი, მასში მსახურობდნენ საუკეთესო ჯარისკაცები. ბოლო ათი წელიწადია, ამ არმიის ოფიცერთა უმრავლესობა იძულებულია, ოჯახებთან ერთად აფარებდეს თავს საერთო საცხოვრებელს. ხელფასი საშუალებას აძლევს ოფიცრებს, იცხოვრონ სიღატაკის ზღვარზე ოდნავ უფრო მაღლა. ამასთან, უკვე ორ ჩეჩნეთის ომში მოუხდათ მონაწილეობა. რაღა გასაკვირია, რომ საუკეთესო ოფიცრები მიდიან არმიიდან. ზოგი სამუშაოდ მიდის უშიშროების სისტემაში, სხვები ადგილს ეძებენ ახალ ეკონომიკაში.

რუსეთში ძალიან ბევრს წერენ ამ პრობლემებზე, მაგრამ, რეფორმებზე ლაპარაკს ჯერაც არ მოჰყოლია რეალური მოქმედება. ყოფილი პრეზიდენტი ბორის ელცინი ხალხს დაჰპირდა, რომ შეიარაღებულ ძალებს პროფესიონალურად გადააქცევდა, მაგრამ ეს ფუჭი დაპირება აღმოჩნდა. პრეზიდენტი პუტინიც იგივეს ლაპარაკობდა, მაგრამ ისიც წააწყდა წინააღმდეგობას. გასული წლის შემოდგომაზე პუტინმა ბრძანა, ბოლო მოეღო გაწვევისათვის, მაგრამ იგი დაიყოლიეს, გაეზიარებინა გენერალური შტაბის წინადადება, რომელიც ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს იმიზეზებდა. არმიის რეფორმა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მსგავსი გეგმა, შედგება სამი ნაწილისაგან: მოსამზადებელი, რომელიც დაახლოებით ერთ წელიწადს გრძელდება, ექსპერიმენტული – 3,5 წლის ვადით, და, ბოლოს, – პროგრამის ხორცშესხმა. გენერლები იმედოვნებენ, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც მესამე ნაწილზე გადავლენ, პოლიტიკური დირექტივა შეიცვლება.



ზოგიერთ უფროს ოფიცერს არსებული სისტემა დიდად აძლევს ხელს. ისინი იღებენ ქრთამებს, ჰყიდიან არმიის ქონებას.

შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა, ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში დაამთავრეს სამხედრო აკადემიები, ტექნიკურად ისინი საუცხოოდ არიან მომზადებული, მაგრამ სწორედ ვერ შეუფასებიათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. ფრაზა „შეზღუდული რესურსები" სამხედრო აკადემიების ლექსიკონში არ არის. რუსმა გენერლებმა იციან, როგორ მართონ ზესახელმწიფოს არმია, მაგრამ ასეთი გაქანების სამხედრო ბიუჯეტი შეიძლება, გამართლებული იყოს მხოლოდ შესაბამისი საფრთხის არსებობისას. მიიჩნიო შეერთებული შტატები და ნატო პარტნიორებად – ნიშნავს აღიარო, რომ ახლანდელი შეიარაღებული ძალები მეტისმეტად დიდია.

უახლოესი წლის მანძილზე, პრეზიდენტმა პუტინმა უნდა მოახდინოს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური არჩევანი. გენერლები და უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელები მას დაეხმარნენ, გაემარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში. ახლა ისინი ყოველნაირად ბერავენ პროფესიული არმიის შექმნის ღირებულებას, რათა დაბლოკონ რეფორმები. მათ არ შესწევთ უნარი, არც გაიმარჯვონ ჩეჩნეთის ომში და არც წავიდნენ ამ რეგიონიდან ისე, რომ ჩრდილი არ მიადგეს მათ ღირსებას. ქვეყნის მცხოვრებთა სამი მეოთხედი პროფესიული არმიის შექმნის მომხრეა. სულ უფრო ნაკლები ხალხი იწონებს საომარ მოქმედებას ჩეჩნეთში.

თუ პუტინი გადაწყვეტს, გაწყვიტოს ურთიერთობა თავის ყოფილ უშკომელ კოლეგებთან, მოსახლეობა მას მხარს დაუჭერს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, იძულებული გახდება, ხელი მოჰკიდოს მასშტაბურ საკადრო ცვლილებებს. ვიეტნამის ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდნენ ისეთი მხედართმთავრები, როგორებიც არიან ნორმან შვარცკოპფი და კოლინ პაუელი. ისინი შეეცადნენ, გარდაექმნათ ამერიკის არმია, შეეცვალათ მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან. პუტინი კი ისეთ ოფიცრებს ეყრდნობა, როგორიც არის ვოლგოგრადელი მაიორი შირიაევი. და სანამ ასეთი ადამიანები ხელმძღვანელობენ რუსეთის არმიას, სიტუაცია მხოლოდ გაუარესდება.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

დასაქმება

# სურვილი იყოს, თორემ სამუშაო არის

**სამუშაო ადგილების ვაკანსიები 8 ოქტომბრისათვის**

**დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისათვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი).**

**დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:**

**დიდუბე-ჩუღურეთის** რაიონული განყოფილება — დავით აღმაშენებლის 140-ა გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.

**ისანი-სამგორის** რაიონული განყოფილება — ველაზის ქ. 34, მეტრო „ველაზის" მიმდებარე ტერიტორია.

**მთაწმინდა-კრწანისის** რაიონული განყოფილება — გ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.

**ვაკე-საბურთალოს** რაიონული განყოფილება — კოსტავას 68-ა გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.

**გლდანი-ნაძალადევის** რაიონული განყოფილება — სარაჯიშვილის 1. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

(გაგრძელება იქნება).

**სააქციო საზოგადოება „ქართლის" აქციონერთა საყურადღებოდ**

2002 წლის 29 ოქტომბერს დღის 11 საათზე შედგება საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ;
2. სალიკვიდაციო კომისიის არჩევა;

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა, ამასთან აქციონერებმა თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი, № 14.

სააქციო საზოგადოება „ქართლის" დირექტორი.

## სამშაბათი 8 ოქტომბერი

**[1]**

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 მხ. ფილმი "**ორმაგი სიცოცხლე**" 11.30 დოკ. ფილმი "**კლოდ და ბიუსი**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 დოკ. სერიალი "**მშვიდობით მე-20 საუკუნევ**" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "**განკითხვის დღე**" 17.00 სერიალი "**ძილის წინ**" 17.15 შემეცნებითი ფილმი "**მოგზაურობა დედამიწის გარშემო**" 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "და არს მუსიკა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "**რვაფეხა**" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.00 მხ. ფილმი "**ქალის გული**"

**[2]**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი "**ინგლისი**" 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ქალები და მამაკაცები**" (მე-2 ნაწილი)

**[რუსთავი 2]**

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00 კურიერი 18.20 სერიალი "**ტალღის ქიმზე**" 19.15 **პერეკრესტოკი** 19.50 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**მიწიერი სურვილები**" 02.20 კურიერი. 02.30 კლასიკა.

**[იმედი]**

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**ქათლოუ**" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.15 ბურთი და მოედანი 10.25 დოკ. სერიალი 10.50 მხ.ფ. "**ფრთოსანი გველის შურისძიება**" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "**როუზების ომი**" 22.30 ძველი კინო "**სოლიარისი**" 00.50 ღამის ფილმი

**[კავკასია]**

12.00 დოკ.ფილმი "**მე-20 საუკუნის ყველაზე გახმაურებული დანაშაულები**" (1-ლი ნაწილი) 13.00 მხ. ფილმი "**რობინ ჰუდი**" 15.15 მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი 1**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**სისხლი და ღვინო**" 19.20 სპექტრი 21.00 დოკ.ფილმი "**მე-20 საუკუნის ყველაზე გახმაურებული დანაშაულები**" (მე-2 ნაწილი) 22.00 მხ. ფილმი "**ინკოგნიტო**"

**[ევრიკა]**

10.00 მხ. ფილმი "**გოგონა უმისამართოდ**" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 12.25, 21.30 "სალონი" 14.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მუსიკალური ტაიმაუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.00 მუსიკა 00.40 მხ.ფ. "**პატივმოყვარეობის კოცონი**"

**[1ST]**

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 13.45 მხ. ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "**ჯუნგლებიდან ჯუნგლებში**" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "VJ" 21.00 ევროპული ათეული 22.00 ჩაძირობანა 23.00 მოკლე სეანსი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "**მეფე სოლომონის განძეულობა**". მთ. როლებში ერნესტო ალტერიო, ადრია კოლადო 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "**სულელი**". მთ. როლებში მილა იოვოვიჩი, უილიამ ბოლდუინი 03.10 ნონ-სტოპი

**[9-ე არხი]**

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-17 სერია 09.45 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 69-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 21-ე სერია 11.15 მხ. ფილმი ბალეტი "**კარიერა**" 13.00 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 14.45 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 15.00 ქართ. მხ. ფილმი "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" 16.30 მხ. სერიალი "**დაშნის დედოფალი**" მე-20 ნაწილი 17.15, 22.00 მუსიკა 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-18 სერია 18.15 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 70-ე სერია 18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 22-ე სერია 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.10 მხ.ფ. "**უკანონობა**" მთ. როლებში რუდგერ ჰაუერი, ქერილ ალტი, ომარ შარიფი 00.20 მხ.ფ. "**კომპიუტერული მოჩვენება**". მთ. როლებში ნიკოლას რაინი, ფითერ ვაითფორდი, სქოთ ბარჯესი

**[S]**

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 1 სერია 10.20 კომედია "**იუმორის მეფეები**" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "**ჯუმანჯი**" 13.55 თრილერი "**მკვლელობა მორის ქუჩაზე**" 16.15 მულტფილმი "**ველური გედები**" 17.10 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 2 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 2 სერია 20.20 ქართული მხატვრული ფილმი "სანამ წვიმა გადაივლიდეს" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 დოკუმენტური ფილმი 01.05 კომედია "**ოქროს ხბო**" 1 სერია 02.15 დოკუმენტური ფილმი 03.30 მელოდრამა "**ქვირფასეულობა**" 1 სერია

**[VII არხი]**

09.00 ანონსი 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "ბედნიერი ერი" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.50 "ავტოტრეკინგი" 11.35 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 12.50 "ბრძოლა წესების გარეშე" 13.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 13.50 "ბიორითმი" 14.10 დისნეი და მისი მეგობრები 14.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 15.10 სპორტი 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 21.20 "ღამის კაპრიზი" 22.40 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო -ტელე 23.05 "კინოკლუბი" - "**ლამაზმანები**" - მე-2 სერია 00.45 მელოდია 01.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.45 "ბიორითმი"

## ოთხშაბათი 9 ოქტომბერი

**[1]**

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 09.50 მხ. ფილმი "**ქალის გული**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "**რვაფეხა**" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ქართული ენის გაკვეთილი" 14.35 "ზღვარი" 15.15 მხ. ფილმი "**ბარონის მაზურკა**" 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ისტორიანი" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.30 მინი ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩი: თბილისის "**იბერია**" - რუსეთის "**ნიკელი**" (რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან) 21.55 "დრო და ფული" 22.05 სერიალი "**რვაფეხა**" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 სერიალი "**ძილის წინ**" 00.00 მხ. ფილმი "**პოლიციელის სიტყვა**"

**[2]**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "**რთული გადაწყვეტილება**"

**[რუსთავი 2]**

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი 18.55 სერიალი "**ტალღის ქიმზე**" 19.50 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**მოაშორეთ კარტერი**" 02.30 კლასიკა.

**[იმედი]**

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**როუზების ომი**" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.20 ძველი კინო "**სოლიარისი**" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "**ასფალტის ჯუნგლები**" 22.15 მხ.ფ. "**8 ქალი**" 00.30 ღამის ფილმი

**[კავკასია]**

12.00 დოკ.ფილმი "**მე-20 საუკუნის ყველაზე გახმაურებული დანაშაულები**" (მე-2 ნაწილი) 13.00 მხ. ფილმი "**ინკოგნიტო**" 14.50 მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი 2**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ბოგუსი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**გარაჟი**" 22.30 მხ. ფილმი "**სამნი უნდა მოვიშოროთ**"

**[ევრიკა]**

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 12.25 სალონი 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 20.15 მუსიკალური პაუზა 20.30 საოცარი პირამიდა 21.30 თინეიჯერი 23.30, 00.40 მხ.ფ. "**მეორე ქალი**"

**[1ST]**

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით 13.45 მხ.ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "**აფეთქება წარსულიდან**" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 მიქს-ათეული 21.45 "მოკლე სეანსი" 22.00 "ინფარმატორი" 22.30 "არასარეკლამო ათეული" 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "**ფერფლი**". მთ. როლებში ჯოზეფ ფაინსი, დევიდ ვენემ 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "**სახლი "წითელი ვარდი"**" მთ. როლებში ნენსი ტრევისი, ჯულიან სენსი 03.20 ნონ-სტოპი

**[9-ე არხი]**

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-18 სერია 09.45 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 70-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 22-ე სერია 11.15 მხ. ფილმი "**უკანონობა**" 13.00, 22.00 მუსიკა 13.05 მხ. ფილმი "**კომპიუტერული მოჩვენება**" 14.45, 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "პალიტრა" - კლოდ ჟუნე, ანა ლორენი 15.45 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 16.30 მხ.სერიალი "**დაშნის დედოფალი**" 21-ე სერია 17.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-19 სერია 18.15 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 71-ე სერია 18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 23-ე სერია 20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა" 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.10 მხ.ფ. "**ჩუმი ქახილი**". მთ. როლებში ოლივია ჰასი, ქელი ნელსონი 00.20 მხ.ფ. "**ფარული მოქმედება**". მთ. როლებში ჰენეს ჯენისკი, ლაიზა ვიდალი, ჩიქ ვენერა

**[S]**

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 2 სერია 10.20 ქართული მხატვრული ფილმი "**სანამ წვიმა გადაივლიდეს**" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "**ოქროს ხბო**" 1 სერია 13.25 ვესტერნი "**წითელი ეშმაკი**" 15.10 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი "**ჰერკულესი**" 17.45 ფანტასტიკა "**მაცისტი ველურების წინააღმდეგ**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 3 სერია 20.20 მელოდრამა "**ვარსკლავი**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05 დოკუმენტური ფილმი 01.05 კომედია "**ოქროს ხბო**" 2 სერია 03.30 მელოდრამა "**ქვირფასეულობა**" 2 სერია

**[VII არხი]**

09.00 ანონსი 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე 10.40 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.50 სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 11.05 "პაემანი" 11.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" -საყოფაცხოვრებო ტექნიკა 13.15 ანიმაცია 13.30 "ბიორითმი" 13.55 "ბრძოლა წესების გარეშე" 14.20 დისნეი და მისი მეგობრები 14.40 "სახლიდან გაუსვლელად" -კომპიუტერული ტექნიკა 15.25 სპორტი 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად"- საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.10 "ობიექტივი" 21.30 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 21.45 "ბრძოლა წესების გარეშე" 22.05 "ლა-ლა-ლა" 22.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 23.15 "კინოკლუბი" - "გამქრალი სიყვარული". საფრანგეთი. 1979 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი - ფრანსუა ტრიუფო. როლებში: ჟან-პიერ ლეო, კლოდ ჟადი. 01.10 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 01.40 "ბიორითმი"

## ხუთშაბათი 10 ოქტომბერი

**[1]**

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 მხ. ფილმი "**პოლიციელის სიტყვა**" 11.35 "ზოოპარკი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "**რვაფეხა**" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი" 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი "**ჩემი სისულელის ისტორია**" 16.35 "წყვილები და დუეტები" 16.55 სერიალი "**ძილის წინ**" 17.10 "რამპა" 17.15 შემეცნებითი ფილმი "**მოგზაურობა დედამიწის გარშემო**" 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ჯანმრთელობა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "**რვაფეხა**" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "საქართველო არის ესე" 22.35 "პალიტრა" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.00 მხ. ფილმი "**მეფის ასული და მეომარი**" 02.10 ქართული ენის გაკვეთილი

**[2]**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ხელშეუხებელნი**"

**[რუსთავი 2]**

07.00 მუსიკა 07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი 18.55 სერიალი "**ტალღის ქიმზე**" 19.50 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "**ჯიპერს-კრიპერსი**" მთ.როლებში ჯინა ფილიპსი, ჯასტინ ლონგი 02.30 კლასიკა.

**[იმედი]**

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**ასფალტის ჯუნგლები**" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.25 დოკ. სერიალი 10.50 მხ. ფილმი "**8 ქალი**" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "**კრაზანების ბუდე**" 22.30 მხ. ფილმი "**კოდი უცნობია**" 00.50 ღამის ფილმი

**[კავკასია]**

12.00 მხ. ფილმი "**გარაჟი**" 13.30 მხ. ფილმი "**სამნი უნდა მოვიშოროთ**" 15.00 მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი 4**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**მარვინის ოთახი**" 19.20 სპექტრი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი "**უფსკრული**"

**[ევრიკა]**

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45, 20.00 მსოფლიო სპორტი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25, 21.30 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "იდენ-ტვ" 23.00 ფსიქო-პორტრეტი 00.00 მუსიკა 00.40 მხ.ფ. "**სასიყვარულო განწყობილება**"

**[1ST]**

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით 12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით 13.15 მუსიკა 14.00 მხ.ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "**დრაკონების მიწისქვეშეთი**" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ევრო-ქართული ათეული 21.45 მოკლე სეანსი 22.00 ჩაძირობანა 22.45 მოკლე სეანსი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "**კრაზანების ბუდე**". მთ. როლებში სამი ნასერი, ბენუა მაჟიმელი 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "**სახლი "წითელი ვარდი"**". 03.20 ნონ-სტოპი

**[9-ე არხი]**

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-19 სერია 09.45 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 71-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 23-ე სერია 11.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა" 11.25 მხ. ფილმი "**ლანცელოტი - დროის მცველი**" 12.50, 22.00 მუსიკა 13.00 მხ. ფილმი "**მაილოს დაბადება**" 14.45 ევროპის სტადიონებზე 15.15 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 16.30 მხ. სერიალი "**დაშნის დედოფალი**" 22-ე სერია 17.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-20 სერია 18.15 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 72-ე სერია 18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 24-ე სერია 20.00 ბელისიმო 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.15 მხ. ფილმი "**ბრაზიანი ნაგაზები**" მთ. როლებში ლუკა ბერკოვიჩი, დენიელ ქვინი 00.20 მხ.ფილმი "**შერგარი**" მთ. როლებში იან ჰოლმსი, დევიდ ვორნერს, მიკი რურკი

**[S]**

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 3 სერია 10.20 ფილმი- ზღაპარი "**ჰეიდი**" 1 სერია 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "**ოქროს ხბო**" 2 სერია 13.45 ისტორიული ფილმი "**ფარაონის აკლდამა**" 15.20 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 17.35 სათავგადასავლო ფილმი "**დაკარგული სამოთხე**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 4 სერია 20.20 კომედია "**სათამაშო**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 დოკუმენტური ფილმი 01.05 კომედია "**კურსდამთავრებული**" 03.30 კომედია "**მეთორმეტე ღამე**"

**[VII არხი]**

09.00 ანონსი 09.45 "აჩიკუდა" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.50 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 11.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.40 "ბიორითმი" 12.00 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.05 "მელოდია" 13.25 "ბრძოლა წესების გარეშე" 13.50 დისნეი და მისი მეგობრები 14.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 14.55 სპორტი 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად"- საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "პაემანი" 20.30 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 21.00 "ბრძოლა წესების გარეშე" 21.20 "ღამის კაპრიზი" 22.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო-ტელე 22.55 "კინოკლუბი" - "**მერაკეტე**". ა.შ.შ. 1998 წელი. სათავგადასავლო. რეჟისორი - ჯონ ჯონ სტონი. მთ. როლში: ტიმოთი დალტონი. 00.40 მელოდია 01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.45 "ბიორითმი" 02.05 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი

## პარასკევი 11 ოქტომბერი

**[1]**

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 09.55 მხ. ფილმი "**მეფის ასული და მეომარი**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "**რვაფეხა**" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 50-50 15.55 ფეხბურთში საქართველოს და რუსეთის ოლიმპიური ნაკრების შეხვედრა 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "**რვაფეხა**" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "მიამბეთ თქვენზე" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 00.00 მხ. ფილმი "**სია**" 01.30 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"

**[2]**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "**ყველაფერი კარგად იქნება**"

**[რუსთავი 2]**

07.00 მუსიკა 07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი 18.55 სერიალი "**ტალღის ქიმზე**" 19.50 სერიალი "**ოცნების კოშკები**" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "**პოლა იქს**" მთ.როლებში კატრინ დენევი, გიიომ დეპარტიე 02.30 მხ.ფილმი "**ვარსკვლავთა ომები 1**" მთ.როლებში ჰარისონ ფორდი, მარკ ჰემილი 04.30 კლასიკა.

**[იმედი]**

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**კრაზანების ბუდე**" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.20 მხ.ფ. "**კოდი უცნობია**" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. ფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "**ქალაქებიდან შორს**" 22.30 მხ.ფ. "**ვნების სტიქია**" 00.30 ღამის ფილმი

**[კავკასია]**

12.00 მხ. ფილმი "**უფსკრული**" 14.00 მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი 4**" 16.00 მულტფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ვინ უღალატა კურდღელ როჯერს**" 19.20 სპექტრი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი "**ჭკვიანი შილ პანტინგი**"

**[ევრიკა]**

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45 პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი" 12.25 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 23.30 "გამარჯობა" 23.10 მუსიკალური პაუზა 23.25 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "**ვალმონტი**"

**[1ST]**

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "ვიდეო-რადიო" გამეორებით 13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 14.00 მხ. ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "**მაფია**" 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 რუსული ათეული 21.45 მოკლე სეანსი 22.00 ჩა[illegible]იროზანა 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ტელედისკოთეკა" 02.00 "ღამურა" მხ.ფ. "**მომკალი ნაზად**" მთ. როლებში ჰიზერ გრემ, ჯოზეფ ფაინსი 03.30 ნონ-სტოპი

**[9-ე არხი]**

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-20 სერია 09.45 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 72-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 24-ე სერია 11.15 დოკ. ფილმი "ფრანგული ცირკი" 12.25 მხ. ფილმი "**ძურდად დაბადებული**" 14.00 ბელისიმო 14.45 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 15.30 მხ. ფილმი "**ბრაზიანი ნაგაზები**" 17.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.45 მულტფილმი "ალექსი" 21-ე სერია 18.15 საბავშვო სერიალი "**ალ. მაკის სამყარო**" 73-ე სერია 18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოვება**" 25-ე სერია 20.00 ლიმონი და ლიმონათი 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.00 მხ. ფილმი "**ენიგმა**" 00.20 მხ. ფილმი "**ბაზა-2**". მთ. როლებში ანტონიო საბატო, ჯეიმს რუმერი

**[S]**

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 4 სერია 10.20 ფილმი- ზღაპარი "**ჰეიდი**" 2 სერია 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "**მეთორმეტე ღამე**" 14.25 თრილერი "გატაჯება" 16.15 მულტფილმი "ნინძა" 17.05 მხატვრული ფილმი "**ბენ-ჰური**" 1 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 ტელესერიალი "**ბანდიტური პეტერბურგი**" 5 სერია 20.20 ქართული მხატვრული ფილმი "**ეთერი ნახვით შეყვარება**" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05 დოკუმენტური ფილმი 01.05 კომედია "**კიკუჯირო**" 03.30 მხატვრული ფილმი "**ვინა ვარ**"

**[VII არხი]**

09.00 ანონსი 09.40 "აჩიკუდა" 10.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 10.50 "ბიორითმი" - ალსუ 11.10 ანიმაცია 11.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.10 "მელოდია" 12.30 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 12.45 "ბრძოლა წესების გარეშე" 13.05 დისნეი და მისი მეგობრები 13.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 14.00 სპორტი 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "ობიექტივი" 20.35 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.10 "ბრძოლა წესების გარეშე" 21.35 "სახლიდან გაუსვლელად"- ავეჯი 21.50 მელოდია 22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.35 "კინოკლუბი" - "**წითელი წრე**" საფრანგეთი. 1975 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ჟან-პიერ მელვილი. მთ. როლში: ალენ დელონი. 00.45 პრესის მიმოხილვა 00.50 მელოდია 01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.45 "ბიორითმი"

მუსიკა

# „რეკვიემი" ევგენი მიქელაძისათვის, ხელმრუდეთა „გმირობების" თანხლებით

2003 წელს 100 წელი სრულდება ლეგენდარული დირიჟორის ევგენი მიქელაძის დაბადებიდან. ამიტომაც, მისივე სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი 2002-03 წლების სეზონს სწორედ დიდი მაესტროს იუბილეს და ხსოვნას უძღვნის. და თუ ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის ვახტანგ მაჭავარიანის სიტყვებს მოვიშველიებთ, ეს სეზონი ეძღვნება „ადამიანს, პიროვნებას, მაესტროს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ და მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში, უკვდავყო თავისი სახელი, საუბედუროდ, სიცოცხლის ფასად ... ლით".



მართლაც, ტრაგიკული ბედისწერისა იყო ევგენი მიქელაძე, მაგრამ მისი ... „ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დაიბეჭდა დიდებული დირიჟორის, მომხიბვლელი ადამიანის სახე ..." — ევგენი მიქელაძე „საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან კოლექტივად იქცა. მიქელაძე საბჭოთა სადირიჟორო სკოლის მამამთავარია", — დიმიტრი მოსკალევი.

... ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი თავისი საკონცერტო სეზონს ევგენი მიქელაძის ხსოვნას უძღვნის, ... ორკესტრის ... „რეკვიემი" ...



შეიძლება ითქვას, რომ ევგენი მიქელაძის 100 წლისთავისა და ხსოვნისადმი მიძღვნილი საკონცერტო სეზონი ღირსეულად გაიხსნა, რაშიც თანაბრად მიუძღვის წვლილი საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრს, ... ლოდინს არ გაუცრუებს სიმფონიური მუსიკის მოყვარულებს.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

P. S. ... ევგენი მიქელაძის ... „რეკვიემის" ... ორკესტრის ... ხელმძღვანელობის ...

— ბ. ო.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## მადლობა

# თავს მოვალედ ვთვლი...

ჯერ ვერ გამოვსულვარ იმ დიდი შთაბეჭდილებიდან, რომელიც დატოვა ჩემში ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო ღონისძიებებმა. თავს მოვალედ ვთვლი, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვუთხრა დიდი მადლობა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს [illegible], საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს [illegible] ჯანსუღ ბაგრატიონს, [illegible] ვიცე-პრეზიდენტს და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილს, ყველას, ვინც არაფერი დაიშურა ამ ისტორიული თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად და ესოდენ დააფასა საქართველოს პირველ ოლიმპიელთა ღვაწლი.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას!

**მედეა (მზია) ჯუღელი,**
**ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში (ჰელსინკი, 1952 წ.).**

## მინიფეხბურთი

# „იბერიამ“ მოგებით დაიწყო

**[illegible] სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი მინიფეხბურთში (ფუტსალში). [illegible] „იბერია-2000“, ლატვიის „ოლიმპი“, პორტუგალიის „ფრეამუნდე“ და რუსეთის (ნორილსკი) „ნიკელი“. თასისთვის პაექრობას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული განაგრძობს.**

კვირას პირველ ტურში ჯერ „ფრეამუნდე“ და „ნიკელი“ ფეხბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. [illegible]



[illegible]

**ვაჟა დანელია.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## საბრძოლო ხელოვნება

# წარსულის ლეგენდარულ გმირთა სიბრძნე

**[illegible]**

[illegible]

ხოლო ის ფაქტი, რომ ბავშობიდანვე საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოებებს ნაზიარები მებრძოლი უკეთ გაართმევს თავს დასახულ ამოცანებს როგორც ბრძოლის ველზე, აგრეთვე სასწავლო ცენტრებში, ვიდრე ორთაბრძოლებში უვარჯიშებელი, ვფიქრობთ, ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს საზოგადოების ნაწილში გაჩენილი ეჭვი, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლები, თავიანთი საბრძოლო საიდუმლოებებით, ისე აღმატებულნი არიან მსოფლიოში არსებულ სხვა ორთაბრძოლებზე და, აქედან გამომდინარე, მათი თეორიული თუ პრაქტიკული საფუძვლები, დამყარებულნი საუკუნეობრივ გამოცდილებასა თუ ისტორიულ, კონკრეტულ ფაქტებზე, იმდენად ზეაღმატებულად და განყენებულად წარმოჩნდებიან, რომ „იაპონელი უნდა იყო, კარატეში რამე გამოგივიდეს“.

მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებების განვითარების ისტორიას თუ გავაანალიზებთ, თვალში მოგვხვდება, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების, ბრძოლების პრაქტიკაში მის დანერგვისა და ფართოდ გამოყენების შემდეგ, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების გარდა, ყველა სხვა ორთაბრძოლებმა პოზიციები დათმეს და შემდეგ, მეტნაკლებად, საერთოდ გაქრნენ, ყოველი შემთხვევისთვის, დაკარგეს საბრძოლო, როგორც *ხელოვნების* შინაარსი, რაც უთუოდ მიგ-

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 243.**

[illegible]

თა ბელადს — კოხტას კისერში დაუქნია ხმალი, ამ უკანასკნელის უკვე მოკვეთილი თავი ისევ მხრებზე იდო, როდესაც „მოასწრო“ სიტყვების — „დამაცილე გიაურო“-ს დაძახება და მხოლოდ ამის შემდეგ გაშორდა პატრონის — ჩრდილოეთ კავკასიის უპირველესი მხედრის ტანს.

თუ იაპონური ერთ-ერთი საბრძოლო ხელოვნების, კარატე გოჯუ-კაის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, დიდოსტატს, გოგენ იამაგუჩის, შიშველი ხელით ვეფხვი ჰყავს მოკლული, ისტორიამ შემოგვინახა ცნობები, რომ ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ჯარში იყო „მრავალი ლომის ხელით შემპყრობი“ რაინდი. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ერთია ვეფხვის მოკვლა და მეორეა ლომის „შეპყრობა“, ე.ი. ცოცხლად დაჭერა! — თან არა ერთი, არამედ „მრავალი ლომის“! — ეს კი მხოლოდ ორთაბრძოლის ზედმიწევნით დახვეწილი, ურთულესი საბრძოლო მომზადების შედეგად თუ იყო შესაძლებელი, ე.ი. არსებობდა შესაბამისი სისტემა რაღაც ორთაბრძოლისა.

ვახტანგ გორგასალი ვახსენეთ და უნდა აღინიშნოს მისი, როგორც უშუალოდ მებრძოლის ფენომენი მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების ისტორიაში, თანაც, პარალელი გავავლოთ იაპონელი სამურაების ისრის აცილების საქვეყნოდ ცნობილ ხელოვნებასა და მეფე ვახტანგის ანალოგიური ხელოვნების ფლობის ისტორიულ ფაქტს შორის:

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვახტანგ მეფემ ჩრ. კავკასიაში ლაშქრობის დროს, ბრძოლის დაწყებამდე გამართულ პაექრობებში დაამარცხა

[illegible]

საქვეყნოდ ცნობილია ჩინური, შაო-ლინის მონასტერი, რომლის ბერებიც ფლობდნენ ჩინური უ-შუს — იარაღიანი თუ უიარაღო ორთაბრძოლის ურთულეს ილეთებს. ამ მონასტრის "კურსდამთავრებული" შიშველი ხელებით თავისუფლად უმკლავდებოდა რამდენიმე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს.

მარაბდის ბრძოლის (1625წ.) დროს მეფე თეიმურაზი იბრძოდა, როგორც ეკადრებოდა ქართველთა გმირ მეფესა და მთავარსარდალს: „მას დღესა ბატონმა თეიმურაზმა დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარ შემორჩომოდა რა, ბეჭდებიცა დაამტვრია მუშტის ძგერებით“.

ნათელია, რომ შუაგულ ბრძოლაში, როდესაც შიშველი ხელების ანაბარა ხარ დარჩენილი კბილებამდე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთა წინაშე, მხოლოდ მუშტის სიდიდე და დარტყმის სიმძლავრე, გინდ ზედ დამატებული ზეადამიანური მამაცობაც ვერას გიშველის, თუ ძალიან მაღალ დონეზე არ ფლობ უიარაღო ორთაბრძოლის (იარაღიანთან თუ უიარაღოსთან) ხელოვნებას!

**კახაბერ მარკოზაშვილი,**
**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის დირექტორი, საბრძოლო ხელოვნების ოსტატი, საბრძოლო ხელოვნების შემეცნების კლუბის „ბონსაი“ საბჭოს თავმჯდომარე.**

**(დასასრული იქნება)**

## კალათბურთი

# დაწინაურდნენ ჩემპიონები



**კვირას ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ქუთაისელებმა იოლად სძლიეს სოხუმელებს — 73:59. შედარებით დაძაბული გამოდგა კალათბურთის აკადემიის გუნდისა და თბილისის „მაქაბის“ შეხვედრა. გამოცდილმა მაქაბელებმა ბოლოს მაინც იძალეს და მატჩიც მოიგეს 93:79.**

უცნაურად დაიწყო ქვეყნის ორგზის ჩემპიონის ბათუმის „ბასკოს“ და სტუ-„ჯეოსელის“ ორთაბრძოლა. პირველსავე წამებზე სტუდენტები დაწინაურდნენ 4:0. ზღვისპირელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა და ეს ანგარიში (4:4) მერვე წუთამდე (!) არ შეცვლილა. პირველი პერიოდის ბოლო სამწუთიან მონაკვეთში ბასკოელმა კეშელავამ ზედიზედ ორი ზუსტი სამქულიანი ტყორცნით თავისი გუნდი დააწინაურა.

პირველი ტაიმი ჩემპიონებმა მოიგეს 30:25. ხუთქულიანი სხვაობა მათ მესამე პერიოდის ბოლოსთვისაც შეინარჩუნეს. მეოთხე ათწუთიან მონაკვეთში სტუდენტები გააქტიურდნენ, მათი ტყორცნები უფრო ხშირად აღწევდა მიზანს (უნდა ითქვას, რომ მატჩი აზარტული, სწრაფი და მიმზიდველი გამოდგა, მაგრამ ბევრი ტექნიკური წუნი ახლდა: კალათბურთელები სრულიად უწყინარ სიტუაციაში კარგავდნენ ბურთს; ტყორცნებიც ვერ იყოს ზუსტი) და 36-ე წუთზე ტუჯანმა ანგარიში გაათანაბრა — 55:55. ყველას ეგონა, რომ სტუ-„ჯეოსელი“ შეძლებდა მატჩში გარდატეხის შეტანას და დაამარცხებდა ქვეყნის ჩემპიონს, მაგრამ ნიკოლაძემ ზუსტი სამქულიანით კვლავ სტუმრები დააწინაურა. „ბასკომ“ დარჩენილ დროში კიდევ 13 ქულა მოაგროვა, სტუ-„ჯეოსელმა“ კი — მხოლოდ 1 (!) და, ცხადია, წააგო 56:71. ამ გამარჯვებით ზღვისპირელები გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში.



კვირასვე დამთავრდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის გოგი ქათამაძის ხსოვნის ტურნირი 1988 წელს დაბადებულ კალათბურთელთა შორის. ქიული შარტავას ფონდის, საზოგადოებრივი მოძრაობა „ფესვების“, საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით გამართულ ამ შეჯიბრებაში ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „მართვე-ჯეოსელი“ (მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი) და „მართვე“ (მწვრთნელები — ნაირა შაკიაშვილი და ვაჟა ჭოტაშვილი). 64:50 გაიმარჯვეს ჩერქეზიშვილის შეგირდებმა (კვიტაიშვილი, ძიძიგური, ნებულიშვილი, წერეთელი, ბერუაშვილი, წივწივაძე, ტომარაძე, შენგელია, მაისურაძე, მათიაშვილი, კობახიძე, დევიძე) და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. პირველი ხარისხის დიპლომებთან



ერთად მათ საჩუქრად სპორტული ფორმებიც გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კოკა ტომარაძე („მართვე-ჯეოსელი“) აღიარეს.

**ნათია თედორაძე.**

**სურათებზე: ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გამართული ორთაბრძოლებისა და დაჯილდოების მომენტები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**ფეხბურთელთა XIV ეროვნული ჩემპიონატის X ტური აჭარლასა და ბათუმში გამართული მატჩებით დასრულდა, სადაც ძალებს ლიდერები ცდიდნენ.**

თბილისური დერბი — „მერანი“ — „ლოკომოტივი“ ჩაშლის პირას იყო, რადგან ოთარ გაბელიას შეგირდები ხელფასებისა და პრემიების სისტემატური გადაუხდელობის გამო მინდორზე გასვლას საერთოდ არ აპირებდნენ. საბოლოოდ, მორიგი დაპირებების შემდეგ, ისინი მაინც დაყაბულდნენ თამაშს და ქვეყნის ვიცეჩემპიონის ძლევით ყველას დაუმტკიცეს, რომ ტყუილად არ აქცევენ ყურადღებას. შეხვედრის ბედი 75-ე წუთისთვის გადაწყდა, როცა ფირცხალაიშვილმა, კოშკაძემ და ჩიღვინიძემ რკინიგზელები უიმედო მდგომარეობაში ჩააგდეს — 3:0. ცაკარიასის გუნდმა დარჩენილ მცირე დროში მხოლოდ პრესტიჟის გოლების გატანა მოახერხა (ბურნაძე, ონიანი) და ახალი თავკაცის ხელში პირველი მარცხი იწვნია.

სამაგიეროდ, კვლავ იყოჩაღა გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „დინამომ“, რომელმაც ვაჟკაცურად გადაიტანა „ლიბერეცთან“ **უეფას** თასზე წაგებული ორრაუნდიანი დუელი და სტუმრად „ბათუმი“ დაჯაბნა — 3:1. ახალაიას „დუბლსა“ და გოგობერიშვილის გოლს ერთადერთი ზუსტი დარტყმით ხუჯაძემ უპასუხა.

სადღეისოდ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: „დინამო“ — 25, „ტორპედო“ — 22, „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ — 19-19, „კოლხეთი“ — 17, „მეტალურგი“, „სიონი“ — 13-13, „მერანი“ — 11, „დილა“ — 8, „მილანი“ — 6, „ბათუმი“ — 5, „გორდა“ — 3 ქულა.

სანაკრებო ციებ-ცხელების გამო ეროვნულ ჩემპიონატში ერთკვირიანი შესვენება გამოცხადდა. I წრის ფინიშზე ითამაშებენ: „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯია“, „მილანი“ — „მეტალურგი“, „დინამო“ — „დილა“, „სიონი“ — „მერანი“, „გორდა“ — „ტორპედო“ (15 ოქტომბერს) და „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“ (16 ოქტომბერს).

* * *

**იტალია.** IV ტური. „პიაჩენცა“ — „ინტერი“ 1:4, „მილანი“ — „ტორინო“ 6:0, „იუვენტუსი“ — „კომო“ 1:1, „ემპოლი“ — „ბოლონია“ 0:0.

„ინტერი“ — 12, „მილანი“ — 10, „იუვენტუსი“, „ბოლონია“ — 8-8 ქულა.

**ესპანეთი.** V ტური. „ვალენსია“ — „სელტა“ 0:1 (სტუმართა არგენტინელმა მეკარე კაბალიერომ ბარახას ორი პენალტი აუღო), „სოსიედადი“ — „ვალიადოლიდი“ 2:1, „მალაგა“ — „ატლეტიკო“ 3:1, „რეალი“ — „ალავესი“ 5:2 (რონალდომ „სამეფო კლუბში“ დებიუტი „დუბლით“ აღნიშნა).

„სელტა“, „სოსიედადი“ — 13-13, „მალაგა“ — 11, „რეალი“, „ვალენსია“ — 10-10 ქულა.

**გერმანია.** VIII ტური. „ბაიერნი“ — „ბოხუმი“ 4:1, „ჰანოვერი“ — „ბორუსია“ 0:3, „ვერდერი“ — „ჰანზა“ 0:0, „შალკე“ — „ჰამბურგი“ 3:0.

„ბაიერნი“ — 19, „ბორუსია“, „ვერდერი“ — 16-16, „შალკე“ — 15 ქულა.

**ინგლისი.** IX ტური. „არსენალი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „ლივერპული“ — „ჩელსი“ 1:0, „მიდლსბრო“ — „ბოლტონი“ 2:0, „ბლექბერნი“ — „ტოტენჰემი“ 1:2.

„არსენალი“ — 23, „ლივერპული“ — 21, „მიდლსბრო“ — 17, „ტოტენჰემი“ — 16 ქულა.

**საფრანგეთი.** X ტური. „ოსერი“ — „მონაკო“ 1:1, „ნიცა“ — „ბასტია“ 2:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „გენგამი“ 5:0, „ლილი“ — „მარსელი“ 3:0.

„ოსერი“ — 21, „ნიცა“ — 20, „პარი სენ-ჟერმენი“, „მონაკო“, „მარსელი“ — 17-17 ქულა.



**შოტლანდია.** X ტური. „სელტიკი“ — „რეინჯერსი“ 3:3 (ჩემპიონს ერთი გოლი **შოთა არველაძემ** გაუტანა), „დანდი“ — „კილმარნოკი“ 2:1.

„რეინჯერსი“ — 26, „სელტიკი“ — 25 ქულა. „დანდი“ 13 ქულით VI ადგილზეა.

**რუსეთი.** XXVI ტური. „ზენიტი“ — ცსკა 0:2, „სატურნი“ — „ლოკომოტივი“ 2:1, „სპარტაკი“ — „კრილია“ 3:1, „ალანია“ — „შინიკი“ 2:1 (სტუმრები **დემეტრაძემ** და **აშვეთიამ** დაამწუხრეს).

ცსკა — 54, „ლოკომოტივი“ — 53, „სპარტაკი“ — 52 ქულა.

**გია პლატონიშვილი.**

## რეგიონი

# ვანო გამხიტაშვილის მემორიალზე

**ვისაც ვანო გამხიტაშვილი უნახავს და მისი ჭიდაობისთვის უყურებია, ძნელად თუ დაივიწყებს დიდი ფიზიკური ძალის ულამაზეს ვაჟკაცს, სულ ახალგაზრდულ ასაკში რომ მოასწრო საქართველოს ფალავნის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის, მსოფლიო თასის მფლობელის ტიტულების მოპოვება და ტრაგიკული შემთხვევა რომ არა, თავის ქვეყანას კიდევ უფრო მეტ წარმატებებს ჰპირდებოდა. ვანო გამხიტაშვილი ამ სოფლიდან წავიდა, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც უფრთხილდებიან ჭიდაობის ქომაგები და, უპირველესად, მისი მშობლიური სოფელი ქვემო ჭალა...**



იმ დღეს სამთავისის ეკლესიის ეზოში დაკრძალულ ვანო გამხიტაშვილის საფლავს ცრემლი და ყვავილები არ მოჰკლებია, ქვემო ჭალის საჭიდაო არენაზე კი გამოჩენილი მოჭიდავის მემორიალზე მისი სახელობის თასის მოსაპოვებლად შიდა ქართლის მხარის რაიონების ნაკრები გუნდები ერკინებოდნენ ერთმანეთს.

... მეხუთე წელია **სეოკის** შიდა ქართლის მხარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ცნობილი სპორტული მოღვაწე გივი ხაჩიძე სათავეში უდგას მის მიერვე ტრადიციულადქცეულ ქართულ ჭიდაობაში მხარის ნაკრები გუნდების შეჯიბრებას, რომელიც მონაცვლეობით ჭიდაობით განთქმულ ამა თუ იმ სოფელში ტარდება. წლევანდელი პირველობის ერთი ეტაპი ქვემო ჭალაში გაიმართა.

ნახევარფინალში წილისყრით დაწყვილებული მეტოქეები — გორისა და ხაშურის მოჭიდავეები შეებნენ ერთმანეთს. მძაფრ ბრძოლაში ხაშურელებმა იმარჯვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით თავი ისახელეს გელა ბარათაშვილმა, სოსო ხითარიშვილმა, ალექსანდრე სხილაძემ, რამაზ ნეფარიძემ, ალექსანდრე განჯელაშვილმა. გორელებიდან — მამუკა სახვაძემ, ლევან მარკოზაშვილმა, ალექსანდრე მეხრიშვილმა, ნიკო ბიბილაშვილმა.

კასპისა და ქარელის ფალავანთა შეხვედრაში გამარჯვებულად მასპინძლები დაასახელეს — გიორგი ღარიბაშვილის ქარელელ ემზარ ჯეირანოვზე სუფთა გამარჯვების გამო.

ფინალი ფრიად საინტერესო და დაძაბული გამოდგა: ხან ხაშურელები გადიოდნენ წინ, ხან ქარელელები. მასპინძლებმა 4:5-ზე დათმეს ორთაბრძოლა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ხაშურელები ავიდნენ.



ტურნირის ფალავანი გახდა კასპელი სოსო პავლიაშვილი, რომელმაც ფინალში გორელი ნიკო ბიბილაშვილი დაამარცხა.

გამარჯვებულებს გადაეცათ თასები, პრიზები, სიგელები. ვანო გამხიტაშვილის სახელობის პრიზი სოსო პავლიაშვილს ცნობილი მოჭიდავის მამამ რეზო გამხიტაშვილმა გადასცა. მსაჯთა კოლეგიის წევრებთან ერთად გამარჯვებულებს პრიზები დაურიგეს საპატიო სტუმრებმაც — ჭიდაობის სამყაროში ფრიად პოპულარულმა პიროვნებამ, მოჭიდავეთა მთელი თაობის აღმზრდელმა გურამ პაპიტაშვილმა, მწერალმა გიორგი ხორგუაშვილმა და სხვებმა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**სურათებზე: ჭიდაობა ქვემო ჭალაში.**

**ავტორის ფოტო.**

## ჭიდაობა

# პირველი „ოქროს ოლიმპიელის“ სახელობისა

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, რომელთა შორის მრავლად არიან ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, დამსახურებული მწვრთნელები, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები. აკადემიის აღზრდილია პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც...**

ახლა, როცა ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ზეიმობენ, განსაკუთრებულია პირველი „ქართული ოლიმპიური ოქრო“, რომელიც დავით ციმაკურიძემ ჰელსინკში XV ოლიმპიადაზე მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში (79 კგ).

სწორედ პირველ „ოქროს ოლიმპიელს“ მიუძღვნეს სპორტის აკადემიის მესვეურებმა თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირი, რომელიც ფალავანთა კლუბში გაიმართა.

ტურნირის, უფრო ზუსტად, სპორტის აკადემიის ღია პირველობის გამარჯვებულები გახდნენ: 50 კგ. ვალერი რიკაძე (სპ. აკადემია), 55 კგ. მალხაზ ქურდიანი (ტექ. უნივერსიტეტი), 60 კგ. მალხაზ კაკალაძე (ორს), 66 კგ. კობა მაქარაშვილი (ოლიმპ. სკოლა) 74 კგ. გიორგი გობეჯიშვილი, 84 კგ. მიხეილ ბაგაური, 96 კგ. ბაჩანა კარანაძე, 120 კგ. დავით ოთიაშვილი (ყველა — სპორტის აკადემია).

მთავარი პრიზი ბაგაურმა მოიპოვა, ყველაზე სწრაფი გამარჯვება კი რიკაძემ (30 წამში) იზეიმა.

**ბესიკ გაბრიაძე.**

## ცინცხალი ამბავი



**დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისბედ II, რომელიც 12-დღიანი ვიზიტით კანადაში იმყოფება, სიმბოლურად გახსნა ჰოკეის ეროვნული ლიგის მატჩი ვანკუვერის „კენექსსა“ და სან-ხოსეს „შარკს“ შორის.**

**დედოფალი წითელი ხალიჩის ბილიკით მოედნის ცენტრამდე მიაცილა განთქმულმა კანადელმა ჰოკეისტმა უეინ გრეცკიმ. ელისაბედ II ხელის მოხდენილი მოძრაობით შაიბა მარკუს ნესლუნდისა და მაიკ რიჩის ჯოხებს შორის ჩააგდო და დატოვა ყინულის საფარი.**

**დედოფალი მხოლოდ მატჩის პირველ პერიოდს დაესწრო, შემდეგ კი დარბაზი დატოვა.**

## ყოველი მხრიდან

### კომპიუტერმა წააგო!

**როგორც უკვე გაცნობეთ, ბაჰრეინში დაიწყო კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკის მატჩი საკომპიუტერო პროგრამასთან** Deer Fritz.

პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა. კვირას გაიმართა მეორე პარტია. თეთრებით თამაშობდა კრამნიკი. მანქანამ ვერ გაუძლო ადამიანის მძაფრ კომბინაციებს და დამარცხდა!

ისე რომ, ანგარიშია 1,5:0,5 კრამნიკის სასარგებლოდ.

### ისევ ჩაშინა და კაბაევა

**ჰოლანდიის ქალაქ დევენტერში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მორიგი პაექრობა „გრან-პრიზე“.** კვლავ თავი ისახელეს დისკვალიფიკაციის შემდეგ ასპარეზზე დაბრუნებულმა ირინა ჩაშინამ და ალინა კაბაევამ, მათ სწორედ ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს პირველი ორი ადგილი მრავალჭიდში, მესამე ადგილზე უკრაინელი ანა ბესსონოვა.

### პუსანის რეკორდები გრძელდება

**სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში გრძელდება აზიური თამაშები, რომელმაც მრავალი რეკორდით ბევრი ახალი ფურცელი ჩაწერა მსოფლიო სპორტის ისტორიაში.**

ძალოსნობაში ჩინელმა ქალმა ლიუ ჩუნხუნმა მოხსნა სამივე მსოფლიო რეკორდი 69 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

მესამე ცდაზე ატაცში მან 115,5 კგ დაძლია, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია რუსეთელი ვალენტინა პოპოვას შარშანდელ მსოფლიო რეკორდზე. შემდეგ 148 კგ აჰკრა, რითაც ასევე 0,5 კგ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი. საერთო ჯამში (263,5 კგ) ჩინელმა ისევ დაჯაბნა პოპოვა.

### ვადამდე გაჩემპიონდა

**ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში გამართულ რალიში ფინელმა მარკუს გრონჰოლმა თავისი „პეჟოთი“ 2002 წლის სეზონის მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და ვადამდე, თანაც მეორედ გახდა ჩემპიონი.**

პირველად მან 2000 წელს გაიმარჯვა.



### მატიე და მალეევა — „კრემლის თასის“ მფლობელნი

**გასრულდა „კრემლის თასისათვის“ ბრძოლის ბატალიები. მიუხედავად თავად რუსეთელი ჩოგბურთელების დიდი მონდომებისა და გულშემატკივართა მხარდაჭერისა, შაბათს ჰოლანდიელმა შალკენმა და ფრანგმა მატიემ ნახევარფინალში „ჩაასვენეს“ კაფელნიკოვისა და საფინის გამარჯვების დიდი იმედი.**

ფინალში კი 20 წლის ფრანგმა პოლ-ანრი მატიემ, რომელმაც 9 დღეში რვა გამარჯვება იზეიმა, ეს დიდებული პრიზი მოიპოვა (4:6, 6:2, 6:0).

ქალთა შორის გამარჯვება მალეევამ იზეიმა. მან დაამარცხა მრისხანე მეტოქე — ამერიკელი დევენპორტი — 5:7, 6:3, 7.6 (7:4).

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარიამ (მანიკო) გოგიაშვილი მეოთხე „ა" კლასის მოსწავლეებთან ერთად. სოხუმი, 1967 წლის მაისი.

ფოტო მოგვაწოდა იოსებ არჩვაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## დიდილის დოღა



— მაგრად ქეიფობთ, აი! შავი ხიზილალაც გიდევთ მაგიდაზე!

— არა, ხიზილალა კი არ არის, ტორტის ნაჭერია. მაგრამ არ ვიცით, ამ ბუზებს რა მოვუხერხოთ.

* * *

ნუ ეცდებით თქვენი პრობლემების ღვინოში დახრჩობას, გახსოვდეთ, რომ მათ ცურვა იციან.

* * *

ვანია შვილი ვანია მამასთან მივიდა და ეუბნება:

— მამა, მასროლინე ტყვიამფრქვევიდან.

— შეძლებ კი, შვილო?

— შევძლებ, მამა.

ჩაიმუხლებს შვილი ვანია ტყვიამფრქვევთან, ააკაკანებს და დახოცავს, რაც ეზოში ქათმები დაუდიოდათ.

— ყოჩაღ, შვილო. შენ ხელყუმბარის ტყორცნაც შეგეძლება.

— კი, მამა.

— მაშინ აიღე და საპირფარეშოს ესროლე.

შვილი ვანია აჩეც მოიქცევა. ცაში ავარდება საპირფარეშოს ნამსხვრევები.

— ყოჩაღ, შვილო, — ეტყვის მამა ვანია, — თორემ დედაშენი ქათმების გულისთვის თავს წაგვაცილებს.

კრიმინალი

# ქანდაკებების ქურდები დააკავეს, მაგრამ...

**ამ დღეებში მთელი საზოგადოებრიობა შეაძრწუნა საგანგაშო და სამარცხვინო ფაქტმა; გაქურდეს ეროვნული გალერეის ქანდაკების ფონდის საცავი, საიდანაც მოიპარეს ცნობილი ქართველი მოქანდაკეების უნიკალური შედევრები.**

შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა ამ დანაშაულის გახსნა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი შს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ჯემალ გაბელიას ხელმძღვანელობით. სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების მიმდინარეობას მუდმივად აკონტროლებდა შს მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე.

5 ოქტომბერს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამმართველოს, მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს შესაბამისი განყოფილების და საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს მე-6 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, ვ. აბაშიძის პირველი ჩიხის № 4-ში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული გოგონა თ. ჭ.-ძე და 46-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, იმავე ჩიხის № 6-ში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული ზ. მ-იანი, რომლებმაც აგვისტოში შეაღწიეს იმავე ქუჩის № 4-ში მდებარე საქართველოს კულტურის სამინისტროს ეროვნული გალერეის ქანდაკების ფონდის, ფაქტობრივად უპატრონოდ მიტოვებულ საცავში, საიდანაც მოიპარეს მარმარილოსა და თაბაშირის 7 ქანდაკება და სკულპტურა. ნივთმტკიცება ამოღებულია. მცირეწლოვანები ხელწერილით ჩაბარდათ მშობლებს.

ზემოთ აღნიშნული სამსახურებისა და ჭიათურის შს განყოფილების თანამშრომლებმა სოფელ ბერეთისაში დააკავეს იქვე მცხოვრები, სამშენებლო შპს „ვერტექსის" მუშა, 1952 წელს დაბადებული ჯამბულ ნოზაძე, რომელმაც თეატრალური ინსტიტუტის შენობის გამაგრებით სამუშაოებზე მუშაობისას, სხვა პირებთან ერთად შეაღწია ვ. აბაშიძის ქ. № 4-ში მდებარე ქანდაკების ფონდის საცავში, საიდანაც მოიპარა რკინის ორი თარო, თითბერისა და ბრინჯაოს 16 ქანდაკება, რომელიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით მან და მისმა თანამზრახველებმა ჩააბარეს ჯართისა და ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტებში. ნოზაძის დროებითი სამუშაო სათავსოდან ამოღებულია საცავიდან მოპარული 3 ცალი თაბაშირისა და მარმარილოს ქანდაკება.

გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველო.

სამარცხვინო დანაშაული გაიხსნა, მაგრამ რა ეშველება მთელი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზარალს?

**და კიდევ ერთი სირცხვილი: 6 ოქტომბერს, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა გურჯაანში გაქურდა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის სახელობის სამხედრო მუზეუმი.**

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

---

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყით სარგებლობის სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადებული ღია ტენდერი ნაცვლად 2002 წლის 11 ოქტომბრისა, გაიმართება 2002 წლის 11 ნოემბერს, ტყით სარგებლობის შემდეგ სახეებზე:

ა. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მთავარი სარგებლობითა და გავლითი სახის ჭრებით 2002 წლისათვის ტყის მერქნული რესურსების მოპოვება.

ბ. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის არასატყეო ფართობების გრძელვადიანი სარგებლობა.

საბუთების მიღება იწარმოებს მ. წლის 6 ნოემბრის 17 საათამდე.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყის აღრიცხვისა და ტყით სარგებლობის სამმართველოს, მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. № 9, ტელ: 32-75-47.

---

ნანი და გურამ ფიფიები შვილებით გოჩა და მაკა, რძალი მაია ხვიტია, სიძე მერაბ შარანგია, შვილიშვილები გურამ ფიფია, თათია, მარიამ, ლუკა შარანგიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სულხან დავეხის ძე კვარაცხელია

დაკრძალვა 12 X, ქ. წალენჯიხა, ტერენტი გრანელის ქ. №12.

---

სპარტაკ ქობულია ოჯახით თანაუგრძნობს გურამ ფიფიას დისწულის

სულხან კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, ვაჟა, დავით, სარა და ლუკა ასათიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამისა და ბაბუის

იოველ ერასტის ძე ასათიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 8, 9 X, 5 სთ. გამოსვენება 10 X, 3 სთ. ი. აბაშიძის ქ. 68.

---

ლიანა, დოდო, რევაზ, ვილი, ავთანდილ, მერაბ, ვაჟა ასათიანები, რევაზ და თამაზ გამყრელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის

იოველ ერასტის ძე ასათიანის

გარდაცვალებას.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იოველ ერასტის ძე ასათიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, პროფესორი

იოველ ასათიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე გივი მექვაბიშვილი, შვილები გულიკო, ელგუჯა, და ლიანა ჩხაიძე, ძმა ვლადიმერ ჩხაიძე, შვილიშვილები მარიამ, გიორგი მექვაბიშვილები, ბაღდო ჩხაიძე, რძალი მაია მშვილდაძე, სიძე ზურაბ ჩხაიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე ხარიტონის ასული ჩხაიძე

პანაშვიდი 8, 9 X, 4 სთ. დაკრძალვა 10 X, 3 სთ. გლდანის VI მ/რ, X კორპ. VI სადარბაზო, III სართული.

---

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები თანაგრძნობას უცხადებენ ელგუჯა მექვაბიშვილს დედის

ელენე ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს ელგუჯა მექვაბიშვილს დედის

ელენე ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

---

მძახლები თინა თავაძე და გიორგი მშვილდაძე, თემურ მშვილდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიკო ჩხაიძე-მექვაბიშვილისა.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექცია და კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს საყვარელი

დედის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს რეპატრიაციის დეპარტამენტის უფროსს დავით ჯაფარიძეს დედის

მერი ბადრიაშვილი-ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა მამალაძეს სიდედრის

ანჟელა წივწივაძე-ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

---

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ ოთარ ზენაიშვილს სიდედრის

ნადია გიორგის ასული პატარაია-ბარათელიას

გარდაცვალების გამო.

---

ხსოვნა

## იოველ ასათიანი



რაოდენ დასანანია, რომ ქართველ სწავლულ ეკონომისტთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იოველ ასათიანი.**

მან, თითქმის საუკუნეს მიტანებულმა, ღრმა, შინაარსით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო. დაიბადა ქ. ქუთაისში 1907 წელს. სიჭაბუკეშივე იჩინა თავი მისმა უბადლო ნიჭიერებამ. როგორც მრავალი გამოქვეყნებული საინტერესო ლექსის ავტორი და პერსპექტიული ახალგაზრდა, 1925 წელს დაინიშნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად. ამავე პერიოდში რედაქტორობდა პერიოდულ სალიტერატურო ჟურნალებს „ოქტომბრის ზვირთებსა" და „რიონს". ბეჭდავდა ლექსებსა და მოთხრობებს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

ი. ასათიანმა 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 1932 წელს — ასპირანტურა ქ. ლენინგრადში. 1933-1935 წლებში ლენინგრადის წითელი პროფესურის ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების მსმენელია. 1935 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. ამავე დროს ასრულებდა პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტის მოვალეობას. 1936-1938 წლებში მუშაობდა ჭიათურის განათლების განყოფილების გამგედ. 1938 წლიდან გადაიყვანეს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიის ლექტორად.

1941-1945 წლებში იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, ომიდან მაღალი სამხედრო ჩინითა და მრავალი საბრძოლო ორდენით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

1946-1970 წლებში ლექციების კურსს კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1970 წლიდან აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა მიიწვია სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის დასასრულამდე ეწეოდა ფრიად ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევაძიებით საქმიანობას.

1948-1960 წლებში შეთავსებით მუშაობდა ჟურნალების „ბოლშევიკისა" და „საქართველოს კომუნისტის" ეკონომიკის განყოფილებების რედაქტორად.

იოველ ასათიანმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1953 წელს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სადოქტორო დისერტაცია — 1995 წელს ქ. თბილისში. მისი სადოქტორო-საკვალიფიკაციო ნაშრომი მიეძღვნა უაღრესად აქტუალურ პრობლემას — „იპოთეკური კრედიტის განვითარება რევოლუციამდელ საქართველოში", რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. იგი თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მრავალმხრივი საქმიანობისა და მასში ი. ჭავჭავაძის უდიდესი ღვაწლის პრობლემატიკის აღიარებულ მკვლევარად ითვლებოდა, რომელმაც ქართველ ეკონომისტთა (და არა მარტო ეკონომისტთა) წრეში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა.

ი. ასათიანს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. ოთხი მონოგრაფიული გამოკვლევა ცალკე წიგნების სახით.

თავის შინაგანი ბუნებით, უკიდეგანო პოტენციალით, უშრეტი ენერგიით, უჩვეულო შრომისმოყვარეობითა და გარშემო მყოფთა მიმართ სიკეთის უხვად ფრქვევით იოველ ასათიანი გამორჩეული პიროვნება იყო. მას მეტსახელად „გაჭირვების ტალკვესს" ეძახდნენ, რაც ბევრის მთქმელია.

იოველ ასათიანი პირნათლად, ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. მის ამაგს ვერასოდეს დაივიწყებენ მისი აღზრდილები, კოლეგები, მეგობრები და სხვებიც, ვისაც კი ოდნავ შეხების წერტილი ჰქონია მასთან.

**ალბერტ თავხელიძე, ანდრია აფაქიძე, ზურაბ თევზაძე, თამაზ გამყრელიძე, ვლადიმერ პაპავა, ლეო ჩიქავა, გიორგი წერეთელი, რამაზ აბესაძე, ვალერიან დათუკიშვილი, ავთანდილ სილაგაძე, მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მექვაბიშვილი, გრიგოლ თოდუა, კარლო ღურწკაია.**

## ვარდიკო ძაგანია



ჩვენ ამ გაზაფხულზე გავიცანით ერთმანეთი, საერთო საქმემ დაგვაკავშირა ერთმანეთს. იმდენი სითბო, გულისხმიერება, კდევამოსილება იფრქვეოდა თქვენგან ქალბატონო **ვარდო,** მალევე მოგეჩვიეთ, შეგიყვარეთ კიდეც. საოცრად მსიამოვნებდა თქვენი სიახლოვე, თქვენთან საუბარი. რაღაცით აწ გარდაცვლილ დედაჩემსაც გამგვანებდით და ხშირად გაყოლებდით ეზოში მოარულს თვალს.

თამამად ვიტყვი, თქვენმა უეცარმა გარდაცვალებამ ორი წლის წინანდელი ტკივილი გამიახლა. თავზარი დამცა. ისე გიტირეთ, როგორც ჩემი უსაყვარლესი დედიკო.

ძნელია ამ დროს ანუგეშო შვილი, დები, მეუღლე. ვიცი, მანანას ძალიან ეტკინება, უფრო ძლიერ, ვიდრე ახლა, მაგრამ ვერც იმას ვეტყვი, ძვირფასი დედის სიკვდილი ადვილი შესაგუებელი საქმეა მეთქი. დე იტიროს და ივიშვიშოს, ამით უფრო მოეშვება ტკივილით დაღლილ გულს.

დიდი გლოვაა დღეს თქვენს ოჯახში. თქვენი სახით ქალბატონო ვარდო, კარგი მეზობელი, ქართველი ქალი, დედა და და დავკარგეთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს მიწა, რომელსაც გულს მოგაყრიან.

**მაია მოსიძე.**

---

**გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევის ცენტრი**

შვეიცარიის ტრანსსასაზღვრო გრანტების პროგრამის და კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის ეგიდით, პროექტის — „ვირტუალური ეკოლოგია ბავშვებისათვის" ატარებს ფოტოკონკურსს ეკოლოგიურ თემატიკაზე: ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება (მათ შორის ზღვა), ნარჩენები, ბიომრავალფეროვნება (ბუნების დაცვა). კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან: ფასიანი საჩუქრებით, დიპლომებით. გამარჯვებულთა ფოტოები განთავსდება ინტერნეტში. განაცხადი და ფოტოები უნდა წარმოადგინოთ არაუგვიანეს 2003 წლის 15 იანვრისა.

დამატებითი ინფორმაცია ფოტოკონკურსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №47, ოთახი №613, ტელ: 33 47 29 ან 899 24 62 87, ელ-ფოსტა: gia_abramia@hotmail.com

---

სიმპოზიუმი

# მუსიკისა და მეცნიერების შთამბეჭდავი ერთიანობა



**ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო**

**თბილისში ამჟამად მიმდინარე მეცნიერული სიმპოზიუმის უაღრესად მნიშვნელოვანი და დიდად სიმპათიური თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი „შემაგრებულია" ცოცხალი მუსიკის აღმაფრთოვანებელი ჟღერადობით.**

ბუნებრივია, რომ ქართულმა მხარემ წარმოადგინა სიმპოზიუმზე თითქმის ყველა თავისი საუკეთესო ანსამბლი თუ კოლექტივი. მათ მართლაც ისახელეს თავი ამ დღეებში და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ ასახელეს ჩვენი უმდიდრესი ხალხური სასიმღერო შემოქმედება თავისი მაღალპროფესიული, დახვეწილი ხელოვნებით. და მაინც, სიმპოზიუმის მუსიკალური ნაწილის ყველაზე „დამაინტრიგებელ", თუ გნებავთ, სენსაციურ მხატვრულ მოვლენად იქცა მასში უცხოეთიდან ჩამოსული ანსამბლებისა და კოლექტივების მონაწილეობა, რომლებიც გასაოცარი აუთენტური სიზუსტით და ამაღელვებელი სიყვარულითა და სასოებით მღერიან (თითქოს შიგ სულსაც აქსოვენ!) შორეული საქართველოს ესოდენ მრავალსახოვან, უცხო ყურისათვის უჩვეულო და ხშირად ძალიან რთულ სიმღერებს.

სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის, სოციალური მდგომარეობის, ხშირად სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ეს ადამიანები ერთად შეუყრია ქართული სიმღერის ჯადოსნურ ხიბლს, მასთან შეზიარების გადაულახავ სურვილს. ცხადია, რომ ბარაქალა ჩვენ სათაყვანებელ ხალხურ სიმღერას და მის მაგნეტურ ძალას, მაგრამ როგორ არ მოვიხაროთ ქედი იმ უცხოელი ენთუზიასტების წინაშე, რომლებსაც ჩვენი სიმღერა საკუთარი მეობისა და სულიერი ცხოვრების ნაწილად გაუხდიათ! ქართულმა აუდიტორიამ ღირსეულად დააფასა სტუმრების ხელოვნება და მათ აღტაცებული ოვაციით ხვდებოდა.

რომელი ერთი დავასახელოთ: „ბიტი დობრე" (ჰოლანდია), „გორანი" (ავსტრალია), „მასპინძელი" (ინგლისი), „ირინოლა" (საფრანგეთი), „მაჭახელა" (თურქეთი), „ოქროს სტუმრები" (თბილისის უცხოელთა ანსამბლი), „დარბაზი" (კანადა), „ტრიო მერანი" (საფრანგეთი), „ქართული ანსამბლი" (აშშ). ჯერ ამ ანსამბლების სახელწოდებები ნახეთ და მერე მათი შესრულება! ერთმანეთს ცვლიდნენ ისეთი ძირძველი ქართული სიმღერები, როგორებიცაა „მრავალჟამიერი", „შენ ხარ ვენახი", „ბატონებო", „იმერული ცხენოსნური", სვანური და აჭარული „ფერხულები" და სხვ. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ორ მათგანზე არ შეიძლება არ შევჩერდეთ. ეს გახლავთ ტრიო „კავკასია", რომელსაც ხელმძღვანელობს საკვირველი პიროვნება, ამერიკელი, ამჟამად საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი კარლ ლინიქი (მას კარგად ვიცნობთ სატელევიზიო გამოსვლებით), რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ქართულ ენას და ქართულ მუსიკალურ ინტონაციას (!). მისი სოლისტობით შესრულებულმა სიმღერებმა: სვანურმა „ჯგრაგიშ", „გოგოვ, გოგოვ, შავთვალა" და „ვახტანგურმა" აღტაცებაში მოიყვანა დარბაზი.

ბევრს ცრემლი მოჰგვარა ხანდაზმული თურქი ქართველების ანსამბლის „მაჭახელას" გამოსვლამ. ჭეშმარიტად, „ქართველებო ყველა ქვეყნისანო, შეერთდით". და ჩვენი შემაერთებული საყვარელი და საგოგმანებელი ქართული სიმღერა იქნება...

როგორც ითქვა, კონცერტებზე ბრწყინვალედ წარმოჩნდნენ მასპინძლები. კერძოდ, სიმპოზიუმის საზეიმო გახსნის საღამოზე მოვისმინეთ ერთიმეორეზე უკეთესი და თანაც განსხვავებული პროფესიული კოლექტივები: ანსამბლები: „თბილისი" (ხელმძღვანელი რ. გოგოლაშვილი), „ბასიანი" (გ. დონაძე), „ფესვები" (დ. უზნაძე), ქალთა — „მზეთამზე" (სოლისტი ნ. ზუმბაძე), „მთიები" (გ. გარაყანიძე), „ანჩისხატი" (მ. ერქვანიძე), „ბიჭები" (თ. ანდუღალაძე), „უნივერსიტეტი" (ბ. თოიძე), „მე რუსთველი" (მ. ედიშერაშვილი), წმ. სამების ეკლესიის მგალობელთა გუნდი (ს. ჯანგულაშვილი) და ბოლოს, სახელგანთქმული „რუსთავი" (ა. ერქომაიშვილი).

აქ არა გვაქვს საშუალება შევჩერდეთ მათ მიერ შესანიშნავად შესრულებულ სიმღერებზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ პირდაპირ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა კონცერტის ბოლოს „გაერთიანებული გუნდის მიერ უმაღლესი ოსტატობით შესრულებულმა „ხასანბეგურამ" და „ჩაკრულომ".

ეს საღამო ქართული ხალხური სიმღერების ნამდვილ ტრიუმფად მოგვევლინა და კიდევ ერთი კონცერტი, რომელიც თავისი შთამბეჭდავი ძალით არანაკლები იყო, გაიმართა ღია ცის ქვეშ, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მასში მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერის ანსამბლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ მიერ შესრულებულ სიმღერებთან ერთად არაჩვეულებრივი ეფექტი მოახდინეს აჭარულმა და სვანურმა ფერხულებმა. ყველა ამ ანსამბლმა, განსაკუთრებით კი აჭარულმა „ბერმუხამ", მოგვხიბლა შესრულების აუთენტურობით, პირველქმნილობით. დაუვიწყარია ატმოსფეროც, რომელიც სუფევდა კონცერტზე.

გუშინ და დღეს სიმპოზიუმი აგრძელებდა თავის მუშაობას (მოხსენებები, კონცერტები), დღეს საღამოს კი მისი საზეიმო დახურვაა.

**ეკა დიასამიძე,**
**თბილისის კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტი.**

---

სიტუაცია

# ალეკო ხომერიკის ავადმყოფობის ისტორია

**საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბათუმის საოპერო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ამ თეატრში საუცხოო საოპერო სპექტაკლების დამდგმელი და მთავარი პარტიების შემსრულებელი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო დრამატული ტენორი, ალექსანდრე ხომერიკი თბილისის მე-9 საავადმყოფოს გულისა და სისხლძარღვთა კლინიკაში ნაინფარქტალი წევს და ექიმების რჩევა-დარიგებას ისმენს.**

— ამათ ვენაცვალე, რა ყურადღებას იჩენენ ბატონი გოგი ხაბეიშვილი, ბატონი თამაზ შაბურიშვილი... მთელი მედპერსონალი... ამათ რომ არ გამოვეყვანე მდგომარეობიდან, ახლა კარგა ხნის წაღებული მექნებოდა წერილი...

რას ვერჩი — დატრიალდნენ კულტურის მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი... მოკლედ, გადავრჩი და ახლა შემიძლია ინტერვიუ მოგცე...

*— მაინც, რა მოხდა ასეთი?*

— ვინერვიულე ძალიან... იმ თეატრში, სადაც, შეიძლება ითქვას, ფეხი ავიდგი, გურამ მელივა არ მღებულობს — რა ვქნა, ადგილი არ მაქვსო.

*— კი, მაგრამ ბათუმიდან წამოხვედით?*

— კი, უკვე რამდენიმე თვეა... სხვათა შორის, ვიღაც-ვიღაცეებმა თქვეს — ასლან აბაშიძესთან უკმაყოფილება ჰქონდაო, მაგრამ ეს არ არის სწორი. პირიქით, ქრონიკული სახსრების ანთება მაქვს და ბატონი ასლანის დახმარებით რამდენჯერმე ვიმკურნალე საზღვარგარეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ვარჩიე თბილისში გადმოსვლა... აქ როცა ვარ, უკეთესად ვარ, ალბათ, მშრალი ჰავის გამო...

*— კაი 9 წელიწადი იყავით ბათუმში, ხომ?*

— დიახ. ქვეყანამ იცის, რეები გავაკეთე ამ ქალაქში... ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რამდენჯერ მითხრა, დანაშაულია, შენი ხმა რომ თბილისის საოპერო თეატრში არ ჟღერდესო, გადმოდიო... აჰა, გადმოვედი და საოპერო თეატრის დროებით სამხატვრო ხელმძღვანელს ზურაბ მელივას, თურმე, ჩემთვის ადგილი არა აქვს. სხვათა შორის, თეატრის სამხატვრო საბჭო ჩემს მხარესაა. არაო, მელივამ, ის სპექტაკლები არ მაქვს რეპერტუარში, შენ რომ იმღეროო, თითქოს „ოტელოს", „ტრუბადურის", „აიდას", „დონ-კარლოსის" მთავარი პარტიების შემსრულებელი და, საერთოდ, დრამატული ტენორი, ერთი-მეორეზე უკეთესი ჰყავდეს თეატრს... მხარს მიჭერს ყველა — საქართველოს პრეზიდენტიდან დაწყებული, დამთავრებული კულტურის მინისტრით, და არაო, მელივამ...

*— იქნებ, კონკურენტს ხედავს დროებითი სამხატვრო ხელმძღვანელი?.. თქვენ ხომ ლიდერის თვისებებიც გაქვთ...*

— რა შუაშია... მე ვარ ტენორი ალეკო ხომერიკი, რომელიც მშობლიურ თეატრს ჯერ კიდევ გამოადგება...

*— ძველი ამბების გამო ხომ არა?..*

— რა ძველი ამბები!.. მე და სულგანათლებული ჯანსუღ კახიძე თუ ვკამათობდით, ის უდიდესი შემოქმედი იყო და ფასიც ჰქონდა მასთან კამათს...

— კაი, კაი, არ ანერვიულდეთ!..

— არა უშავს... წამოვდგები და, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა საბოლოოდ...

* * *

— აბა, ალეკო ხომერიკისთვის რომ თეატრში ადგილი არ გამოჩნდება, რაღა უნდა ვილაპარაკოთ... მთელი თაობა მოვიდა ახალგაზრდებისა, რომელთაც თბილისის სცენაზე ალეკო არ უნახავთ და არ მოუსმენიათ... მარტო მისი ოტელოს მოსმენა რად ღირს... ეს არის ჩვენი საქვეყნო საქმეზე ზრუნვა?.. კულტურის აღმავლობაზე ზრუნვა?.. — ეს სიტყვები ცნობილ მომღერალსა და ჟურნალისტს ომარ ჩიტაიას ეკუთვნის, რომელიც ალეკოს მოსანახულებლად მისულიყო და, მოგვიანებით, ჩემთან ერთად გამოვიდა საავადმყოფოდან.

ძნელია არ დაეთანხმო.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

---

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS—98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.